პარლამენტი ანტიკორუფციულ საბჭოს თავს ესხმის A3

შეტაკების დეტალები მკაცრად გასაიდუმლოებულია A7

ავტომონადირე B4-B5

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ოთხშაბათი, 18 სექტემბერი, 2002 წელი. №108

ფასი 50 თეთრი

# პრეზიდენტი საათნახევარი ფიქრობდა, გაფრენილიყო თუ არა ბაქოში

ძალოვნებმა შევარდნაძე დაარწმუნეს, რომ ერთ დღეში საქართველო არ დაიქცევა

ზაზა წულაძე

*გუშინ საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე, შინაგან საქმეთა მინისტრი კობა ნარჩემაშვილი და უშიშროების მინისტრი ვალერი ხაბურძანია საათნახევრის მანძილზე არკვევდნენ, რამდენად სახიფათო იყო პრეზიდენტის მიერ 24 საათით საქართველოს დატოვება და ბაქოში გადაფრენა, სადაც შევარდნაძეს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობის დაწყების აღსანიშნავ საზეიმო ცერემონიალზე ელოდნენ.*

პრეზიდენტი შუადღის ორ საათზე უნდა გაფრენილიყო ბაქოში. ამ დროისთვის აეროპორტში ყველაფერი მზად იყო - პრეზიდენტის თვითმფრინავისა და იმ ორი ავიაგამანადგურებლის სახით, რომლებიც შევარდნაძეს ჰაერში იცავენ. თუმცა, გაფრენამდე ორმოცი წუთით ადრე პრეზიდენტის პრეს-სამსახურის უფროსმა კახა იმნაძემ მოულოდნელად განაცხადა: **"შევარდნაძე სერიოზულად შეაშფოთა პანკისში მდგომარეობის დაძაბვამ და, სიტუაციის დეტალებში გასარკვევად, მან გაურკვეველი დროით გადადო ბაქოში გამგზავრება. პრეზიდენტი აეროპორტის ტერიტორიაზევე გამართავს თათბირს ძალოვანი უწყებების პირველ პირებთან".**

გაგრძელება A3 გვერდზე



*აეროპორტში ძალოვნებმა პრეზიდენტი დაამშვიდეს და გააცილეს.*

ლევან ხერხეულიძის ფოტო

# არჩევითი ორგანოების გამიზნული პარალიზება

ეკა ქვესიტაძე

საგარეო პოლიტიკაში დაძაბულობის ახალმა ტალღამ ისევ გადაფარა შიდა პოლიტიკური მოვლენები და კრიზისი, რომელიც ხელისუფლების წარმომადგენლობით ანუ არჩევით ორგანოებში შეიქმნა.

პარლამენტს გამოცოცხლება მხოლოდ რუსეთთან გამწვავებული ურთიერთობების შემდეგ დაეტყო, რადგან ეს ის თემაა, როცა დეპუტატები მეტ-ნაკლებად თანხმდებიან და, შესაბამისად, საერთო გადაწყვეტილების მიღებაც არ ჭირს. თუმცა, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ პანკისის მოვლენების დროს სპეციალური დადგენილების მიღება მხოლოდ ერთმა ხმამ გადაარჩინა, მაშინ, შეიძლება ითქვას, რომ დეპუტატები ერთსულოვნებას არც რუსეთთან მიმართებაში იჩენენ. პუტინის განცხადების შემდეგ კი პარლამენტის რეპუტაციის აღდგენა უფრო ნინო ბურჯანაძის დამსახურებაა, რომელმაც ტელე-დებატებში ("ენ-ტე-ვეს" ეთერში), თავის რუს კოლეგას - გენადი სელეზნიოვს, ფარხმალი დააყრევინა.

გაგრძელება A2 გვერდზე

# „პარტიებისთვის საკრებულოს არჩევნები თამაში იყო"

თამარ მჭედლიშვილი

***საქართველო-რუსეთს შორის უკიდურესად გამწვავებულმა ურთიერთობებმა თითქოს სრულად გადაფარეს, ერთი შეხედვით, ნაკლებად მნიშვნელოვანი პრობლემა – თბილისში თვითმმართველობის პარალიზება. ისედაც თავის ნებაზე მიშვებული ცესკო კი ბიულეტენების გადათვლის შეფერხების სულ ახალ-ახალ მიზეზებს ასახელებს. კომისიის წევრების სამსახურში გამოუცხადებლობას ახლა ტექნიკური პრობლემებიც დაემატა – გაფუჭდა პრინტერი...***

პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის წინაშე აღებული ვალდებულებების თანახმად, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ უკვე 10 ოქტომბრისთვის უნდა დაასრულოს გადათვლის პროცედურა და საზოგადოებას ჯერ კიდევ 2 ივნისს თბილისში გამართული საკრებულოს არჩევნების შედეგები ამცნოს. თუმცა, არსებობს ეჭვი, რომ ამ ვადას კომისია არ დაიცავს.

პოლიტიკური სპექტრი კი თვითმმართველობით ვაკუუმს საკმაოდ მშვიდად ეგუება. ამასობაში დედაქალაქს მხოლოდ მერია მართავს და გადაწყვეტილებებსაც სწორედ იგი იღებს. მაკონტროლებელი ორგანოს

გაგრძელება A3 გვერდზე

მაიაკოვსკის აჩრდილი - "წაიკითხეთ და აღივსეთ შურით." A3

"იზვესტიის" მრგვალი მაგიდა: სტაბილიზაციის სათავე რუსეთშია. A3

რუსეთსა და საქართველოს შორის საინფორმაციო ომი გრძელდება A3

რით "დააბა" მსოფლიოში უდიდესი კომპანია მისმა ყოფილმა თავკაცმა? A4

საქართველოში ელექტროენერგიის და ბუნებრივი აირის ნახევარი უკვალოდ ქრება A4

"იტერა" "თბილგაზის" შესწავლას შეუდგა A4

ერაყი: კაპიტულაცია თუ ტაქტიკური სვლა A5

უკრაინის ხელისუფლებამ საკუთარი ხალხის წინააღმდეგ სპეცრაზმი გამოიყვანა A5

სომხეთ-აზერბაიჯანის დაპირისპირება გაერო-ს ტრიბუნასთან A5

სტაბილურობიდან კეთილდღეობამდე, კანცელარიიდან კრწანისამდე A8

## ამინდი

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 24 | |
| ქუთაისი | 23 | |
| ბათუმი | 21 | |
| სოხუმი | 21 | |
| ფოთი | 21 | |
| თელავი | 25 | |
| ზუგდიდი | 23 | |
| გორი | 22 | |

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1800 |
| ევრო | 2.1057 |
| გირვანქა სტერლინგი | 3.3448 |
| რუბლი | 0.0689 |

# „თბილგაზის" „იტერასათვის" გადაცემის საკითხი მთავრობას არც კი უნდა განეხილა

ინტერვიუ პოლიტიკური ორგანიზაცია "გაერთიანებული დემოკრატების" ლიდერთან ზურაბ ჟვანიასთან

მაია ურუშაძე

**- რამდენად შეიძლება, საქართველოს მიმართ რუსეთის აგრესიის ერთ-ერთ ფაქტორად ეკონომიკური ინტერესები მივიჩნიოთ?**

- რუსეთს საქართველოს მიმართ, პირველ ყოვლისა, გეოსტრატეგიული ინტერესები გააჩნია, რადგან საქართველო, როგორც ბაზარი, მისთვის დიდ ინტერესს არ წარმოადგენს. მაგრამ საქართველო მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე დიდი ენერგოშემცველების რეზერვუარის – კასპიის აუზის კარიბჭეა. ეს რეგიონი კი უაღრესად მდიდარია სხვადასხვა სახის სტრატეგიული მნიშვნელობის ნედლეულით, დაწყებული ცენტრალური აზიის ბამბითა და დამთავრებული ლითონის მადნეულით. სწორედ იმით არის საქართველო უაღრესად მნიშვნელოვანი როგორც რუსეთისათვის, ასევე ნებისმიერი სხვა სახელმწიფოსთვის, რომ მისი გეოსტრატეგიული ორიენტაცია მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს, დარჩება კასპიის აუზის უმდიდრესი რეგიონი რუსეთის ექსკლუზიური გავლენის სფეროში თუ მას თავისუფალი არჩევანის საშუალება ექნება. საქართველო რომ ისევ ქაოსმა და არეულობამ მოიცვას, ყველა დიდი პროექტი, იქნება ეს ბაქო-ჯეიჰანი, შაჰდენიზის გაზის ტრანსპორტირება თურქეთში თუ ნებისმიერი სხვა, განხორციელების ყოველგვარ შესაძლებლობას დაკარგავს.

გაგრძელება A4 გვერდზე

# ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი: კავკასიის ქვეყნების დამოუკიდებლობის ქვაკუთხედი

გიორგი ხელაშვილი

*დღეს სანგაჩალის ნავთობტერმინალში საზეიმოდ ჩაეყრება საფუძველი ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენს. მშენებლობის სიმბოლური დაწყების ცერემონიას აზერბაიჯანის, თურქეთისა და საქართველოს პრეზიდენტები დაესწრებიან.*

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი **"განამტკიცებს რეგიონის სახელმწიფოების დამოუკიდებლობას, უზრუნველყოფს დასავლეთთან მათ დაახლოებას და რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის დამყარებას,"** – პრეზიდენტ შევარდნაძის ეს სიტყვები მოწმობს, რომ კასპიის ნავთობის მთავარ საექსპორტო მილსადენს, რომლის მშენებლობასაც დღეს ეყრება საფუძველი, ეკონომიკურზე მეტად პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს.

გაგრძელება A5 გვერდზე

# საპასუხისმგებლო ორდენი უპასუხისმგებლო მოქალაქეებისათვის

"24 საათის" დამატების - "დედაქალაქი" - დაარსებული ალა მაჰმად ხანის ორდენის პრეზენტაცია

ანა კორძაია-სამადაშვილი

ის, რომ ახალი თბილისური ჯილდოს, ალა მაჰმად ხანის ორდენის საზოგადოებისათვის წარდგენა საჯარო ბიბლიოთეკაში შედგა, თავისთავად სავსებით ლოგიკური ფაქტია: საჯარო ბიბლიოთეკა ხომ ქართული კულტურის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი კერაა, ორდენი კი ქართული კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საქმეში შეტანილი დიდი წვლილისთვის გაიცემა. წვლილიცაა და წვლილიც: ზოგს ხომ გულწრფელად მიაჩნია, რომ ზემო ბეთლემის ორსართულიან სახლს, რომელიც ძველი და მინგრეულ-მონგრეულია, იმავე უბანში ახალი რვასართულიანი შენობა აჯობებს, მით უმეტეს, რომ კარგ ფასადაც გაიყიდება...

დათო მაღრაძის მიერ ჩაფიქრებული ორდენით, რომელიც გაზეთ "24 საათის" დამატება "დედაქალაქმა" დააარსა, უკვდავყოფილია ალა მაჰმად ხანი, საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე შემზარავი ფიგურა. ეს ჯილდო გადაეცემა ყოველ მოქალაქეს, რომელიც დიდ და მნიშვნელოვან ზიანს მიაყენებს ჩვენს დედაქალაქს. ორდენოსანი შეიძლება გახდეს არამარტო არქიტექტორი, არამედ ნებისმიერი მოხელეც, რომელიც ქალაქის დამახინჯებას შეუწყობს ხელს, ან თუნდაც ამ საქმიანობის მეხოტბე ჟურნალისტი. ორდენი ასაკის, სქესის, რასობრივი მიკუთვნილების, აღმსარებლობისა და პროფესიის მიუხედავად გაიცემა. ორდენი იქნება ორი ხარისხისა, ბაფთიანი და უბაფთო.

გაგრძელება B1 გვერდზე



*ალა მაჰმად ხანის ორდენი.*

# მცირე და საშუალო ბიზნესი თავდაცვას „დააფინანსებს"

გიორგი კალანდაძე

*საქართველოს პარლამენტის მიერ გასულ კვირას ბიუჯეტში შეტანილი ცვლილებით თავდაცვის ხარჯები გაიზარდა. ამასთან, როგორც საქართველოს ხელისუფლებას ხშირად სჩვევია, დაპირებებს უხვად იძლევა, მაგრამ დაფინანსების წყაროს გამონახვა უჭირს. ამჯერადაც, ჯერ ხარჯები გაიზარდა და შემდეგ დაიწყო ზრუნვა ფულის მოძიებაზე. ხარჯებმა კი 11 მილიონი ლარით მოიმატა.*

ამ გადაწყვეტილებით, ხელისუფლებამ პოლიტიკური რეალობის შესატყვისი ნაბიჯი გადადგა. იმ დროს, როდესაც პანკისში ტერორისტების დასაკავებლად სპეცოპერაცია ტარდება, აშშ-ს სამხედრო ინსტრუქტორთა ხელმძღვანელობით მიმდინარეობს ელიტური სპეცბატალიონის მომზადება, თავდაცვის ხარჯების არგაზრდა გაუმართლებელ პოლიტიკურ გადაწყვეტილებად აღიქმებოდა. მით უფრო, როდესაც ამერიკელებმა თავის ქართველ პარტნიორებს არაერთხელ მიანიშნეს, რომ აუცილებელი იყო სპეცბატალიონის წევრთა სახელფასო და სხვა აუცილებელი ხარჯების საბიუჯეტო უზრუნველყოფა.

გაგრძელება A4 გვერდზე

# ახმეტელები თურქიაშვილის განთავისუფლებას ითხოვენ

ხათუნა ჯანგირაშვილი

მაშინ, როცა შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით დაპატიმრებული ახმეტის პოლიციის უფროსი თბილისში, შსს-ს წინასწარი დაკავების საკანში გამომძიებლებს ჩვენებებს აძლევდა, ახმეტის ცენტრში, პოლიციის შენობის წინ ავთანდილ თურქიაშვილის დაუყოვნებლივ გათავისუფლების მოთხოვნით შეკრებილი ხალხი ახმეტის რაიონის პარალიზებითა და პანკისის ხეობაში შესასვლელი გზების გადაკეტვით იმუქრებოდა.

გაგრძელება A7 გვერდზე

# მონატრებიათ შვილებს მამა

ზაზა ფაჩუაშვილი

ორშაბათ საღამოს კოდორიდან ჩამოსულმა პატრიარქმა მესტიის სვეტის წმინდა გიორგის ტაძარში საზეიმო პარაკლისი გადაიხადა. მეორე დილით მესტიის საგანძურის ნახვა და ცაგერში გადაფრენა იყო დაგეგმილი, მაგრამ ბუნება გაჭირვეულდა.

ყველაფერი შაუაღამის გამაყრუებელი გრუხუნით დაიწყო. ცამ ისე დაიგრგვინა, რახით ჩაბუჟბუჟებული ხალხიც კი გამოაფხიზლა. ერთი პირობა, ყველას დაბომბვა ეგონა, მაგრამ თურმე ისევ წვიმას მოვნატრებივართ. დილით მთლიანად ჩამოემხო ცა, თუმცა, წვიმისგან შეწუხებულმა მასპინძლებმა გაიხარეს, ბევრი რახი მოიტანეს, ახლა თუ გინდა, ერთი კვირა კიდევ იწვიმოს, ამაზე უკეთეს ხალხს სად ვნახავთო. მანამდე კი წუწუნებდნენ, გადაუღებელმა წვიმებმა მთელი მოსავალი- კარტოფილი და ლობიო დაალპოო.

გაგრძელება A6 გვერდზე

A2 ინფორმაცია A3 პოლიტიკა A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 საზოგადოება A7 სამართალი A8 თვალსაზრისი

B2 კულტურა B3 ანკეტა B4-B3 ავტომონადირე B6 განცხადებები B7 სპორტი B8 სხვადასხვა

# არჩევითი ორგანოების გამიზნული პარალიზება

პირველი გვერდიდან

და მაინც, ეს საგარეო პოლიტიკაა - პარლამენტის მუშაობის მნიშვნელოვანი, მაგრამ მაინც ერთი ასპექტი. რაც შეეხება შიდა პოლიტიკის საკითხებს და კანონშემოქმედებით საქმიანობას, საშემოდგომო მოწვევის პირველივე სესიამ აჩვენა, რომ საქართველოში საკანონმდებლო ორგანო, პრაქტიკულად, პარალიზებულია.

თუ დეპუტატთა ახლანდელ სამუშაო განწყობას და ბეჯითობას გავითვალისწინებთ, პარლამენტის ვადის ამოწურვამდე, საარჩევნო კანონში არსებული ხარვეზების გამოსწორება და ქვეყნის ტერიტორიული მოწყობის საკითხი საბოლოოდ გადაჭრას, სავარაუდოდ, კეთილი სურვილების დონეს ვერ გასცდება. რაც შეეხება ალმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობაზე კონტროლს, ეს კონსტიტუციური მოვალეობა პარლამენტმა, კარგა ხანია, დაივიწყა.

იმისათვის, რომ საკანონმდებლო ორგანოში მყარი უმრავლესობა დაშლილიყო, სერიოზულად გაისარჯნენ სახელმწიფო კანცელარიის კაბინეტებში, პრეზიდენტმა კი "მოქალაქეთა კავშირის" თავმჯდომარის პოსტიდან წასვლით დამაგვირგვინებელი ნაბიჯი გადადგა.

დღეს კი უამრავ, წვრილ-წვრილ ფრაქციებად დაშლილ პარლამენტში ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღება ჭირს. გამონაკლისია საკითხები, როცა საქმე პრეზიდენტის ინტერესებს ეხება. ამ დროს ჩნდება უხილავი უმრავლესობა, რომელიც კენჭისყრის კანცელარიისათვის მისაღებ შედეგებს უზრუნველყოფს.

ამას თუ დავუმატებთ მოახლოებულ საარჩევნო კამპანიას, სავარაუდოდ, ვადის ამოწურვამდე, უახლოესი ერთი წლის განმავლობაში, პარლამენტი, ქვეყნის პოლიტიკური და საკანონმდებლო ცხოვრების თითქმის უმოქმედო ნაწილად იქცევა.

ასევე აბსოლუტურად ბუნდოვანი რჩება თბილისის საკრებულოს ბედიც, რომელიც, პოლიტიკური გათვლების მიხედვით, პარალიზებებული პარლამენტის ფონზე, ქვეყნის პოლიტიკური მოვლენების ცენტრი უნდა გამხდარიყო. საკრებულოს არამოქმედების ფორმალური მიზეზი ამჯერად არა სასამართლო, არამედ ცენტრალური საარჩევნო კომისიაა, რომელიც, ფაქტობრივად, ბოიკოტს უცხადებს ხმების გადათვლის პროცედურას. თუმცა, უფრო გულრწფელები რომ ვიყოთ, ის რაც ცენტრალურ კომისიაში ხდება, როცა კომისიის 18 წევრიდან ხმების გადასათვლელად მხოლოდ ორი-სამი კაცი დადის, არ არის ბოიკოტი ამ სიტყვის კლასიკური გაგებით. კომისიის წევრებს, უბრალოდ, ეზარებათ ხმების გადათვლა, რადგან დღეს აღარავის ადარდებს, დაიწყებს თუ არა მუშაობას საკრებულო. საერთოდ კი, შთაბეჭდილება რჩება, რომ თვითონ საკრებულოში მოხვედრილ პარტიებსაც არ აღელვებთ, ეყოლება თუ არა თბილისს თავისი წარმომადგენლობითი ორგანო; სამაგიეროდ, ამ თემას მოხერხებულად იყენებენ პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებთან ოპონირებისთვის.

საკრებულოს მუშაობაში ჩართვა, ბუნებრივია, პრიორიტეტული არ არის იმ პარტიებისთვის, რომლებმაც საკრებულოში მხოლოდ ორი-სამი კაცი გაიყვანეს.

განსხვავებულ სიტუაციაში არიან "ლეიბორისტები", "ნაციონალური მოძრაობა" და "მემარჯვენეები", რომელთაც ადგილობრივ არჩევნებში ხმათა უმრავლესობა მიიღეს.

"ლეიბორისტებმა" საკრებულო ცუდად ერთხელ უკვე დაცადეს. ის, რომ ნათელაშვილი ყოველი არჩევნების შემდეგ საკუთარ პარტიაზე კონტროლს კარგავს, კარგად გამოჩნდა, როგორც წინა, ისე ამ ადგილობრივი არჩევნების დროს. წინა საკრებულოში ფრაქციის დაშლის ტრადიცია და საკრებულოს ლეიბორისტი თავმჯდომარის ლადო კახაძის მეტამორფოზა თავდადებული "მოქალაქისა" და ვანო ზოდელავას ერთგული მეგობრის როლში, წელს უკვე ავთანდილ ტყებუჩავამ გააგრძელა. ტყებუჩავას გამოსვლის ტექსტები კი ნათლად მიანიშნებს, რომ პარტიული განხეთქილება ამჯერადაც ვანო ზოდელავას პროვოცირებულია.

თავის დროზე, საკრებულოსთან დაკავშირებით სერიოზული გეგმები ჰქონდათ "ახალ მემარჯვენეებს". მაშინ ხელისუფლებასთან დაახლოებული "ახლების" პროგრამა მაქსიმუმი საკრებულოში უმრავლესობით მოსვლა და ლევან გაჩეჩილაძის საკრებულოს თავმჯდომარედ არჩევა იყო. "ახლებმა" ვერც არჩევნები მოიგეს და ვერც საკრებულოს თავმჯდომარის პოსტი. სხვათაშორის, მაშინ "ლეიბორისტებსა" და "ახალ მემარჯვენეებს" შორის თითქმის მიღწეული შეთანხმება ავთანდილ ტყებუჩავამ დაარღვია. ტყებუჩავას პროტესტმა, თუ სხვა პარტიას ვთავაზობთ თავმჯდომარის პოსტს, მაშინ უფრო ლოგიკური იქნებოდა, უფრო მეტი ხმით გასული ნაციონალისტებისთვის შეგვეთავაზებინაო, შალვა ნათელაშვილის პროვოცირება მოახდინა. ნათელაშვილს, როგორც ლუმპენ-პროლეტარიატის მამას, ბუნებრივია, არ სურდა "კაპიტალისტებთან" ფარულ გარიგებაში დაედანაშაულებინათ. ამიტომაც იმის დასამტკიცებლად, რომ ობიექტური იყო და "მემარჯვენეების" მიმართ განსაკუთრებული სიმპატიები არ ამოძრავებდა, საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობა სააკაშვილს შესთავაზა.

დღეს "ახალ მემარჯვენეები" პოლიტიკაში ახალი, პროდასავლური ნიშის დასაკავებლად იბრძვიან და საპარლამენტო არჩევნებისთვის ემზადებიან. საკრებულო, ამ პარტიის ლიდერების განცხადებებითაც თუ ვიმსჯელებთ, პარტიისთვის უკვე არაპრიორიტეტულია.

რაც შეეხება "ნაციონალისტებს", მათ გაცილებით უფრო რთულად აქვთ საქმე. ალბათ, ნამდვილად გადაჭარბება იქნება იმის თქმა, რომ პრეზიდენტობაზე მეოცნებე სააკაშვილისთვის საკრებულოს თავმჯდომარეობა ოცნების მწვერვალია. მაგრამ, საკრებულოს ამუშავება დღეს ნაციონალური მოძრაობის ლიდერს ნამდვილად სჭირდება.

ხელისუფლებას მართლაც ისტერიული, პანიკური შიში ჩამოუყალიბდა სააკაშვილისა და მისი მოძრაობის მიმართ. ეს შიში იგრძნობა პრეზიდენტის და მისი გარემოცვის თითქმის ყველა გამოსვლაში. თუ ნათელაშვილის ოპოზიცია როგორც კანცელარიისთვის, ისე ქალაქის მერიისთვის სრულიად უწყინარია, სააკაშვილის შემთხვევაში, ოპოზიციონერობა განსაკუთრებით საშიშ დატვირთვას იძენს.

ასეა თუ ისე, ნათლად ჩანს, რომ საკრებულოს მუშაობის შესაფერხებლად ყველაფერი კეთდება და - საკმაოდ ოსტატურადაც. დღეს ხელისუფლებას აქვს სერიოზული არგუმენტი სააკაშვილის წინააღმდეგ და ყოველთვის დაუმტკიცებს, რომ პირველი ის ითხოვდა ადგილობრივი არჩევნების შედეგების გადასინჯვას. სააკაშვილის და მისი თანაპარტიელების არგუმენტი, რომ ისინი შედეგების გადათვალს საკრებულოს მუშაობის დაწყების პარალელურად ითხოვდნენ, რათა მის შემადგენლობაში შემდეგ მომხდარიყო კორექტირება, მაინც უფრო დეტალია, რომელიც მთავარი მესიჯის წინააღდეგ კონტრარგუმენტად ძნელად გამოდგება. თუმცა, ეს მაინც საინფორმაციო ომია, რომლის მოგების ტექნოლოგიებს მიხეილ სააკაშვილი საკმაოდ კარგად ფლობს.

მაგრამ, რაც ყველაზე მთავარია, ამ ინტრიგებსა და დაპირისპირებაში ქვეყანა ქმედითი პარლამენტის, დედაქალაქი კი საკრებულოს გარეშე დარჩა, რაც, გარდა სახელისუფლებო ვაკუუმისა, მოსახლეობაში ხელისუფლების არჩევითი ინისტიტუტების მნიშვნელობის დისკრედიტაციასაც იწვევს. სამაგიეროდ, კარგად გრძნობს თავს ალმასრულებელი ხელისუფლება, რომელიც ყველაფერს ერთპიროვნულად განკარგავს. ეს პარლამენტი მთავრობის საპირწონედ და მაკონტროლებლად ნამდვილად ვერ გამოდგება. დალუქული საკრებულოთი კი თავისებურად მერიაც სარგებლობს და ცენტრალური ხელისუფლებაც.

ორი დღის წინ "ო-ერ-ტეს" ეთერში გასული ინფორმაცია, რომ თითქოს საქართველოს პარლამენტის ექს-სპიკერი პუტინს უჭერს მხარს, სპეციალური პრესკონფერენციის მიზეზი გახდა, რომელიც ზურაბ ჟვანიამ გუშინ საკუთარ ოფისში გამართა.

**"ო-ერ-ტეს" ჟურნალისტებთან საუბარში აღვნიშნე, რომ პრეზიდენტ პუტინის პრეტენზიები, შეიძლებოდა, მაშინ ჩათვლილიყო სამართლიანად, ჩეჩენი ბოევიკები თვითონ რუსებს რომ არ შემოეშვათ საქართველოში. რეპორტაჟში კი წინადადების პირველი ნაწილი იყო დატოვებული, რომლის მიხედვით პუტინის მხარდამჭერად გამოვედი,"** – აღნიშნა ჟვანიამ და დასძინა, რომ საქართველოში არავის სჭირდება მისი და მისი პარტიის პოზიციის ახსნა; რომ ეს პროვოკაცია მხოლოდ რუს მსმენელზეა გათვლილი იმის საჩვენებლად, რომ საქართველოში ბევრი, და, მათ შორის, ყოფილი სპიკერი, მხარს პუტინის განცხადებას უჭერს.

ზურაბ ჟვანიამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ დარწმუნებულია, არსებული ხელისუფლების შეცვლის აუცილებლობაში, მაგრამ კიდევ უფრო დარწმუნებულია იმაში, რომ ეს ცვლილება კონსტიტუციური გზით უნდა განხორციელდეს. **"რუსეთს, საუბედუროდ, დღესაც გააჩნია მძლავრი და სერიოზული ბერკეტები საქართველოში ვითარების დესტაბილიზაციისთვის. "გაერთიანებული დემოკრატები" კი ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ საქართველომ არ გაიმეოროს ის საბედისწერო შეცდომა, რომელიც ქვეყანამ 1991 წელს დაუშვა. ამიტომ დღეს ხელისუფლებას, ისევე როგორც ოპოზიციის ლიდერებს, განსაკუთრებული პასუხისმგებლობა და ფრთხილი მოქმედება მოეთხოვებათ."**

"გაერთიანებული დემოკრატების" ლიდერის განცხადებით, ისინი კვლავ გააგრძელებენ "ნაციონალურ მოძრაობასთან" თანამშრომლობასა და კონსულტაციებს ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემებზე, მათ შორის, ქვეყნის განვითარებისა და ოპოზიციის მოქმედების სტრატეგიაზე.

*"24 საათი"*

■ ■ ■

**ერევანი.** 1993 წლის ოქტომბერში თურქეთი სომხეთსა და საქართველოში შეჭრას აპირებდა, ამტკიცებს საბერძნეთის ელჩი კანადაში ლეონიდას ქრიზანტოპულოსი, რომელსაც 1993-1994 წლებში სომხეთში საბერძნეთის ელჩის თანამდებობა ეკავა.

სააგენტო მედიამაქსის ცნობით, ქრიზანტოპულოსი ამის შესახებ თავის მემუარების წიგნში წერს. წიგნი ამ კვირას გამოაქვეყნა ერთ-ერთმა ამერიკულმა ინსტიტუტმა.

ბერძენი დიპლომატი ამტკიცებს, რომ 1993 წლის ოქტომბერში, როდესაც მოსკოვში დაპირისპირება დაიწყო ელცინსა და პარლამენტს შორის, რუსეთის უზენაესი საბჭოს სპიკერმა ხასბულატოვმა რამდენიმე საიდუმლო შეთანხმებას მიაღწია თურქეთის პრემიერ-მინისტრთან თანსუ ჩილერთან. ამ შეთანხმებების მიხედვით, რუსლან ხასბულატოვი გამარჯვების შემთხვევაში პირობას იძლეოდა, რომ გაიყვანდა რუსეთის ჯარებს კავკასიიდან. ხასბულატოვი ასევე საშუალებას მისცემდა თურქეთს, განეხორციელებინა შეზღუდული შეჭრა სომხეთში ქურთების პრობლემის მოგვარების და საქართველოში - აფხაზეთის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზეზით. ბერძენი დიპლომატი ეყრდნობა სადაზვერვო მონაცემებს, რომელიც მას სომხეთში საფრანგეთის ელჩმა მიაწოდა და შემდეგ ამ ქვეყანაში აშშ-ის ელჩმაც დაადასტურა. ქრიზანტოპულოსის თქმით, სომხეთის ხელისუფლება ინფორმირებული იყო შესაძლო პროვოკაციის შესახებ და ქვეყნის ეროვნული უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებით ჯარები გაძლიერებულ საბრძოლო მზადყოფნაში ჰყავდათ. **პრაიმ-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დარეგულირებაში რუსეთის პრეზიდენტის სპეციალური წარმომადგენელი, საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ვალერი ლოშჩინინი და აფხაზეთის არაღიარებული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ანრი ჯერგენია ერთმანეთს სოხუმში შეხვდნენ. მათ ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში არსებული სიტუაცია მიმოიხილეს. ჯერგენიამ შეშფოთება გამოთქვა კოდორის ხეობის ზედა ნაწილში სიტუაციის მოსალოდნელი გამწვავების გამო. აქედან გამომდინარე, ლოშჩინინმა და ჯერგენიამ აღნიშნეს, რომ ქართული მხარე ვალდებულია, კეთილსინდისიერად შეასრულოს აღებული ვალდებულებები, და ამ ზონიდან მთლიანად გაიყვანოს თავის შეიარაღებული ფორმირებები, აგრეთვე, აღკვეთოს პანკისის ხეობიდან ბანდიტური ჯგუფებისა და ტერორისტების თარეში.

საქართველოს საგარეო უწყებისთვის რუსეთის მიერ სეპარატისტების "პირდაპირი და დაუფარავი" მხარდაჭერა უკვე აშკარაა. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს პოზიცია ეწინააღმდეგება გაერო-ს დამკვირვებელთა და მთლიანად გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შეხედულებებს და მიმართულია კონფლიქტის პოლიტიკური დარეგულირების პროცესის ჩაშლისკენ. **პრაიმ-ნიუსი.**

■ ■ ■

**ერევანი.** სომხეთის პრემიერ-მინისტრმა ანდრანიკ მარგარიანმა საქართველოს თავდაცვის მინისტრთან დავით თევზაძესთან შეხვედრაზე შეშფოთება გამოთქვა ჯავახეთში მცხოვრები სომხების მძიმე სოციალური მდგომარეობის გამო. მარგარიანმა განაცხადა, რომ ერევანი მზად არის, მონაწილეობა მიიღოს სამცხე-ჯავახეთის რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამის შემუშავებასა და რეალიზაციაში.

სომხეთს არ შეუძლია, გულგრილი დარჩეს თავისი თანამემამულეების ბედისადმი, - აღნიშნა მან. პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ დადგა დრო რეალური ნაბიჯები გადაიდგას ჯავახეთში სიტუაციის ნორმალიზებისათვის, რათა თავიდან იყოს აცილებული დაძაბულობა და სპეკულაცია. მას აუცილებლად მიაჩნია მოლაპარაკებებისა და კონსულტაციების დაწყება რეგიონული უსაფრთხოების სისტემის შექმნის საკითხზე, რომელიც თავის დროზე სომხეთმა წამოაყენა. **პრაიმ-ნიუსი.**

■ ■ ■

**ნიუ-იორკი.** სუუამ-ისს ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების აშშ-ს სახელმწიფო მდივნის თანაშემწესთან ევროპასა და ევროაზიაში ელიზაბეტ ჯოუნსთან შეხვედრისას, აშშ-სა და სუუამ-ის წევრი ქვეყნების მიერ შემდგომი თანამშრომლობის კომუნიკეს მოეწერა ხელი. საქართველოს მხარეს შეხვედრაზე საგარეო საქმეთა მინისტრი ირაკლი მენაღარიშვილი წარმოადგენდა. კომუნიკეში დადასტურებულია მზადყოფნა შემდგომი თანამშრომლობის გაღრმავებისთვის. გაერთიანებაში მყოფი ქვეყნები განიხილავენ კონკრეტულ პროექტებს. კერძოდ, აშშ აპირებს, აქტიურად ჩაერთოს უსაფრთხოებისა და სატრანსპორტო დერეფნების ეფექტური ფუნქციონირების მიზნით სუუამ-ის წევრი ქვეყნების მიერ შექმნილი პროქტების დამუშავებასა და დაფინანსებაში. **კავკასპრესი**

■ ■ ■

**ნიუ-იორკი.** თუ აშშ დაუთმობს რუსეთს საქართველოსთან მიმართებაში, მაშინ ეს ამერიკელების ინტერესებს ავნებს. გარდა ამისა, "ეს იქნება რუსეთისათვის პრეცედენტი და უბიძგებს მას შემდეგი საშიში ქმედებები შუა აზიაში განახორციელოს. რუს ნაციონალიტებს ეყოფათ სითამამე და შეეცდებიან, ჩაერიონ აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების საქმეებში", - აღნიშნულია გავლენიან ამერიკულ გაზეთში **Wall Street Journal.**

გაზეთი იმედოვნებს, რომ სიტუაცია საქართველოსთან მიმართებაში გადაწყდება, თუ ბუში უფრო მკაფიოდ ახსნის დოქტრინას ირანზე საჰაერო დარტყმის განხორცილების შესახებ.

ამ დროისათვის ბუშის მიერ ნათქვამი "პრევენტიული დარტყმების შესახებ" შეიძლება ცუდად გაიგონ და სხვა ქვეყნების, მათ შორის, საქართველოს მიმართ გამოიყენონ, - წერს გაზეთი. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** ჩეჩნეთის წარმომადგენელი საქართველოში ხიზრი ალდამოვი წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საერთაშორისო კომიტეტის თანამშრომლებს შეხვდება ჩეჩენი ლტოლვილების მესამე ქვეყნებში გადაყვანის საკითხზე. საქართველოში ამჟამად დაახლოებით 4800 ჩეჩენი ლტოლვილია, რომლებიც ხელმოწერებს აგროვებენ მესამე ქვეყანაში გადაყვანის მოთხოვნით, რათა საქართველო რუსეთის აგრესიის ქვეშ არ მოექცეს. ალდამოვის თქმით, ჯერჯერობით უცნობია, მიიღებს თუ არა რომელიმე მესამე ქვეყანა ჩეჩენ ლტოლვილებს. **პრაიმ-ნიუსი.**




გამომცემელი: რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი-დავით მაღრაძე, ლიტერატურა-მალხაზ ხარბედია, სამყარო-ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი-ნიკოლოზ რურუა, სტილი-ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა-ზაზა ფაჩუაშვილი. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, ირაკლი ბილაშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჭოხარიძე, თამარ კვაჭანტირაძე, მზია შომახია. ჭუანშერ ტიკარაძე. რეკლამა-ზურაბ ჭაოშვილი.

## პარლამენტი ანტიკორუფციულ საბჭოს თავს ესხმის

თამარ ხორბალაძე

*გუშინ საქართველოს პარლამენტის ოთხ კომიტეტში განიხილავდნენ მთავრობის სტრუქტურული რეფორმის პროექტს, რომლიც პარლამენტარებს ჯერ არ უნახავთ.*

*მსჯელობის ძირითად თემად ქონების მართვის სამინისტროს მოსალოდნელი გაუქმება იქცა, რომლის პროექტიც ასევე არ არის შესული პარლამენტში. საერთოდ, პარლამენტს ერთიან პაკეტს, ანუ ანტიკორუფციული საბჭოს რეკომენდაციების საფუძველზე მომზადებულ, სტრუქტურული ცვლილებების გეგმას სახელმწიფო კანცელარია უახლოეს პერიოდში მიაწვდის.*

*პარალელურად ლადო ჭანტურიას კომისიის მიერ მზადდება ძალოვანი სტრუქტურების რეფორმის პროექტიც, რომელიც პარლამენტართა განხილვის საგანი კანცელარიის პროექტთან ერთად გახდება.*

აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ, ჩვენ ხელთ არსებული ინფორმაციით, კანცელარიამ ამ პროექტის მომზადების დროს არ გაითვალისწინა ანტიკორუფციული საბჭოს რეკომენდაცია ენერგეტიკისა და კავშირგაბმულობის სამინისტროების გაერთიანების თაობაზე და ახალ პროექტში ეს ორი სამინისტრო ისევ ძველი სახით არსებობს. დღეს დისკუსია სწორედ ამ სამინისტროებისა და მარეგულირებელი კომისიების არსებობა-არარსებობის შესახებ მიმდინარეობს.



*ძნელია მსჯელობა დოკუმენტზე, რომელიც არ გინახავს.* ლევან ხერხეულიძის ფოტო

რაც შეეხება პავლიაშვილის უწყებას, თავად პრეზიდენტთან გამართული შეხვედრის შემდეგ, რომელსაც ქონების მართვის მინისტრი და ანტიკორუფციული საბჭოს ხელმძღვანელი ესწრებოდნენ, პრეზიდენტმა მოიწონა რეკომენდაცია ჰოლდინგური კომპანიის შექმნის თაობაზე და იგი სტრუქტურული რეფორმის გეგმაში ამ სახით შევიდა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჯერ კიდევ 17 აპრილს გამოცემულ პრეზიდენტის ბრძანებულებაში, რომელიც ანტიკორუფციულ ღონისძიებებს ეხება, ქონების მართვის სამინისტროს გაუქმებისა და ჰოლდინგური კომპანიების შექმნის საკითხი უკვე გათვალისწინებული იყო.

გუშინ საქართველოს პარლამენტის კომიტეტების თავმჯდომარეები აღშფოთებას გამოთქვამდნენ იმის გამო, რომ ასეთ სერიოზულ გადაწყვეტილებებს მთავრობა და ანტიკორუფციული საბჭო პარლამენტთან მოუთათბირებლად იღებენ.

თუმცა, რეალურად, არც მთავრობას და, მით უმეტეს, არც ანტიკორუფციულ საბჭოს, რომელიც სარეკომენდაციო უფლებებით სარგებლობს, ასეთი გადაწყვეტილებებს მიღების საშუალება არ აქვთ და საუბარი, ძირითადად, იმ პროექტის მომზადებაზე მიდის, რომელიც პარლამენტმა უნდა დაამტკიცოს.

ამიტომ, პრინციპულობის გამოჩენა პარლამენტარებს მაშინ მოუწევთ, როცა საბოლოოდ შეთანხმებული რესტრუქტურიზაციის პროექტი, პრეზიდენტის ხელმოწერით, პარლამენტში შევა.

გუშინ საქართველოს პარლამენტის ოთხი კომიტეტის ხელმძღვანელი შეეცადა, რომ ქონების მართვის სამინისტროს სამომავლო ბედზე ეზრუნათ; თუმცა, მოწვეული სტუმრების არგამოცხადებისა და განსახილველი პროექტის ხელთ არქონის გამო, განხილვა, მართლაც, აბსოლუტურად აზრსმოკლებული აღმოჩნდა.

სამაგიეროდ, იგი მალევე გადაიზარდა ანტიკორუფციულ ბიუროზე თავდასხმაში. პარლამენტარებმა ანტიკორუფციონერებს "ხულიგნები", "არაკომპეტენტურები" და "კორუფციონერები" უწოდეს და დაიმუქრნენ, რომ პრეზიდენტს პარლამენტის სახელით მოსთხოვენ ბიუროს გაუქმებას.

გუშინ ქონების მართვის სამინისტროს გაუქმების იდეით შეშფოთებული პარლამენტარები აცხადებდნენ, რომ საბჭოს მიერ გადადგმული "ანტიკორუფციული ნაბიჯები" ჯერ არ უნახავთ, თანაც აღშფოთებას აფიქსირებდნენ საბჭოს წარმომადგენლის გამოუცხადებლობის გამო.

საქართველოს პრეზიდენტი, პარლამენტართა განაწყენების საფუძველზე, საკუთარ სათათბირო ორგანოს რომ არ გააუქმებს, ამთავითვე ცხადია.

ხოლო თავად მთავრობის რესტრუქტურიზაციის გეგმა, რომელიც საბოლოო სახეს ოქტომბრისათვის მიიღებს, მრავალმხრივ საინტერესო გახლავთ. ეს ცალკე განხილვის თემაა, რომელსაც "24 საათი" კვლავ დაუბრუნდება.

## „იზვესტიის„ მრგვალი მაგიდა: „სტაბილიზაციის სათავე რუსეთშია...“

რუსუდან ნიკურაძე
*საკ. კორ. მოსკოვი*

17 სექტემბერს "იზვესტიის" პრესკლუბში გაიმართა მრგვალი მაგიდა: "რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების სტაბილურობის ფაქტორები და დესტაბილიზაციის საფრთხე." მრგვალი მაგიდის მუშაობაში მონაწილეობდნენ დსთ-ს ინსტიტუტის დირექტორი, რუსეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტის ქვეითთა არმიის ყოფილი მეთაური გენერალ-მაიორი **ვლადიმირ რომანენკო**, ამავე ინსტიტუტის თანამშრომელი, საქართველოში რუსეთის ყოფილი ელჩი **ფელიქს სტანევსკი** და საქართველოს თავდაცვის ყოფილი მინისტრი **თენგიზ კიტოვანი**. ღონისძიებას უნდა დასწრებოდა რუსეთში ქართველების სათვისტომოს ვიცე-პრეზიდენტი **დავით ბერიტაშვილი** და საქართველოს საელჩოს დესპანი **თეიმურაზ გამცემლიძეც**, მაგრამ პირველმა მოსკოვში ჩამოფრენა ვერ შესძლო (მოსკოვში სმოგის გამო აეროპორტები დაიკეტა), დიპლომატმა კი თავი შეიკავა. ალბათ, კიტოვანის გვერდით ჯდომა არ ისურვა. ამიტომაც მოპასუხე მხარის როლში არავინ აღმოჩნდა, ანუ ქართულ მხარეს, კიტოვანის გარდა, არავინ წარმოადგენდა და არც არავინ იცავდა, ქართველი ჟურნალისტების გამოკლებით (საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ მოსკოვში ამ ბოლო დროს მსგავს ღონისძიებში მონაწილეობისაგან ქართული მხარე თავს იკავებს. გასაგებიცაა, დიპლომატები ნერვებს უფრთხილდებიან. ასეთ შემთხვევებში ქართველი ჟურნალისტები იძულებულნი ვხდებით, პროფესიული ეთიკა დავარღვიოთ და აშკარა უსამართლობაზე ადგილებიდან რეპლიკები ვისროლოთ. არადა, უსაფუძვლო ბრალდებებზე სწორედ დიპლომატებმა უნდა გასცენ პასუხი. ამიტომაც, ბევრ ღონისძიებაში გამარჯვებული - რუსული მხარე, ხოლო რუსული მასმედია შეცდომაში შეყვანილი რჩება).

გენერალმა რომანენკომ საქართველოში შევარდნაძის მმართველობის ათი წლის ტრაგიკულ შედეგებზე ისაუბრა, მოშლილი ეკონომიკა და რუსეთთან გაფუჭებული ურთიერთობები გაიხსენა და ჟურნალისტების წინაშე მოინანია, თავის დროზე საქართველოში შევარდნაძის ჩაყვანაში დიდი როლი რომ ითამაშა. "ქართული პუტჩის შემდეგ ჩვენმა ფლოტმა შევარდნაძეს დიდი ამაგი დასდო, მან კი ასე გადაუხადა რუსეთს სამაგიერო," - თქვა რომანენკომ. მისი აზრით, ამიერკავკასიაში სერიოზულ დესტაბილიზაციას ნავთობის ტრანსნაციონალური კორპორაციები იწვევენ.

ფელიქს სტანევსკიმ თავისი მგზნებარე გამოსვლა იმის გარკვევას მოანდომა, თუ რამდენ მილიონ დოლარს ჰპარავს რუსეთს საქართველო ყოველწლიურად. თურმე, ერთ მილიარდს - აღურიცხავი ექსპორტის ხარჯზე. რუსეთიდან საქართველოში ფინანსური გადასხმების მასშტაბი უდიდესია, ხოლო, რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებით, ქართველი კანონიერი ქურდების რაოდენობა რუსეთში კრიმინალთა 40 პროცენტს შეადგენს.

თენგიზ კიტოვანმა შევარდნაძის საქართველოში ჩაყვანაში რუსეთი და ჯაბა იოსელიანი დაადანაშაულა, გენერალი რომანენკოც ზედ მიაყოლა, ფელიქს სტანევსკი გამოლანძღა და განაცხადა, რომ "მეფე ერეკლე შევარდნაძეზე ბევრად ჭკვიანი იყო."

მრგვალი მაგიდის მონაწილეები შეთანხმდნენ, რომ "რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების გაუარესებაში მავნე როლს თამაშობს აშშ-ს სამხედრო დასწრება პანკისში."

მრგვალი მაგიდის მონაწილეებს ჟურნალისტებმა სთხოვეს, დაესახელებინათ საქართველო-რუსეთის ურთიერთობებში სტაბილიზაციის წყაროები. სტუმრების თქმით, სტაბილიზაციის სათავე რუსეთშია.

## მაიაკოვსკის აჩრდილი - "წაიკითხეთ და აღივსეთ შურით..."

გიორგი ასანიშვილი

ჩვენი ქვეყნის მისამართით პუტინის მიერ წარმოთქმულმა მრისხანე ულტიმატუმმა ბევრი რამ გამოააშკარავა. პოლიტიკოსთა ერთმა ნაწილმა უკვე ღიად სცადა, დაეცვა რუსეთის ინტერესები.

ასეთი ტიპის პოლიტიკოსის კლასიკურ ნიმუშად შეიძლება სოციალისტური პარტიის თავმჯდომარე ვახტანგ რჩეულიშვილი დავასახელოთ.

**"ყველაფერი, რაც გვჭირს, ცუდიც და კარგიც, შევარდნაძისგან მოდის",** - ასეთი დასკვნით დაბრუნდა რჩეულიშვილი მოსკოვიდან. რუსეთის დედაქალაქში მისი "მასპინძლები" იყვნენ ისეთი რუსი პოლიტიკოსები, როგორებიც არიან: ვლადიმირ ჟირინოვსკი, ბორის პასტუხოვი, ანატოლი ჩეხოევი, არტურ ჩილინგაროვი და სხვები.

**"რუსი პოლიტიკოსები გაღიზიანებულნი არიან შევარდნაძით და მეც მესმის მათი - შევარდნაძემ საქართველო და ამერიკის შეერთებული შტატები მოკავშირეებად აქცია!"** - ერთად აღმოუჩენიათ ამღვრეული წყლის სათავე სტუმარ-მასპინძლებს. რჩეულიშვილს შეუმუშავებია "კონცეფცია", რომელსაც ავტორი, რატომღაც, "ჯვარისებრს" უწოდებს. მისი არსი ასეთია: ვინაიდან დღეს საქართველო და ამერიკა მოკავშირეებს წარმოადგენენ, ხოლო საქართველო და რუსეთი - მტრებს, საჭიროა, რუსეთიც საქართველოს მოკავშირის სტატუსამდე ავიყვანოთ! **"მერე ადგნენ და რუსეთი და ამერიკა შეეჯიბრონ ერთმანეთს საქართველოსთვის სიკეთის კეთებაში",** - თავისი სამშობლოს მომავალი ბედნიერების ფორმულის აღმოჩენით, კმაყოფილებას არ მალავს რჩეულიშვილი.

იმისთვის, რომ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები გაუმჯობესდეს, სოციალისტური პარტიის თავკაცს აუცილებლად მიაჩნია რამდენიმე ნაბიჯის გადადგმა (რა თქმა უნდა, საქართველოს მხრიდან). რჩეულიშვილის აზრით, **" საჭიროა, რუსეთს დაუყოვნებლივ გადაეცეს საქართველოში დაკავებული ის ჩეჩენი მებრძოლები, რომლებმაც უკანონოდ გადმოკვეთეს სახელმწიფო საზღვარი".** გარდა ამისა, სოციალისტური პარტიის თავმჯდომარეს მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ **"ვიფიქროთ პანკისის ხეობაში ერთობლივ ქართულ-რუსულ-ამერიკულ სპეცოპერაციაზე, ანტიტერორისტული კოალიციის ფარგლებში".** ოღონდ, აუცილებელია, ეს ღონისძიება სპეცსამსახურების მასშტაბით შემოიფარგლოს და სამხედრო ხასიათის აქციაში არ გადაიზარდოს. ვიცე-სპიკერი დიდ იმედებს ამყარებს საპარლამენტო დელეგაციების მომავალ შეხვედრაზეც, რომელიც 27 სექტემბერს გაიმართება მოსკოვში.

როდესაც ზემოთ პრორუსული ორიენტაციის პოლიტიკოსების "ამოსაცნობ ნიშნებზე" ვსაუბრობდით, ერთი მნიშვნელოვანი ნიუანსი არ გვიხსენებია. ეს არის საბჭოთა ეპოქისადმი ნოსტალგია. ამ სევდიანმა ნოტამ გუშინდელ პრესკონფერენციაზე, მართალია, სულ ერთხელ, მაგრამ ძალზე ხატოვნად გაიჟღერა.

**"საბჭოთა კავშირი კარგად მახსენდება, ვინაიდან საბჭოთა პასპორტს რომ დავაძრობდი, მთელი ამერიკა ფეხზე იდგა",** - როგორც ირკვევა, მაიაკოვსკის პოეზიაში გაჟღერებული სიამაყე არც რჩეულიშვილისთვის ყოფილა უცხო.

## რუსეთსა და საქართველოს შორის საინფორმაციო ომი გრძელდება

კრასნოდარის მხარის საინფორმაციო საშუალებებისთვის მიცემულ ინტერვიუში რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა განაცხადა, რომ ედუარდ შევარდნაძის საპასუხო წერილით კმაყოფილი არ არის. "ჩვენ ვითხოვდით, საქართველოს ხელმძღვანელობას წარმოედგინა იმის გარანტიები, რომ საქართველოს მხრიდან რუსეთის ტერიტორიაზე ადგილი არ ექნებოდა ბანდიტურ გამოხტომებს. ასეთი გარანტიები ჩვენ არ მიგვიღია," - აღნიშნავს პუტინი.

"ჩვენ სულ უფრო მეტი ინფორმაცია გვიგროვდება იმის თაობაზე, რომ საქართველოს ხელმძღვანელობას არა მარტო არ უნდა ჩვენთან თანამშრომლობა, არამედ ის ტერორისტებთან თანამშრომლობს", - აცხადებს რუსეთის პრეზიდენტი. მეტიც: პუტინის თქმით, თბილისში დაინტერესებულნი არიან, რომ "შიდაპოლიტიკური პრობლემების მოსაგვარებლად" ეს სიტუაცია "დაკონსერვდეს". "ნათელია, - აღნიშნავს რუსეთის პრეზიდენტი, - საქართველოს ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ საგარეო საფრთხეს შეუძლია, შიდაპოლიტიკური მდგომარეობის სტაბილიზება მოახდინოს".

გუშინვე "ეხო მოსკვი"-მ გაავრცელა საქართველოს დაზვერვის დეპარტამენტის ხელმძღვანელის ავთანდილ იოსელიანის განცხადება, რომელიც შეიცავს მტკიცებას, რომ საველე მეთაური რუსლან გელაევი ჩუმად გადავიდა ჩეჩნეთში და ამჟამად შატოის რაიონში იმყოფება.

იოსელიანის განცხადებით, ამჟამად საქართველოში ბოევიკების მცირერიცხოვანი დაქსაქსული რაზმები იმყოფებიან, რომელში შემავალ მებრძოლთა საერთო რიცხვი რამდენიმე ათეულს არ აღემატება.

რუსმა სამხედროებმა უმალ უარყვეს ინფორმაცია გელაევის მიერ რუსეთ-საქართველოს საზღვრის გადაკვეთის შესახებ. ჩრდილოეთ კავკასიაში კონტრტერორისტული ოპერაციის შტაბის წარმომადგენელმა ილია შაბალკინმა "ინტერფაქსს" განუცხადა, რომ ფედერალური ძალების ხელმძღვანელობას ჩეჩნეთში გელაევის ყოფნის თაობაზე არავითარი მონაცემები არ გააჩნია.

შაბალკინი იოსელიანის განცხადებას უწოდებს "მორიგ დეზინფორმაციას" და "სპექტაკლის გაგრძელებას, რომლის მიზანია იმის დემონსტრირება, რომ ჩეჩენი ბოევიკები და საერთაშორისო ტერორისტები საქართველოში არ არიან".

*"24 საათი"*

## ერთდღიანი მშვიდობა დედამიწაზე

ვერიკო თევზაძე

*21 სექტემბერს, შესაძლოა, მთელმა დღემ მსოფლიოში მშვიდობიანად ჩაიაროს. ყოველ შემთხვევაში, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია შეეცდება, მის მიერ დაწესებული "მსოფლიო მშვიდობის დღე" სიმბოლური არ აღმოჩნდეს.*

2001 წლის 28 სექტემბრის განკარგულებით, გაერომ 21 სექტემბერი მსოფლიო მშვიდობის დღედ გამოაცხადა. **"ამ დღეს პლანეტაზე იკრძალება ცეცხლის გახსნა, აგრესიის ნებისმიერი გამოვლენა. გაერო მოუწოდებს ყველა ქვეყანას, მხარი დაუჭიროს მის ინიციატივას და კეთილი ნება გამოავლინოს"**, - განუცხადა ჟურნალისტებს საქართველოში გაეროს გენერალური მდივნის პირადი წარმომადგენლის, ჰაიდე ტალიავინის პოლიტიკურმა მრჩეველმა ალექსანდრა ჯორჯიმ.

ჯორჯის საუბრიდან ირკვევა, რომ გაერო აშკარად უკმაყოფილოა ქართულ-აფხაზური კონფლიქტის გაჭიანურებით: **"ათი წელიწადი ომის დაწყებიდან, ქართველებისთვისაც და აფხაზებისთვისაც, უნდობლობისა და გაუგებრობის წლებია. გაერო შეწუხებულია იმის გამო, რომ კონფლიქტმა ათასობით დევნილი გაჭირვებაში ჩააგდო, უსახლკაროდ დატოვა."**



*ალექსანდრა ჯორჯი* იური ლობოდინის ფოტო

გაერო იმედოვნებს, რომ 21 სექტემბრის თარიღი კაცობრიობას ომის სისასტიკეზე დააფიქრებს, კეთილგონიერებისკენ მოუწოდებს.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ მშვიდობის დღეს მთელი კვირეული მიუძღვნა. 17-დან 24 სექტემბრის ჩათვლით ჩატარდება სხვადასხვა შინაარსის ღონისძიებები. შვიდობის კვირეული თბილისში დაიწყება და გაგრძელდება ზუგდიდში, სოხუმში, გალში...

გაერო-ს ეგიდით აფხაზეთის ტელევიზია უჩვენებს გადაცემათა ციკლს "რწმენით და იმედით." გაიმართება კონფერენციები. ქალაქ ზუგდიდში ჩატარდება საზეიმო ღონისძიება, სადაც სიტყვით გამოვა საქართველოში გაერო-ს გენერალური მდივნის პირადი წარმომადგენელი ჰაიდე ტალიავინი, რომელიც ამჟამად გაერო-ში (ნიუ-იორკში), ქართულ-აფხაზურ კონფლიქტთან დაკავშირებით, ოფიციალურ შეხვედრებს მართავს.

20 სექტემბერს, თბილისში, მემორიალური დაფა გაიხსნება. იგი შარშან, კოდორის ხეობაში, გაერო-ს შვეულმფრენის ჩამოგდებისას დაღუპულთა ხსოვნას უკვდავყოფს. სხვადასხვა სახის შეხვედრებია დაგეგმილი სოხუმში, ტყვარჩელში, ოჩამჩირეში, გაგრაში, გალში. საინტერესოა ის ფაქტი, რომ ამ შეხვედრებს სოხუმის დე-ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლებიც დაესწრებიან.

## პრეზიდენტი საათნახევარი ფიქრობდა, გაფრენილიყო თუ არა ბაქოში

პირველი გვერდიდან

შევარდნაძე, ვალერი ხაბურძანიასა და კობა ნარჩემაშვილთან ერთად, თითქმის საათნახევრის მანძილზე იხილავდა პანკისში არსებულ ვითარებას, სადაც გუშინწინ, გვიან ღამით, ჯერჯერობით დაუდგენელმა ჩეჩენმა ბოევიკმა მძიმედ დაჭრა ქართველი სპეცრაზმელი, რის შემდეგაც ბოევიკი სნაიპერის ტყვიით იქნა ლიკვიდირებული. "24 საათის" ინფორმაციით, თათბირს ასევე ესწრებოდნენ უშიშროების საბჭოს მდივანი თედო ჯაფარიძე, სახელმწიფო მინისტრი ავთანდილ ჯორბენაძე, დაზვერვის დეპარტამენტის თავმჯდომარე ავთანდილ იოსელიანი, საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარე ვალერი ჩხეიძე, თავდაცვის სამინისტროს გენშტაბის უფროსი ჯონი ფირცხალაიშვილი, უშიშროების მინისტრის მოადგილე ლაშა ნაცვლიშვილი და პრეზიდენტის აპარატის უფროსი პეტრე მამრაძე.

დახურულ თათბირზე, კონფიდენციალური წყაროს ინფორმაციით, დიდი ყურადღება დაუთმეს ახმეტის რაიონში შექმნილ სიტუაციასაც, სადაც გუშინ ადგილობრივმა მოსახლეობამ შინაგან საქმეთა მინისტრის საწინააღმდეგო მიტინგი გამართა და კატეგორიულად მოითხოვა ახმეტის პოლიციის ყოფილი უფროსის თურქიაშვილის გათავისუფლება. ახმეტელები ამტკიცებენ, რომ 14 სექტემბერს ორივე ფეხში დაჭრილი ჩეჩენი ბოევიკი ისა მურადოვი, რომელიც ცნობილი საველე მეთაურის ახმადოვის დაჯგუფების წევრია, თურქიაშვილმა შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალჩინოსნის სატელეფონო ზარის შემდეგ გააპარა საავადმყოფოდან, ახლა კი დანაშაულს თურქიაშვილს ჰკიდებენ. 250-მდე ახმეტელმა კობა ნარჩემაშვილს, თურქიაშვილის გასათავისუფლებლად, ხვალამდე მისცა დრო, წინააღმდეგ შემთხვევაში, მომიტინგეები დესტაბილიზაციითა და თბილისი-ახმეტის დამაკავშირებელი მაგისტრალის გადაკეტვით იმუქრებიან.

**"ჩვენ პრეზიდენტს სრული ინფორმაცია მივაწოდეთ საქართველოში არსებული მდგომარეობის შესახებ. სიტუაციას ბოლომდე ვაკონტროლებთ და სერიოზულ დესტაბილიზაციას არ ველოდებით. მანაც გადაწყვიტა, ბაქოში გაფრენილიყო,"** — გვითხრა პრეზიდენტის ლაინერის აფრენიდან ათი წუთის შემდეგ აეროპორტის სამთავრობო შენობიდან გამოსულმა კობა ნარჩემაშვილმა. **"თურქიაშვილის საკითხს გამოძიება გაარკვევს. ამჯერად ვადგენთ იმ ჩეჩნის ვინაობას, რომელიც არ დაგვემორჩილა და ცეცხლი გაგვიხსნა. ის სერიოზული ჯგუფის წევრი უნდა იყოს, რადგან ძალიან სერიოზულად იყო შეიარაღებული. ოპერაცია გადამწყვეტ ფაზაში შედის და ასეთი და სხვა სახის გართულებები გამორიცხული არ არის,"** — განაცხადა ნარჩემაშვილმა.

უშიშროების მინისტრმა ვალერი ხაბურძანიამ კი კატეგორიულად უარყო გერმანული გაზეთის - "ბერლინერ მორგენპოსტის" მიერ გუშინ გავრცელებული ინფორმაცია, თითქოს საქართველომ აშშ-ს, პანკისში აყვანილი ტერორისტული ორგანიზაცია "ალ ქაიდას" ცხრა წევრი გადასცა. **"ეს ისეთივე სიცრუა, როგორიც ის, რომ თითქოს პიტერ შოუ გავათავისუფლეთ,"** — გვითხრა ხაბურძანიამ.

გუშინ ბაქოში დაგვიანებით ჩაფრენილ შევარდნაძეს აეროპოტშივე დახვდა აზერბაიჯანის პრეზიდენტი ჰეიდარ ალიევი. მოგვიანებით ალიევის რეზიდენციაში გაიმართა ჯერ - ორმხრივი, შემდეგ კი ოთხმხრივი შეხვედრა აზერბაიჯანის, საქართველოსა და თურქეთის პრეზიდენტებსა და აშშ-ს ენერგეტიკის მინისტრს შორის. დღეს ალიევი, შევარდნაძე, სეზერი და აბრაჰამი, ბაქოდან 35 კილომეტრის დაშორებით, სანგაჩალის ტერმინალზე, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობის დაწყების აღსანიშნავად, "პირველ აგურს" ჩადებენ, მოგვიანებით კი "გულისტანის" სასახლეში საზეიმო სადილი გაიმართება. შევარდნაძე თბილისში დღესვე, საღამოს ცხრა საათისთვის ჩამოფრინდება.

## „პარტიებისთვის საკრებულოს არჩევნები თამაში იყო"

პირველი გვერდიდან

არარსებობა კი მოქმედების სრულ თავისუფლებას იძლევა.

შექმნილი ვითარების კომენტირებისას პარტიების წარმომადგენლები ერთხმად აღიარებენ, რომ თბილისში ავტორიტარული მმართველობაა, ამაზე პასუხისმგებლობის აღება კი არავის სურს. პოლიტიკოსები საუბრობენ ფარულ გარიგებებზე, საკმაოდ მწირი უფლებების მქონე საკრებულოებზე, სხვა პოლიტიკოსების ანგარებაზე - ერთი სიტყვით, ყველაფერზე, საკუთარი პასუხისმგებლობის გარდა.

ფრაქცია "ტრადიციონალისტის" წევრი ალექსანდრე შალამბერიძე აცხადებს, რომ თბილისს აუცილებლად უნდა ჰყავდეს საკრებულო, თუნდაც დარღვევებით არჩეული.

**"დღეს აღმასრულებელ ხელისუფლებას, ნებისმიერი უკანონობის ჩასადენად, ხელ-ფეხი აქვს გახსნილი. თუმცა, მეორე მხრივ, სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება შესასრულებელია და ბიულეტენები - გადასათვლელი. რაც შეეხება პარტიებს, ყველა გადასულია ერთმანეთის "ჩაძირვაზე", ვაჭრობებზე, ფეხის დადებაზე. შევარდნაძის სინდრომმა ჩვენში მძლავრად მოიკიდა ფეხი. იგი სწორედ ინტრიგების ხლართვით ინარჩუნებს სავარძელს და ქცევის ასეთი ნორმა ყველასათვის მისაღები გახდა.**

**საკუთარი ინტერესებისთვის ბრძოლამ მთლიანად გადაფარა საკრებულოს მნიშვნელობა. თანაც, პარტიებისათვის მას განსაკუთრებული ხიბლი არც გააჩნია. საკრებულოს არა აქვს მინიჭებული ფართო უფლებები, არ შეუძლია ქალაქის მერის გადაყენება ან არჩევა, გადანაწილებულია ამ წლის ბიუჯეტიც,"** - ამბობს ალექსანდრე შალამბერიძე.

ფრაქციის - "მოძრაობა დემოკრატიული რეფორმებისათვის" - წევრის პეტრე ცისკარიშვილის აზრით, **"თბილისს საკრებულო აუცილებლად სჭირდება. შევარდნაძისთვის მთავარი პრობლემა მისი ოპოზიციურობაა. სასამართლოებზე ზეწოლით, ხელისუფლება ყოველნაირად ცდილობს, საკრებულო არ შედგეს და ერთპიროვნული მმართველობა შემოიღოს. ამის სიმპტომები აშკარად შეიმჩნევა."**

ანზორ აბრალავა, ფრაქცია "21-ე საუკუნე":

**"პარტიებს საკუთარ თავზე პასუხისმგებლობის აღების ეშინიათ. ძალიან მშვიდად არიან ლეიბორისტები და "ნაციონალური მოძრაობა." ისინი ფრაგმენტულად თუ საუბრობენ საკრებულოზე, რადგან იციან, რომ ქალაქს ვერ მოუვლიან. დღეს თბილისს ვერავინ მოუვლის. ამას ძალაუფლება სჭირდება.**

**არჩევნები გართობა გახლდათ. გაყალბებაში კი ყველა იყო ჩართული. რაც შეეხება დემოკრატიას, საზოგადოებაში დემოკრატიული მოთხოვნები კომუფლაჟურია. ჩვენ გვჭირდება არა სიტყვის, არამედ საქმის, მოქმედების თავისუფლება. საზოგადოება ამას ვერ აღწევს."**

"ახალი მემარჯვენეების" წარმომადგენელს, დავით საგანელიძესაც დაუშვებლად მიმაჩნია ის ფაქტი, რომ დღემდე თბილისს საკრებულო არ ჰყავს. **"არ მინდა, ჩემი ნათქვამი პოლიტიკურ დაპირისპირებაში გადაიზარდოს, მაგრამ სასამართლოში საჩივრის იმ ფორმით შეტანა სერიოზული შეცდომა იყო. თანაც, გაჩნდა, ჩემი აზრით, აბსოლუტურად მიუღებელი მოსაზრება ძველი მოწვევის საკრებულოსთვის უფლებამოსილების გაგრძელების თაობაზე. თუკი ასეთი მცდელობა არ შეწყდება, ჩვენი პარტია მის მომხრეებს ძალიან სერიოზულად დაუპირისპირდება. ერთადერთი, რამაც შეიძლება, ვითარება გამოასწოროს, ცესკოზე ზემოქმედებაა. იმის მაგივრად, რომ გაგვეგო, თუ რა სახის დარღვევები იყო თბილისში, ცესკომ ბიულეტენების გადათვლა დაიწყო. ცესკო დამნაშავეა პროცესის გაჭიანურებაში. ის მიზეზები, რომელიც ბატონმა ჯუმბერ ლომინაძემ მოიტანა, ჩემთვის გაუგებარია. რას ნიშნავს სამსახურში არ მოდიან? რამდენიმე ადამიანის სამსახურში მიუსვლელობის გამო, ქალაქს საკრებულო არ ჰყავს. საკრებულოს პარალიზება აღმასრულებელ ხელისუფლებაში ძალიან ბევრს აძლევს ხელს.**

**ახლა რაც შეეხება პარტიებს. ზოგი მზად არ არის, აიღოს პასუხისმგებლობა, ზოგს ეშინია, რომ ვინმემ ტრიბუნა პოპულიზმისათვის არ გამოიყენოს. ანუ, აღმოჩნდა, რომ უმეტესობას არ უნდა საკრებულოს ამოქმედება. ბევრმა ეს არჩევნები საკუთარი პარტიის პროპაგანდისთვის, პოპულიზმისთვის გამოიყენა, ხოლო როცა საქმე საქმეზე მიდგა, მაშინვე დაემალა პასუხისმგებლობას. დღეს კი ქალაქში ავტორიტარული მმართველობაა. პრობლემებს რამდენიმე კაცი წყვეტს",** - განუცხადა "24 საათს" დავით საგანელიძემ.

ბიზნესის ამბები

## რით "დააბა" მსოფლიოში უდიდესი კომპანია მისმა ყოფილმა თავკაცმა?

თორნიკე შარაშენიძე

აშშ-ს სამართალდამცავები კომპანია "ჯენერალ ელექტრიკის" ყოფილი თავკაცის, ჯეკ უელჩის ქონებრივი მდგომარეობის შესწავლას შეუდგნენ. არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ ამერიკის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული მენეჯერი თავისი ყოფილი კომპანიისგან ზედმეტი შეღავათებით სარგებლობს. კერძოდ, პენსიაზე გასულ უელჩს "ჯენერალ ელექტრიკის" ხარჯზე ემსახურება თვითმფრინავი და თავის მრავალრიცხოვან ვილებში თანამედროვე ტელევიზიის ხარჯებსაც კომპანია უფარავს.

"ჯენერალ ელექტრიკმა" დაადასტურა, რომ მას მიმართა აშშ-ის ფასიანი ქაღალდების კომისიამ და უკვე გამოითხოვა საბუთები უელჩის საპენსიო განაკვეთების შესახებ. როგორც ირკვევა, 1996 წელს უელჩმა კომპანიასთან კონტრაქტის პირობების გაუმჯობესება ითხოვა და ამაზე თანხმობაც მიიღო. მაგრამ ახალი კონტრაქტის მიხედვით, უელჩს პენსიაზე გასვლის შემდეგ მხოლოდ ოფისისა და მდივნის ხარჯები კომპენსირდებოდა. უელჩი უკვე აღიარებს "დანაშაულს" და აცხადებს, რომ მზადაა, მომავალში, კომპანიას დაუფაროს თვითმფრინავისა და სხვა ფუფუნების საგანთა ხარჯები. ეს მას ყოველწლიურად 2,5 მილიონი დოლარი დაუჯდება. თუმცა, მან რაც არ უნდა მოიმოქმედოს, მთავარი ამბავი მაინც გაურკვეველია: რა მექანიზმებით აიძულა ყოფილმა მთავარმა აღმასრულებელმა "ჯენერალ ელექტრიკი" მისთვის ამდენ რამეზე წასულიყო.

ყველაზე საინტერესო კი ის არის, რომ ყოველივე ამას სამართალდამცავები და, საერთოდ, საზოგადოება ვერასდროს გაიგებდა, რომ არა უელჩის ოჯახური პრობლემები. "ჯენერალ ელექტრიკის" ყოფილი თავკაცი ცოლს შორდება და თვითმფრინავისა და ტელევიზიის ამბები მაშინ გასკდა, როცა უელჩის მეუღლემ, ჯეინმა, სასამართლოს მიმართა და ცხოვრების ყოფილი თანამეცხედრის ქონების ნახევარი მოითხოვა.

"ჯენერალ ელექტრიკი" კარგა ხნის განმავლობაში მსოფლიოს უდიდესი კომპანია გახლდათ, თუმცა, ბოლო დროის კორპორაციულმა სკანდალებმა მის აქციათა ფასზეც იმოქმედა და ახლა უელჩის ყოფილი იმპერია პირველობას "სიტიგრუპს" გადაულოცავს. "ჯენერალ ელექტრიკის" მოღვაწეობა უამრავ სფეროს მოიცავს: დაწყებული საშინაო ტექნიკითა და ავიაძრავებით, დამთავრებული ფინანსური მომსახურებით. ამ კომპანიას ეკუთვნის ცნობილი ტელეარხი "ენბისი". წარმატებებს "ჯენერალ ელექტრიკი" სწორედ უელჩს უნდა უმადლოდეს, რომელიც 41 წლის განმავლობაში მუშაობდა კომპანიაში, აქედან 21 წელი - მთავარ აღმასრულებლად. მთელი ამ ხნის განმავლობაში კომპანიას წამგებიანი წელი არ ჰქონია, ხოლო მისი შემოსავალი არნახული სისწრაფით იზრდებოდა.

გასაკვირი არ არის, რომ უელჩი სამაგალითო მენეჯერად არის მიჩნეული. თუმცა, ეჭვობენ, რომ სწორედ მან დაუდო საფუძველი ისეთ კორპორაციულ თაღლითობებს, როგორიცაა მოგებათა გაბერვა და აქციათა ფასის ხელოვნური აწევა. თუმცა, უელჩი ყოველთვის იფიცებოდა, რომ მისთვის რეპუტაცია უმთავრესია.

## „სვისი„ - ახალი სახელი და ძველი პრობლემები

შვეიცარული ეროვნული ავიაკომპანია "სვისში", რომელიც გაკოტრებული ავიაკომპანია "სვის ეირის" მემკვიდრედ ითვლება, მიიჩნევენ, რომ მისი დანაკარგები 2002 წლისთვის ნაკლები იქნება, ვიდრე პროგნოზირებული (1,2 მილიარდი ევრო) იყო. თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ ავიაკომპანიის ფინანსური მდგომარეობა საკმაოდ გართულებულია. მიუხედავად იმისა, რომ წლის პირველ ნახევარში ფინანსური დანაკარგების მოცულობა მკვეთრად შემცირდა, კომპანიის ხელმძღვანელობა აცხადებს, რომ საგადამხდელო ბალანსის დეფიციტი დიდია და შედეგი ძლიერ განსხვავდება სასურველისაგან. "სვისის" ხელმძღვანელებმა ასევე უარყვეს გავრცელებული ინფორმაცია, რომ ავიაკომპანია აპირებს 800 მფრინავის გათავისუფლებას.

რესტუქტურიზაციის გეგმა, რომელიც გულისხმობს "სვისის" კრიზისიდან გამოსვლას, განხორციელდება 2003 წელს. 2,5 მილიარდი ფრანკი (დაახლოებით, ორი მილიარდი ევრო) უკვე გამოყოფილია გეგმის რეალიზებისთვის შვეიცარიის მთავრობისა და ინვესტორებისაგან. გეგმის ძირითადი არსი "პრემიუმ კლასის კომპანიის" კონცეფციებზე უარის თქმაა, რომელმაც მთავარი როლი შეასრულა "სვისეირის" დაღუპვაში.

## „დაიმლერ-კრაისლერი" „მიცუბიშის" ფილიალის 40 პროცენტს ყიდულობს

ამერიკულ-გერმანული "დაიმლერ-კრაისლერი" გეგმავს, რომ შეიძინოს "მიცუბიშის" ფილიალის (სპეციალური ავტოტექნიკის მწარმოებელი კომპანია "ფუსოს") 40 პროცენტი. გარიგების ფასია 700 მილიონი ევრო.

გასულ კვირას "დაიმლერ-კრაისლერის" სპეციალური ავტოტექნიკის გამომშვები ქვედანაყოფის ხელმძღვანელმა, ექხარდ კარდესმა, ჰანოვერში გამართულ ავტოშოუზე განაცხადა, რომ "ფუსოში" ამერიკულ-გერმანული კონცერნის წილი 50 პროცენტზე ნაკლები იქნებოდა. ეს გამოწვეულია იმით, რომ გარიგების შემდეგ "დაიმლერ-კრაისლერი" აღარ იქნება ვალდებული "ფუსოს" საფინანსო მაჩვენებლები საკუთარ ბალანსში ასახოს.

## რუსეთში ევრო დოლარს თანდათანობით ავიწროვებს

"ენტევე.რუ"-ს ცნობით, ევრო რუსეთის ბაზარზე დოლარს სულ უფრო და უფრო ავიწროვებს. ივლისში რუსეთის ბანკებმა პირველად შეიტანეს ქვეყანაში დოლარზე მეტი ნაღდი ევრო. რუსეთის ცენტრალური ბანკის ინფორმაციით, ივლისში რუსეთის ბანკებმა ქვეყანაში შეიტანეს 573 მილიონი დოლარი და 701 მილიონი ევრო ნაღდი ფულით. ერთი თვის წინ ევრო რუსეთში ორჯერ ნაკლები (311 მლნ ევრო) შეიტანეს, ვიდრე - დოლარი.

ბანკირები ევროს პოპულარობის უეცარ ზრდას ორი მიზეზით ხსნიან. პირველი: ამ ვალუტაზე ევროპაში დამსვენებელთა მოთხოვნილებაა, მით უმეტეს, რომ ევროს სიამოვნებით იღებდნენ ევროზონის გარეთაც; მაგალითად, თურქეთსა და კვიპროსზე. მეორე მიზეზი კი ის იყო, რომ დოლარსა და ევროს შორის პარიტეტის მიღწევისას, რუსები ევროს დაგროვების საშუალებადაც იყენებდნენ. "ნაღდი დოლარების ნაკადის ზრდის გამო მათი ადრინდელი მოცულობით შემოტანა საჭირო აღარ იყო, ევროზე გაზრდილმა მოთხოვნილებამ კი ბანკებს მისი შემოტანის მოცულობის ზრდისკენ უბიძგა", - აცხადებენ ბანკირები.

თუმცა, ცენტრალური ბანკის მონაცემები ცხადყოფს, რომ დოლარს ჯერ კიდევ სრულად არ დაუკარგავს რუსებისთვის ყველაზე პოპულარული ვალუტის პოზიციები: ივლისში ბანკებმა ფიზიკურ პირებს 639 მილიონი დოლარის ევრო მიჰყიდეს, მაგრამ მოსახლეობამ დოლარები მაინც მეტი შეიძინა – 690 მილიონი. ბანკირები მიიჩნევენ, რომ ამჟამად ევროზე მოთხოვნილების პიკმა გაიარა. აგვისტოში ნაღდ ევროზე წარმოებულმა ოპერაციებმა ნაღდ ვალუტაზე საერთოდ განხორციელებული ოპერაციების მოცულობის 30 პროცენტზე მეტი არ შეადგინა.

ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 2002 წლის 12 - 18 სექტემბრის მდგომარეობით




მსოფლიოს წამყვანი ვალუტების კროსკურსები

| | UK£ | US$ | €uro | ¥en |
|---|---|---|---|---|
| UK£ | | 0.6541 | 0.629 | 0.0053 |
| US$ | 1.5286 | | 0.9614 | 0.0081 |
| €uro | 1.59 | 1.04 | | 0.0084 |
| ¥en | 188.54 | 123.33 | 118.56 | |

## „თბილგაზის" „იტერასათვის" გადაცემის საკითხი მთავრობას არც კი უნდა განეხილა

პირველი გვერდიდან

**- შეგვიძლია თუ არა, რომ რუსეთის აგრესია პირდაპირ დავაკავშიროთ სწორედ ამ ენერგოსატრანზიტო პროექტების დესტაბილიზაციის გზით ჩაშლის მცდელობასთან?**

- ჩვენდა სამწუხაროდ, რუსეთს საქართველოში ვითარების დაძაბვისათვის საკმარისი ბერკეტები გააჩნია და მათ დღეს ის სრულიად დაუფარავად იყენებს. მაგრამ, არა მგონია, საფრთხის წინაშე დადგეს მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური და უზარმაზარი პოლიტიკური მნიშვნელობის მქონე ეკონომიკური პროექტების განხორციელება, რომელთა მხარდაჭერასაც დიდი ძალისხმევა მოანდომა ჯერ პრეზიდენტმა კლინტონმა, შემდეგ კი - პრეზიდენტმა ბუშმა.

**- საქართველოში რუსული ინვესტიციების შემოსვლასთან დაკავშირებით, პოლიტიკურ წრეებში აზრი ორად იყოფა. ერთნი მიიჩნევენ, რომ კაპიტალს არ აქვს ეროვნება, მეორენი კი თვლიან, რომ რუსული ინვესტიციების მოზიდვამდე კარგად გვმართებს დაფიქრება. თქვენ როგორ მიგაჩნიათ, სურს თუ არა "იტერას" შემოყვანით რუსეთს საქართველოზე გარკვეული პოლიტიკური გავლენის მოპოვება?**

- რა თქმა უნდა, ზოგადად ფულს და კაპიტალს ეროვნება არა აქვს, მაგრამ ეს ასეა ევროკავშირში. მაგალითად, იტალიურ კომპანიაში ბელგიელი ჩადებს ფულს, გერმანელი თუ ფრანგი, მნიშვნელობა არა აქვს, რადგან ამ კაპიტალის მიღმა არ დგას შორს მიმავალი პოლიტიკური და, მით უფრო, სპეცსამსახურების ინტერესები.

ჩვენ კარგად უნდა გვესმოდეს, რომ ვალდებულნი ვართ, გამოვიჩინოთ განსაკუთრებული სიფრთხილე, როდესაც საქმე ქვეყნისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან დარგებში ამა თუ იმ კაპიტალის შემოსვლას ეხება და დარწმუნებულნი უნდა ვიყოთ, რომ ამ კაპიტალის მიღმა სრულიად გამოკვეთილი პოლიტიკური ინტერესი არ დგას. არავისთვის უცხო არ არის, რომ "იტერა" საკმაოდ პოლიტიზირებული სტრუქტურაა და რუსეთის ხელისუფლების მხრიდან კონტროლს ექვემდებარება. ეს არ არის ის დასავლური ტიპის კომპანია, რომლის ფინანსური დოკუმენტაციაც საჯაროდ გამოქვეყნდება და ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის ხელმისაწვდომი იქნება. არ არის საჯარო არც ინფორმაცია იმის შესახებ, თუ ვინ დგას "იტერას" უკან, როგორ ხორციელდება მენეჯმენტი ან ვინ არიან აქციების მფლობელები.

აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ჩემი სიტყვები არ ნიშნავს იმას, თითქოს მე საქართველოში რუსეთის ინვესტიციების წინააღმდეგი ვიყო. პირიქით, მე ამის მივესალმები, თუნდაც ძალიან მნიშვნელოვან ობიექტებთან მიმართებაში. მაგალითად, ვფიქრობ, რომ შეიძლება, საინტერესო ყოფილიყო ქართული მრეწველობის ერთ-ერთი უდიდესი და მნიშვნელოვანი საწარმოს – "აზოტის" თანამშრომლობა ენერგოშემცველების მფლობელ რუსულ კომპანიებთან, რადგან "აზოტისთვის" ბუნებრივი აირი წარმოადგენს ერთ -ერთ ძირითად ნედლეულს და ის თავის დროზე საბჭოთა ეკონომიკურ სისტემაში სწორედ ძალიან იაფ ბუნებრივ აირზე გათვლით აშენდა. იმისათვის, რომ ამ საწარმომ საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანობა შეინარჩუნოს, მისასალმებელი იქნება, თუ ინვესტიციას სერიოზული რუსული ფირმა განახორციელებს. "აზოტის" შემთხვევაში, მთავარია, სტაბილურად დასაქმდეს ოთხი-ხუთი ათასი ადამიანი და ამ საწარმომ იმუშაოს.



ზურაბ ჟვანია

მარიკა ამურველაშვილის ფოტო

მაგრამ, როცა საუბარი საქართველოს დედაქალაქის გაზით მომარაგებას ეხება, მიმაჩნია, რომ, უბრალოდ, განხილვის საგანიც კი არ შეიძლება ხდებოდეს, გადაეცეს თუ არა "იტერას" ის სისტემა, რომელზეც თითოეული ოჯახის გამოზამთრებისა და ელემენტარული პირობების უზრუნველყოფის საკითხი არის დამოკიდებული.

ეს მით უფრო წარმოუდგენელია დღეს, როდესაც, ძალიან დიდი მსხვერპლის მიუხედავად, წარმოუდგენელი ზეწოლის პირობებში, უკვე დაიწყო ბაქო-ერზერუმის გაზსადენის მშენებლობა და რეალურია პერსპექტივა რომ სამი-ოთხი წლის შემდეგ, ანუ როგორც კი პროექტი განხორციელდება, საქართველო სამუდამოდ დააღწევს თავს იმ მდგომარეობას, როცა რუსეთი ბუნებრივი აირის ერთადერთი მონოპოლიური მომწოდებელია.

თუმცა, ბაქო-ერზერუმის გაზსადენი არ ნიშნავს იმას, რომ ამ პროექტის განხორციელების შემდეგ ჩვენ მხოლოდ აზერბაიჯანულ გაზზე უნდა გადავიდეთ. უბრალოდ, უკვე გვეცოდინება, რომ რუსეთი ველარ გადაუკეტავს საქართველოს გაზის ონკანს. მაშინ, როცა შეგვეძლება გაზის მომწოდებლის ჩანაცვლება, გვექნება ბევრად მეტი თავისუფლების ხარისხი და, დღევანდელივით, კუთხეში მიმწყვდეულები აღარ ვიქნებით.

სწორედ აქ მინდა ხაზი გავუსვა, რომ რუსული კაპიტალის შემოსვლას ჩვენ არამც თუ არ უნდა შევეწინააღმდეგოთ, არამედ უნდა მივესალმოთ კიდეც, მაგრამ, გააჩნია, რა დარგებში. საერთოდ კი, დაუშვებლად ვთვლი იმასაც კი, რომ "იტერასნაირი" ფირმებისათვის სტრატეგიული, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სისტემების გადაცემა განხილვის საგანი ხდება.

## „იტერა„ „თბილგაზის„ შესწავლას შეუდგა

სოფო კვინტრაძე

"24 საათი" უკვე იუწყებოდა, რომ "თბილგაზში" "იტერას" წარმომადგენლებს ელოდნენ. კომპანია "იტერას" ორი მთავარი ინჟინერი გუშინ ჩამოფრინდა მოსკოვიდან და დღეიდან თბილისის გაზგამანაწილებელი ქსელის საორიენტაციო შესწავლას იწყებს. როგორც საქართველოში "იტერას" წარმომადგენელი დავით ელიაშვილი აცხადებს, შეიქმნა ქართულ-რუსული სამუშაო ჯგუფი, რომელიც "თბილგაზის" ტექნიკურ მდგომარეობას გაეცნობა.

**"იტერა" შეისწავლის, რა სიტუაციაა "თბილგაზში" ტექნიკური თვალსაზრისით, სად არის ავარიული მონაკვეთები, რა დაჯდება მათი აღდგენა და ა.შ."** – აცხადებს დავით ელიაშვილი. მისი თქმით, ჯგუფის სამუშაო გეგმებში არ შედის მოლაპარაკებების წარმართვა პირველადი აღდგენითი სამუშაოების დაწყების თაობაზე. "იტერას" ინჟინრები გამოიკვლევენ ქსელის მდგომარეობას და გააკეთებენ შესაბამის დასკვნებს, რაც შემდგომში "იტერას" ხელმძღვანელობას წარედგინება.

რაც შეეხება "თბილგაზის" რეაბილიტაციის გეგმას, რაც ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია საქართველოს მთავრობასა და "იტერას" შორის მიმდინარე მოლაპარაკებების პროცესში, დავით ელიაშვილი აცხადებს, რომ ხელშეკრულებაში უნდა ჩაიდოს არა მარტო რეაბილიტაციის, არამედ რეკონსტრუქციის გეგმაც. ცენტრალური გათბობის სისტემა, რომელიც თბილისში უკვე რამდენიმე წელია, მწყობრიდან გამოვიდა, ელიაშვილის თქმით, თბილისის გაზგამანაწილებელ სისტემას უნდა შეუერთდეს. ელიაშვილი აცხადებს, რომ აღნიშნულ საკითხზე დიდი ხანია, მიმდინარეობს მსჯელობა და რადგანაც "თბილგაზის" ქსელის რეაბილიტაციაზე მიდგა საქმე, პარალელურად მისი რეკონსტრუქციაც უნდა მოხდეს.

როგორ შეაფასებენ "იტერას" ინჟინრები თბილისის გაზგამანაწილებელი სისტემის მდგომარეობას ან რა თანხები იქნება საჭირო რეაბილიტაციის დასაწყებად, სავარაუდოდ, ორი დღის შემდეგ გაირკვევა, როდესაც "იტერას" ინჟინრები "თბილგაზის" ქსელის პირველად შესწავლას დაასრულებენ.

## საქართველოში ელექტროენერგიის და ბუნებრივი აირის ნახევარი უკვალოდ ქრება

გვანცა კვინიკაძე

*1990 წლის შემდეგ, კონტრაბანდისა და აღურიცხაობის წყალობით, საქართველოს ენერგეტიკული ბალანსი არ შემდგარა. ამდენად, დღეს საკმაოდ ბუნდოვანი წარმოდგენა არსებობს იმის თაობაზე, თუ რა სახის ენერგომატარებელი რა ოდენობით იწარმოება, რა ოდენობით ხდება მისი იმპორტი და რა ოდენობით მოიხმარს მას ქვეყანა. ასეთი ცნობების შესაგროვებლად, სტატისტიკის დეპარტამენტმა ოჯახური შინამეურნეობებისა და საწარმოთა კვლევა ჩაატარა, რომელმაც აჩვენა, რომ ენერგოსექტორში რეალური მოხმარება, დაახლოებით, სამჯერ აღემატება ოფიციალურად აღრიცხულ მაჩვენებლებს. თუმცა, ეს საბოლოო მონაცემები არ არის. ჯერჯერობით გამოკვლევა არ შეხებია ქვეყანაში არსებულ 12 ათასამდე საბიუჯეტო ორგანიზაციას, რომლებიც ელექტროენერგიისა და ბუნებრივი აირის ყველაზე მსხვილ არალეგალურ მომხმარებლებად ითვლებიან. სპეციალისტები დარწმუნებულნი არიან, რომ საბიუჯეტო ორგანიზაციების გამოკვლევის შედეგები კიდევ უფრო საგანგაშო იქნება.*

საქართველოში ოჯახებისა და საწარმოების მიერ ენერგიის სხვადასხვა წყაროების მოხმარების შესახებ გამოკვლევები სტატისტიკის დეპარტამენტმა ევროსტატის ფინანსური და ტექნიკური დახმარებით ჩაატარა. გამოკვლევაში, საქართველოს მასშტაბით, დაახლოებით, 1500 ოჯახი და 1600-ზე მეტი საწარმო მონაწილეობდა. სტატისტიკის დეპარტამენტის მრეწველობის, ენერგეტიკისა და წყალმომარაგების სამმართველოს უფროსის მალხაზ დარჩიაშვილის განცხადებით, ოჯახებში ჩატარებული გამოკითხვის შედეგების (ისინი საქართველოში არსებული ოჯახების საერთო რაოდენობაზე - 1.3 მილიონზე გადამრავლდა) მიხედვით, საქართველოში წლის განმავლობაში 1.07 მილიარდი კილოვატ/საათი ელექტროენერგია, 174 მილიონი კუბური მეტრი ბუნებრივი აირი, 50 ათასი ტონა თხევადი გაზი, 214 ათასი ტონა ბენზინი, 57 ათასი ტონა ნავთი, 88 ათასი ტონა დიზელის საწვავი, 8.6 მილიონი კუბური მეტრი შეშა, 64 ათასი კუბური მეტრი ბიოლოგიური საწვავი და 1.1 მილიონი კუბური მეტრი ბუნებრივი ცხელი წყალი მოიხმარეს.

სავარაუდოა, რომ ეს მონაცემები რეალურად მოხმარებულზე გაცილებით ნაკლებია. დარჩიაშვილის თქმით, მაგალითად საბითუმო ბაზრის მონაცემებისა და მოსახლეობის მიერ რეალურად მოხმარებული ელექტროენერგიის ოდენობის შედარებაც გამოდგება. აღმოჩნდა, რომ მოსახლეობამ საბითუმო ბაზრის მიერ გამოცხადებული ოდენობის მხოლოდ ნახევარი მიიღო. სავარაუდოდ, მეორე ნახევარი ჩრდილოვან სექტორში დაიხარჯა და მისი საფასური კერძო პირების ანგარიშებზე დაილექა.

მაგრამ რეალური სურათის დასადგენად მხოლოდ ოჯახებში ჩატარებული გამოკვლევა საკმარისი არ აღმოჩნდა, ამიტომ სტატისტიკის დეპარტამენტმა ანალოგიური მიზნით სიტუაცია საწარმოებშიც შეისწავლა. გამოკვლევამ 1600-ზე მეტი, მათ შორის, 761 მსხვილი საწარმო მოიცვა და იმის დადგენას მიეძღვნა, თუ მათ რა სახის ენერგომატარებელი აწარმოეს, შემოიტანეს ქვეყანაში ან გაიტანეს ექსპორტზე. ორივე გამოკვლევის შედეგების შეჯამებით ირკვევა, რომ ქვეყანაში წლის განმავლობაში, აღრიცხულთან შედარებით, 2.8-ჯერ მეტი თხევადი გაზი, სამჯერ მეტი ნავთი და 3.4-ჯერ მეტი დიზელის საწვავი მოიხმარება. დარჩიაშვილის თქმით, მიუხედავად იმისა, რომ თბილისის ელექტროენერგიით მომარაგებისა და აღრიცხვის საკითხები "ეი-ი-ესს" საკმაოდ მაღალ დონეზე აქვს მოგვარებული, დედაქალაქში, ისევე, როგორც მთლიანად ქვეყანაში, ელექტროენერგიის დატაცება მაინც ხდება. სტატისტიკოსთა შეფასებით, საქართველოში ელექტროენერგიის, დაახლოებით, 35 პროცენტი "იკარგება" და ამაში, მოსახლეობის გარდა, თავისი "წვლილი" საწარმოებსაც შეაქვთ.

გაცილებით სერიოზული მდგომარეობაა გაზის სექტორში. დარჩიაშვილის თქმით, "თბილგაზის" 63-პროცენტიანი დანაკარგები არარეალურია. შედარებისთვის, "საქგაზის" საწარმოებში დანაკარგების ოდენობა 10-12 პროცენტს არ აღემატება. შესაბამისად, დარჩიაშვილის შეფასებით, "თბილგაზის" რეალური დანაკარგები, მაქსიმუმ, 20 პროცენტს აღწევს, დანარჩენი კი არალეგალურად იხარჯება. როგორც ოჯახებისა და საწარმოების გამოკვლევის შეჯერებით დგინდება, ქვეყანაში იმპორტირებული ბუნებრივი აირის 83 პროცენტი მოიხმარება. თუმცა, სტატისტიკის დეპარტამენტში დარწმუნებულნი არიან, რომ საბიუჯეტო ორგანიზაციების გამოკვლევის შემდეგ, რომელთა რაოდენობა 12 ათასს აღწევს, ცხადი გახდება, რომ მოხმარება ოფიციალურ მაჩვენებელს საგრძნობლად აღემატება, ანუ ქვეყანაში გაზის დიდი რაოდენობა მილებიდან კი არ იკარგება, უბრალოდ, აღრიცხვას არ უქვემდებარებენ.

საბიუჯეტო ორგანიზაციებში აღნიშნული გამოკვლევების ჩასატარებლად სტატისტიკის დეპარტამენტს სპონსორი სჭირდება. გამოკვლევის ნაწილობრივ დაფინანსებას სტატისტიკოსებს სათბობ-ენერგეტიკის სამინისტრო ჰპირდება. მანამდე კი, უკვე ჩატარებული ორი კვლევის საფუძველზე, სტატისტიკის დეპარტამენტი დამოუკიდებელი საქართველოს პირველ ენერგეტიკულ ბალანსს ადგენს, რომელიც, სავარაუდოდ, წლის ბოლოსთვის იქნება მზად.

## მცირე და საშუალო ბიზნესი თავდაცვას „დააფინანსებს"

პირველი გვერდიდან

ფინანსთა მინისტრის მოადგილის ვასილ გიგოლაშვილის ცნობით, თავდაცვის სექტორი 11 მილიონი ლარიდან შვიდ მილიონს პრეზიდენტის ფონდიდან მიიღებს. ამ ფულით ახლადშექმნილ საინვესტიციო სააგენტოს მცირე და საშუალო ბიზნესის ცალკეული პროექტები უნდა დაეფინანსებინა. გარდა ამისა, გადავადდება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს მხრიდან საწევროს გადახდა, სავარაუდოდ, ერთი მილიონი ლარის ოდენობით. ასევე შემცირდება მაღალი თანამდებობის პირთა სახელფასო ფონდი და მხოლოდ 800 ათასი ლარის ფარგლებში დაიხარჯება წინა წლებში დაგროვილი საბიუჯეტო დავალიანებების დასაფარად განკუთვნილი თანხა.

**"რა თქმა უნდა, 11 მილიონი ლარი არ არის საკმარისი იმისათვის, რომ გულდამშვიდებულნი ვიყოთ ან თავი დავირწმუნოთ, რომ საჰაერო სივრცის უსაფრთხოების მხრივ პრობლემა არ შეგვექმნება",** - აღნიშნა პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის ყოფილმა თავმჯდომარემ გიორგი ბარამიძემ. მისი თქმით, პარლამენტმა, 26 აგვისტოს მიღებული დადგენილების საფუძველზე, აიძულა აღმასრულებელი ხელისუფლება, პარლამენტში თავდაცვის ბიუჯეტის გაზრდის შესახებ წინადადება შეეეტანა. **"ამ დღემდე, და ამას თვითონაც აღიარებენ, ფინანსთა და თავდაცვის მინისტრები ამ თემაზე ერთმანეთს საერთოდ არ დალაპარაკებიან. ამის მიზეზი კი ის იყო, რომ მათ პრეზიდენტისგან შესაბამისი დავალება არ მიუღიათ. ანუ, სახელმწიფო, 23 აგვისტოს დაბომბვის მიუხედავად, ამ პრობლემას დემონსტრაციულად უკეთებდა იგნორირებას",** - განაცხადა ბარამიძემ და დასძინა, რომ პრეზიდენტისა და მთავრობის მიერ თავდაცვის ბიუჯეტის გაზრდის გადაწყვეტილებაზე ასევე გავლენა მოახდინა იმ განწყობამ, რომელიც საქართველოში რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის ცნობილი მუქარის შემდეგ შეიქმნა. **"იმის მიუხედავად, რომ უმცირესობაში ვართ, მაინც ვერავინ ვერ გაბედა ამ წინადადების ჩაგდება. სახელისუფლებო ძალებისთვის პოლიტიკურად ძალიან წამგებიანი იქნებოდა ამისთვის მხარის არდაჭერა. თორემ, რეალურად, როგორ არის შესაძლებელი ბიუჯეტის პროექტის გატანა ან ჩაგდება, კარგადაა ცნობილი",** - დაამატა ბარამიძემ.

# ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი: კავკასიის ქვეყნების დამოუკიდებლობის ქვაკუთხედი

პირველი გვერდიდან

ბაქოში გამგზავრების წინ, ორშაბათის პრეს-კონფერენციაზე შევარდნაძემ არც ის გამორიცხა, რომ საქართველო-რუსეთის შორის ურთიერთობების გამწვავების ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება სწორედ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მარშრუტის არჩევა იყო: **"შემთხვევით არაფერი არ ხდება, მით უმეტეს, როდესაც საქმე გეოპოლიტიკურ მოვლენებსა და პროცესებს შეეხება."**

დღეს, ნავთობსადენის მშენებლობის დაწყების საზეიმო ცერემონიაზე, სანგაჩალის ნავთობის ტერმინალში, ბაქოდან 40 კილომეტრის დაშორებით, საპატიო სტუმრები მილსადენის პირველ ქვას ჩადებენ და ამ ქვას ჩააყოლებენ მომავალი თაობებისადმი ერთობლივი მიმართვის ტექსტს. ცერემონია მშენებლობის დაწყებისადმი მიძღვნილი მემორიალური დაფის გახსნით დასრულდება.

გუშინ, აზერბაიჯანის დედაქალაქში, საქართველოს პრეზიდენტთან ერთად, თურქეთის პრეზიდენტი აჰმედ ნეჯდეთ სეზერიც ჩავიდა. საზეიმო ცერემონიის დაწყებამდე მათ კიდევ რამდენიმე ცნობილი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე შეუერთდება.

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილება 1999 წლის ნოემბერში, სტამბოლში, ეუთო-ს უმაღლესი დონის შეხვედრის დროს მიიღეს. ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს შეერთებული შტატების, თურქეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს პრეზიდენტებმა. ამ თარიღიდან თითქმის სამი წლის შემდეგ შეთანხმება რეალობად იქცა.

მილსადენის მშენებლობის უშუალო სამუშაოები მხოლოდ 2003 წლის პირველ კვარტალში დაიწყება და, სავარაუდოდ, 2004 წლის ბოლოსთვის დასრულდება. პირველი ნავთობის გასატარებლად ნავთობსადენი 2005 წლის დასაწყისში იქნება მზად. მილსადენის სავარაუდო სიგრძე 1070 კილომეტრია, ხოლო საქართველოს ტერიტორიაზე 248 კილომეტრის სიგრძეზე ჩაიდება მილები.

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტის უმსხვილესი დამფინანსებლები არიან: "ბრიტიშ პეტროლეუმი" და აზერბაიჯანის ნავთობის სახელმწიფო კომპანია. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის აგების საერთო ხარჯები, წინასწარი მონაცემებით, 2,95 მილიარდი დოლარი იქნება, მარშრუტის მიხედვით ასე განაწილდება: თურქეთის ტერიტორიაზე სამშენებლო სამუშაოებისთვის 1,4 მილიარდი დოლარი დაიხარჯება, აზერბაიჯანსა და საქართველოში – 600-600 მილიონი დოლარი, ხოლო დანარჩენი 200 მილიონი პროექტის საერთო ხელმძღვანელობის სახელფასო ფონდისთის არის განკუთვნილი.

# ერაყი: კაპიტულაცია თუ ტაქტიკური სვლა

შოთა უტიაშვილი

ორშაბათს ერაყმა გადადგა, ალბათ, ის ერთადერთი ნაბიჯი, რომელსაც ამ ქვეყნის წინააღმდეგ ომის დაწყების შეჩერება შეუძლია – ბაღდადმა განაცხადა, რომ თანახმაა, უპირობოდ დააბრუნოს გაერო-ს ინსპექტორები, რათა "გაფანტოს ყოველგვარი ეჭვი ერაყის მიერ მასობრივი განადგურების იარაღის ფლობის თაობაზე",– ნათქვამია წერილში, რომელიც ერაყის საგარეო საქმეთა მინისტრმა ნაჯი საბრიმ გადასცა გაერო-ს გენერალურ მდივანს, კოფი ანანს. ბაღდადი აგრეთვე მზადაა, რომ თავად ინსპექტორებთან დაუყოვნებლივ დაიწყოს მოლაპარაკებები ტექნიკური დეტალების დაზუსტების თაობაზე.

12 სექტემბერს, გაერო-ს გენერალურ ასამბლეაზე ბუშის წარმატებული გამოსვლის შემდეგ, საერთაშორისო ზეწოლა ერაყზე მუდმივად იზრდებოდა; ამან აიძულა საუდის არაბეთი (რომელიც ადრე ომის ერთ-ერთი ყველაზე კატეგორიული მოწინააღმდეგე იყო) განეცხადებინა, რომ უშიშროების საბჭოს მიერ სანქციის გაცემის შემთხვევაში, ამერიკელებს სამხედრო ბაზებს დაუთმობდა. დღევანდელი გადასახედიდან ერ-რიადის ეს განცხადება ერაყისათვის უკანასკნელი გაფრთხილების მიცემად უფრო აღიქმება, ვიდრე ამერიკელებისათვის დახმარების გაწევის მცდელობად.

მიმომხილველთა აზრით, ერაყის "დროებითი კაპიტულაცია" არაბული ლიგის ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრებისა და კოფი ანანის შეხვედრაზე გადაწყდა, რომელიც შაბათს გაიმართა გაერო-ს შტაბ-ბინაში. ყოველ შემთხვევაში თავად ანანმა ლიგის გენერალურ მდივანს, ამრ მუსას, შეთანხმების მიღწევაში შეტანილი წვლილისათვის განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა.

შაბათის შეხვედრის შედეგები კვირას განიხილა ერაყის მთავრობამ და რევოლუციურმა საბჭომ, მომზადდა თანხმობის ოფიციალური წერილიც.

გაერო-ს წევრი ქვეყნების უმრავლესობამ, მათ შორის: რუსეთმა, ჩინეთმა და არაბულმა ქვეყნებმა, ბაღდადის წერილი კმაყოფილებით მიიღეს და განაცხადეს, რომ დღის წესრიგიდან დროებით მაინც მოიხსნა ომის დაწყების აუცილებლობა.

რაც შეეხება ბრიტანეთსა და შეერთებულ შტატებს, მათი მთავრობების განცხადებით, ბაღდადის მხრიდან ეს მხოლოდ ტაქტიკური სვლაა, რომელიც მიზნად ისახავს დროის გაყვანასა და კოალიციაში ბზარის შეტანას. "ერაყმა უკვე უშიშროების საბჭოს 16 რეზოლუცია დაარღვია", - ამტკიცებენ ვაშინგტონი და ლონდონი, ამიტომ საერთაშორისო საზოგადოება მას აღარ ენდობა.

ისინი აპირებენ, უშიშროების საბჭოზე მაინც მოითხოვონ კიდევ ერთი რეზოლუციის მიღება, რომელიც ზუსტად დააფიქსირებს ინსპექციის პირობებს და, მათი დარღვევის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ ამოქმედდება შესაბამისი სანქციები.

თავდაპირველად აშშ და ბრიტანეთი ე.წ. იძულებითი ინსპექციის რეჟიმის ამოქმედებას მოითხოვდნენ. რომლის თანახმად, ერაყში ან რეგიონის სხვა ქვეყნებში განლაგებული მოკავშირეთა შეიარაღებული ძალები უზრუნველყოფდნენ ინსპექტორთა დაუბრკოლებელ დაშვებას ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე.

მეორე პოზიციის თანახმად, როგორც კი ერაყი დაარღვევს ინსპექტორთა თუნდაც უმნიშვნელო მოთხოვნას, გაერო მაშინვე წყვეტს მუშაობას და იწყება სამხედრო ოპერაცია.

ერაყის კომპრომისის შემდეგ ვაშინგტონსა და ლონდონს უფრო გაუძნელდებათ ახალი რეზოლუციის "გატანა". როგორც რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი აცხადებს, იგი საჭირო აღარ იქნება.

ბაღდადის ამ ნაბიჯმა უფრო ნათლად წარმოაჩინა უთანხმოება უშიშროების საბჭოს წევრებს შორის. რუსეთისთვის, ჩინეთისა და საფრანგეთისთვის უმთავრესია ერაყში ინსპექტორების დაშვება, ხოლო ინგლისი და ამერიკა ბაღდადში "რეჟიმის შეცვლას" მოითხოვენ. თუ ერაყი მორჩილად შეასრულებს ინსპექტორთა მოთხოვნებს, მაშინ უშიშროების საბჭოს ამ ქვეყანაში ხელისუფლების ცვლილების მოთხოვნისათვის საფუძველი არ ექნება.

თუმცა, როგორც ერაყის ვიცე-პრემიერ ტარიკ აზიზი ამბობს, ამერიკის შესაჩერებლად ეს შეიძლება საკმარისი არ იყოს; მისი თქმით, ვაშინგტონს მხოლოდ ნავთობი აინტერესებს.

მეორე მხრივ, ინგლისისა და ამერიკის გარეშე ვერც დანარჩენი ქვეყნები მოახერხებენ ერაყზე დაწესებული სანქციების გაუქმებას. ამრიგად, ერაყი, ინსპექტორების დაშვების სანაცვლოდ, მაინც ვერაფერს მიიღებს. თავის მხრივ, ინსპექციების წარმატებით ჩატარება არც ბლერსა და ბუშს აძლევს ხელს.

ამგვარად, საეჭვოა, რომ ინსპექტორების დაშვება ვინმესთვის "ერაყის ჩიხიდან" გამოსავალს წარმოადგენდეს.

## მეთვალყურეობა სადამის იარაღზე



ბაღდადმა გაერო-ს სამხედრო ინსპექტორების ერაყში შესვლაზე თანხმობა განაცხადა. გაერო-ს გენერალური მდივნის კოფი ანანის განცხადებით, ერაყის საგარეო საქმეთა მინისტრის ნაჯი საბრის წერილში არანაირი პირობები არ არის წაყენებული.

- 28 თებერვალი, 1991: სპარსეთის ყურეში ომი დასრულდა, ერაყი გაერო-ს სანქციებს და იარაღის შემოწმებას დაექვემდებარა
- ოქტომბერი, 1997: ერაყის მიერ ქვეყანაში გაერო-ს ინსპექტორების ყოფნის აკრძალვამ დიპლომატიური კრიზისი გამოიწვია, რაც რუსეთის ჩარევამ განმუხტა
- იანვარი, 1998: ერაყმა აშშ-ს ინსპექტორების ბლოკირება მოახდინა. ინსპექტორთა ხელმძღვანელი სკოტ რიტერი აშშ-ის სასარგებლოდ ჯაშუშობაში დაადანაშაულა.
- თებერვალი: გაერო-ს გენერალურმა მდივანმა კოფი ანანმა ბაღდადში სადამ ჰუსეინთან შეხვედრის შემდეგ ერაყში იარაღის ინსპექტირების განახლების შესახებ განცხადება გააკეთა.
- ოქტომბერი: ერაყის ხელმძღვანელობის განცხადებით ერაყში გაერო-ს იარაღის ინსპექტირების სპეციალურ კომისიასთან ყველნაირი თანამშრომლობა გაწყვეტილია.
- ნოემბერი: ბაღდადი ერაყში ინსპექტორების დაბრუნებაზე თანხმდება.
- 16 დეკემბერი: გაერო-ს სამხედრო ინსპექტორთა ხელმძღვანელის რიჩარდ ბატლერის განცხადებით ერაყი თანამშრომლობაზე უარს ამბობს. გაერო-მ ინსპექტორთა მისია უკან გამოიწვია. ოპერაცია "უდაბნოს მელა": რამდენიმე საათის შემდეგ აშშ-ის და ბრიტანეთის ავიაცია ერაყზე დარტყმებს ახორციელებს.



- დეკემბერი 1999: გაერო-ს სპეციალური კომისია UNMOVIC-მა (მონიტორინგის, გადამოწმების და ინსპექტირების კომისია) შეცვალა. ერაყი შემდგომ ინსპექტირებაზე უარს აცახდებს.
- 1 მარტი, 2000: UNMOVIC-ის ხელმძღვანელად შვედი ჰანს ბილქსი ინიშნება.
- 3 მაისი, 2002: UNMOVIC-ი და ერაყის ოფიციალური პირები 1998 წლის დეკემბრის შემდეგ, ტექნიკურ საკითხებზე პირველ მოლაპარაკებას მართავენ.
- 5 ივლისი: ერაყის და გაერო-ს მოლაპარაკებები ინსპექტირებაზე შეთანხმების მიღწევის გარეშე მთავრდება; ერაყი სანქციების მოხსნას ითხოვს.
- 31 ივლისი: აშშ-ის სენატის წინაშე რიჩარდ ბატლერის განცხადების თანახმად, ერაყმა ქვეყნიდან გაერო-ს ინსპექტორების გამოძევების შემდეგ, ბაღდადმა ქიმიური და ბიოლოგიური იარაღის წარმოება განაახლა და ძალზედ ახლოს არის ბირთვული იარაღის შექმნასთან.
- აგვისტო: ერაყმა ჰანს ბლიქსი ბაღდადში მოლაპარაკებებზე მიიწვია.
- 12 სექტემბერი: პრეზიდენტმა ბუშმა გაერო-ს მოუწოდა მსოფლიოს სადამის ბიოლოგიური, ქიმიური და ბირთვული იარაღის საშიშროება ააცილოს ან მხარი დაუჭიროს აშშ-ის მოქმედებას.
- 16 სექტემბერი: ერაყი გაერო-ს სამხედრო ინსპექტორთა ქვეყანაში შეშვებას უპირობოდ თანხმდება.

Sources: United Nations, UNMOVIC, UNSCOM © GRAPHIC NEWS

kavkasiis ambebi

## კავკასიის ამბები

# სომხეთ-აზერბაიჯანის დაპირისპირება გაერო-ს ტრიბუნასთან

კვირას სომხეთისა და აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრებმა, ვილაიათ გულიევმა და ვარდან ოსკანიანმა, მწვავე ბრალდებები გაცვალეს გაერო-ს გენერალური ასამბლეის მიმდინარე, 57-ე სესიაზე.

აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრმა სცადა გამოეყენებინა ამერიკის პრეზიდენტის მიერ ერაყის რეჟიმისადმი წაყენებული ბრალდებები და სომხეთი გაერო-ს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების შეუსრულებლობაში დაადანაშაულა. ჯორჯ ბუშმა ორიოდე დღის წინ განაცხადა, რომ მსოფლიოში ბევრი კონფლიქტი იმის გამო მწვავდება, რომ მასში ჩართული მხარეები გაერო-ს რეზოლუციებს არ ასრულებენ.

სწორედ ბუშის ამ გამონათქვამის გამოყენება სცადა ვილაიათ გულიევმა და სომხეთი გაერო-ს უშიშროების საბჭოს მიერ 1993 წელს მიღებული რამდენიმე რეზოლუციის დარღვევაში ამხილა. ეს რეზოლუციები სომხეთს აზერბაიჯანის ოკუპირებული ტერიტორიების დატოვებასა და ლტოლვილების უპირობო დაბრუნებას ავალდებულებს.

სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა თავის საპასუხო გამოსვლაში აზერბაიჯანი საერთაშორისო საზოგადოებრივი აზრის შეცდომაში შეყვანასა და ტერორისტების მფარველობაში დაადანაშაულა: **"11 სექტემბრის შემდეგ საერთაშორისო ტერორიზმზე საუბარმა აზერბაიჯანი აიძულა გამოეთქვა ბრალდებები, რომელიც მისივე რეპუტაციაზე უარყოფითად აისახა. დასავლური წყაროების მიხედვით, ტერორისტებთან აზერბაიჯანის ათლიანი კავშირები გამოვლინდა. აღმოჩნდა, რომ აზერბაიჯანი ტერორისტების თავშესაფარს წარმოადგენს".**

ოსკანიანმა გაამახვილა ყურადღება დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის სფეროში მთიანი ყარაბაღის წინსვლაზე და მსოფლიოს ქვეყნების ლიდერებს ამ თვითგამოცხადებული რესპუბლიკის მხარდაჭერისაკენ მოუწოდა. შემთხვევითი არაა, რომ თავის მოხსენებაში ოსკანიანი გაერო-ში ახალი წევრების, მათ შორის აღმოსავლეთ ტიმორის ახლადშექმნილი რესპუბლიკის, მიღებასაც მიესალმა.

# ჩეჩნეთის ომში 80 ათასამდე სამოქალაქო პირი დაიღუპა

სამშაბათს ჩეჩნეთის ანტისაომარი კონგრესის თავმჯდომარემ, სალამბეკ მაიგოვმა, ჟურნალისტებს განუცხადა, რომ 1999 წლიდან, კონფლიქტის განახლების შემდეგ, ჩეჩნეთში 60-დან 80 ათასამდე მშვიდობიანი მოსახლე დაიღუპა. მაიგოვის თქმით, მისი მონაცემები ადამიანის უფლებების დამცველი საერთაშორისო ორგანიზაციების (მათ შორის: "ჰუმან რაიტს ვოტჩის", "მემორიალისა" და "ჩეჩნეთის ეროვნული გადარჩენის კომიტეტის") ცნობებს ეყრდნობა. მაიგოვის მტკიცებით, ყველაზე მეტი მშვიდობიანი მოქალაქე დაზარალდა ჩეჩნეთის ოპერაციის დასაწყისში, გროზნოში მომხდარი საომარი მოქმედებების დროს. მათი უმრავლესობა დაიღუპა პირველ თვეებში, გროზნოს ქუჩების სარაკეტო დაბომბვებისას. ბოლო ხანს მსხვერპლს, ძირითადად, "წმენდითი" ("ზაჩისტკის") ოპერაციები იწვევს, რომლის დროსაც ხდება**"ცალკე აღებული დასახლებული პუნქტის მამრობითი სქესის მოსახლეობის ფილტრაცია. თითოეული ამგვარი "წმენდის" შემდეგ ყოველი სოფლიდან რამდენიმე ადამიანი უგზო-უკვლოდ იკარგება ხოლმე",** – დასძინა მაიგოვმა.

# რუსეთში ნეონაცისტების გამოხდომები გრძელდება

გუშინ სანკტ-პეტერბურგის მილიციამ აღიარა, რომ კვირას მომხდარი აზერბაიჯანელი მამედ მამედოვის მკვლელობა ეთნიკური სიძულვილის ნიადაგზე მოხდა და წინასწარგამიზნული ხასიათისა იყო. რვა შვილის მამა – მამედოვი – ქუჩაში საზამთროს ყიდდა. მას თავს დაესხა 30-მდე რკინის ხელკეტით შეიარაღებული ახალგაზრდა. სასტიკად ნაცემ მამედოვს თავდამსხმელებმა ყელი გამოსჭრეს. აზერბაიჯანელი გამყიდველი ადგილზე გარდაიცვალა.

თავდაპირველად სანკტ-პეტერბურგის მილიციამ მკვლელობა დაპირისპირებულ ბანდებს შორის ანგარიშსწორებად მიიჩნია, მაგრამ მოგვიანებით აღიარა, რომ დანაშაული შეიძლება "სკინჰედებს" ("თავგადაპარსულებს") ჩაედინათ, რომლებიც ნეონაციზმის იდეოლოგიას აღიარებენ. ტელეკომპანია სი-ენ-ენის ცნობით, მილიციას ხელში ჩაუვარდა თავად თავდამსხმელების მიერ გადაღებული ვიდეოფირი, რომელზეც აზერბაიჯანელის წამება და მკვლელობაა აღბეჭდილი.

მილიცია იძულებული გახდა, 3 ეჭვმიტანილი დაეკავებინა, კიდევ 30 ახალგაზრდა ნეონაცისტისთვის კი სახლიდან გაუსვლელობის ხელწერილი ჩამოერთმია.

სანკტ-პეტერბურგის იმავე რაიონში გუშინწინაც მოხდა მსგავსი დანაშაული, რომლის დროსაც ისევ აზერბაიჯანელი მოქალაქე სცემეს. ქალაქის აზერბაიჯანული დიასპორისა და პოლიციის წარმომადგენლები "სკინჰედების" წინააღმდეგ ერთობლივ მოქმედებაზე შეთანხმდნენ.

აზერბაიჯანელებზე თავდასხმა მხოლოდ ერთი ეპიზოდია უცხოელებზე თავდასხმათა იმ სერიიდან, რომელიც ბოლო ხანს რუსეთის ბევრ ქალაქში განხორციელდა. სი-ენ-ენის მასალების მიხედვით, დღეს, რუსეთში, 10 ათასამდე იატაკქვეშელი ნეონაცისტია, რომელთა უმრავლესობა მოსკოვშია თავმოყრილი.

# უკრაინის ხელისუფლებამ საკუთარი ხალხის წინააღმდეგ სპეცრაზმი გამოიყვანა

ლევან ღირსიაშვილი

*16 სექტემბერს, ხელისუფლების მხრიდან აკრძალვების მიუხედავად, უკრაინის ოპოზიციამ კიევის ცენტრში დაიწყო უვადო ფართომასშტაბიანი საპროტესტო აქცია - "აღსდექ უკრაინა". ოპოზიციის მთავარი მოთხოვნა უკრაინის პრეზიდენტის ლეონიდ კუჩმას გადადგომაა. კიევში გამართულ საპროტესტო დემონსტრაციებში 50 000-ზე მეტი ადამიანი მონაწილეობდა. ხელისუფლებამ დედაქალაქში დამატებით 25 000 პოლიციელი შეიყვანა. გუშინ, დილით, ოპოზიციის მიტინგი პოლიციის სპეცრაზმის გამოყენებით დაშალეს.*

წინასწარ ჩატარებული სოციოლოგიური გამოკითხვების თანახმად, უკრაინის მცხოვრებთა 13 პროცენტი პრეზიდენტის წინააღმდეგ საპროტესტო აქციებს უჭერდა მხარს. აქცია მიმდინარეობდა უკრაინის კომუნისტური და სოციალისტური პარტიებისა და დეპუტატ იულია ტიმოშენკოს პარტია "ბატკივშჩინას" ეგიდით. მიტინგის დასასრულს ოპოზიციის ლიდერებმა ერთობლივი განცხადება გააკეთეს, რომლის მიხედვითაც ოპოზიცია დაუყოვნებლივ ითხოვდა: პრეზიდენტის გადადგომას, სამართლიანი ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარებას, კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანას და დამოუკიდებელი სასამართლო სისტემის შექმნას. ოპოზიციამ ქვეყანაში უმუშევრობის შემცირება, საარსებო მინიმუმის გაზრდა და სახელფასო დავალიანებების დაფარვაც მოითხოვა.

16 სექტემბრის აქციის მთავარ მოვლენად იქცა უკრაინის ოპოზიციის მემარცხენე და მემარჯვენე ძალების გაერთიანება.

საგულისხმოა, რომ ოპოზიციის ასეთ გააფთრებულ შეტევას უკრაინის პრეზიდენტი ლეონიდ კუჩმა საკმაოდ მშვიდად გამოეხმაურა: **"ჩვენ შეგვწევს იმის ძალა, რომ ყველაფერმა უკრაინის კანონმდებლობის ფარგლებში ჩაიაროს,"** – განაცხადა უკრაინის ლიდერმა. ამ განცხადების საპასუხოდ უკრაინის გაერთიანებულმა ოპოზიციამ თავისი მომხრეები კიევის ცენტრალურ მოედანზე შეკრიბა და მიმდებარე ქუჩებისა და ტრანსპორტის მოძრაობის პარალიზება შეძლო. ამის შემდეგ კიევში, ევროპის მოედანზე, გრანდიოზული – 30 000 კაციანი მიტინგი დაიწყო. თავიდანვე ხელისუფლება აშკარად ცდილობდა მიტინგის მასშტაბურობის მიჩქმალვას და მონაწილეთა ორჯერ ნაკლებ ციფრს ასახელებდა.

უკრაინის ხელისუფლება საპროტესტო ტალღის გაძლიერებამ სერიოზულად შეაშფოთა და იმავე დღეს განსაკუთრებულ ზომებს მიმართა. კერძოდ, კიევში ყველა დამოუკიდებელი ტელეკომპანიის მაუწყებლობა შეაჩერეს და ქალაქის ყველა შესასვლელი საგულდაგულოდ ჩაკეტეს. ამის შემდეგ ხელისუფლების წარმომადგენლებმა ოპოზიციის საწინააღმდეგო განცხადებების გაკეთება დაიწყეს. მათი თქმით, ოპოზიცია პრეზიდენტზე ზეწოლას ახორციელებდა და მუშაობაში ხელს უშლიდა; ოპოზიციის ხელმძღვანელთა ქმედებები უკანონი იყო და თავისუფლების აღკვეთით უნდა დასჯილიყო. ხელისუფლების მტკიცებით, აქციის მონაწილეები ასაფეთქებელი მოწყობილობებითა და ავტომატებით იყვნენ შეიარაღებულები. შინაგან საქმეთა მინისტრმა, იური სმირნოვმა, თავის გამოსვლაში განაცხადა, რომ ოპოზიცია კიევში **"ფიზიკურად ძლიერ ახალგაზრდებს გზავნიდა"** და რომ აქციაში ფსიქიურად დაავადებული ხალხი მონაწილეობდა. მან მოსახლეობას აუხსნა, რომ ოპოზიციის მხრიდან მოსალოდნელი იყო **"პროვოკაციული ქმედებები სახელმწიფო დაწესებულებების ხელში ჩაგდების მიზნით."**



*იულია ტიმოშენკო ომონ-ის წინააღმდეგ.*

REUTERS

ხელისუფლების მხრიდან ასეთი მუქარის მიუხედავად, მომიტინგეთა რაოდენობა შესამჩნევად იზრდებოდა. ზემოჩამოთვლილ სამ ოპოზიციურ პარტიას მოულოდნელად ვიქტორ იუშენკოს ბლოკის – "ჩვენი უკრაინა" – ათასობით მომხრე შეუერთდა. აღსანიშნავია, რომ ექს-პრემიერი იუშენკო პრეზიდენტის საწინააღმდეგო მკვეთრ პოლიტიკურ ნაბიჯებს ადრე არ მიმართავდა. ევროპის მოედანზე შეკრებილი ათი ათასობით ადამიანი პრეზიდენტ კუჩმას უპირობო გადადგომას ითხოვდა. **"უკრაინელ ხალხს ცხოვრების ასე გაგრძელება აღარ შეუძლია, აღარ სურს და არც გააგრძელებს! ლეონიდ კუჩმა, თქვენ უკრაინის ხალხის წინაშე მონანიების და გადადგომის გარდა სხვა გზა აღარ გაქვთ,"** – ნათქვამია მიმართვაში, რომელიც საპროტესტო მიტინგზე მიიღეს და რომელსაც ოთხივე ოპოზიციური პარტიის ლიდერებმა მოაწერეს ხელი. მიტინგის მონაწილეებმა ასევე მიიღეს მიმართვა ძალოვანი სტრუქტურების მიმართ და სთხოვეს, ხელი არ შეეშალათ მომიტინგეებისათვის. აქციის მონაწილეებმა ასევე მოუწოდეს საზღვარგარეთის ქვეყნებს, გაგებით მოეკიდონ უკრაინაში მიმდინარე პროცესებს, **"ხელი არ ჩამოართვან ლეონიდ კუჩმას"** და არ მიიწვიონ საერთაშორისო სამიტებზე.

უკრაინის დროით 17 საათისათვის მომიტინგეები ორ კოლონად გაიყვნენ და პრეზიდენტის ადმინიტრაციის შენობისაკენ დაიძრნენ, სადაც მიტინგი გაგრძელდა. იულია ტიმოშენკომ ხალხის წინაშე გამოსვლისას განაცხადა, რომ აქციის მონაწილეებს თავისი მოთხოვნების გადაცემა სურდათ პრეზიდენტისათვის და იქამდე არ დაიშლებოდნენ, ვიდრე პრეზიდენტი კუჩმა არ გადადგებოდა. მომიტინგეებმა პრეზიდენტის ადმინისტრაციასთან მისასვლელი ყველა გზა გადაკეტეს და შენობის წინ კარვები გაშალეს. პრეზიდენტის ადმინიტრაციის წინ შეკრებილთა რაოდენობამ 50 000-ს გადააჭარბა. საპროტესტო გამოსვლები უკრაინის სხვა ქალაქებშიც დაიწყო.

ალსანიშნავია, რომ თავად პრეზიდენტი კიევში არ იმყოფებოდა. ის ავსტრიის ქალაქ ზალცბურგში გამართულ ეკონომიკურ ფორუმში იღებს მონაწილეობას. თუმცა, ძნელი დასაჯერებელია, რომ კიევში დარჩენილი უკრაინის ხელისუფლების წარმომადგენლები მისი დირექტივების გარეშე მოქმედებდნენ. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მათ ოპოზიციის წინააღმდეგ მკვეთრი განცხადებები გააკეთეს და მოსახლეობას ოპოზიციის რიგებში შეიარაღებული ხალხის არსებობაზეც მიუთითეს.

ფაქტობრივად, ხელისუფლებამ საზოგადოებრივი აზრი მთავრობის მხრიდან მოსალოდნელი რადიკალური ნაბიჯებისათვის წინასწარ შეამზადა.

17 სექტემბერს, გამთენიისას, ზუსტად ხუთ საათზე, უკრაინის შინაგან საქმეთა სამინისტროს ძალებმა საპროტესტო აქციაზე შტურმი მიიტანეს. შსს-ს სპეცდანიშნულების რაზმმა "ბერკუტმა" მომიტინგეთა დარბევა და გაშლილი კარვების აღება დაიწყო. სამართალდამცავებმა მიტინგის 64 მონაწილე დააკავეს და სასტიკად სცემეს კარვებში მყოფი აქციის მონაწილეები.

დილის 7:30-თვის პრეზიდენტის ადმინისტრაციის წინ მდებარე მოედანი აქციის მონაწილეებისგან მთლიანად გაწმენდილი იყო. კიევში ტრანსპორტის მოძრაობა აღდგა.. აქციის მონაწილეთა და ოპოზიციის წარმომადგენელთა წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმეა აღძრული. ხელისუფლების მხრიდან ასეთი ქმედებების მიუხედავად, ერთი რამ უკვე აშკარაა: უკრაინის ოპოზიცია პრეზიდენტ კუჩმას გადადგომის მოთხოვნას ერთსულოვნად ითხოვს. უკრაინის მოსახლეობა კი ოპოზიციას უჭერს მხარს და უკან დახევას არ აპირებს. ასეთი ვითარება კი ყოველთვის ხელისუფლების მარცხით მთავრდება. განსაკუთრებით მაშინ, როცა მთავრობა საკუთარი ხალხის წინააღმდეგ ფიზიკურ ანგარიშსწორებას იწყებს.

## მოკლედ

**ცხინვალი.** ცხინვალის რეგიონის ერთ-ერთ ქართულ სოფელში, თამარაშენში, ნაწლავური ინფექციის 30 შემთხვევა გამოვლინდა. გუშინ გამართულ ბრიფინგზე საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტის უფროსმა რამაზ ურუშაძემ განაცხადა, რომ დიარეის პირველი შემთხვევები აგვისტოს ბოლოს აღირიცხა. დაავადების მიზეზი სასმელი წყლის ინფიცირებაა. როგორც ცნობილია, მიწისძვრის შედეგად თამარაშენის წყალსადენის სისტემა დაზიანდა, რამაც წყლის დაბინძურება გამოიწვია. ავადმყოფები ამბულატორიულ მკურნალობას გადიან. რამაზ ურუშაძის თქმით, ყველა უზრუნველყოფილია აუცილებელი მედიკამენტით.

■ ■ ■

**აბაშა.** გუშინდელ ბრიფინგზე საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარემ რამაზ ურუშაძემ განაცხადა, რომ აბაშის რაიონში სალმონელოზის კერა დახურულია.

დაავადების პირველი შემთხვევები აბაშის რაიონის სოფელ ტყვირში ერთი კვირის წინათ დაფიქსირდა, რის შემდეგაც ავადმყოფთა რიცხვი 128-მდე გაიზარდა. ლაბორატორიულმა გამოკვლევებმა დაავადების გამომწვევი „ც“ ჯგუფის სალმონელა გამოავლინა.

ამჟამად აბაშის რაიონულ საავადმყოფოში მოთავსებულია 72 ავადმყოფი, 22 - სამტრედიის და 4 - სენაკის საავადმყოფოებში. ეპიდემიოლოგთა ინფორმაციით, ეპიდაფეთქების მიზეზი სოფელ ტყვირში საქორწილო სუფრაზე მირთმეული ქათმის ხორცისგან მომზადებული კერძი იყო. რამაზ ურუშაძის თქმით, ბოლო ორი თვის განმავლობაში, უკვე სალმონელოზის მესამე ეპიდაფეთქებაა. პირველი შემთხვევა ახალციხეში მოხდა, მეორე კი - თიანეთში.

■ ■ ■

**დმანისი.** დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ცნობით, დმანისის რაიონის სოფელ გომარეთში ტყეში დაკრეფილი სოკოთი ერთი ოჯახიდან მამა და სამი ბავშვი მოიწამლა. მამა და ერთი შვილი გადარჩნენ. ისინი თბილისის ბავშვთა მეორე საავადმყოფოში გადაიყვანეს, დანარჩენი ორი, 13-14 წლისანი კი, გარდაიცვალა. დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი მოსახლეობას მოუწოდებს, რომ სოკოს კრეფისას იყვნენ ფრთხილად.

■ ■ ■

**ერევანი.** გერმანიის მთავრობა მზად არის გარკვეული პროგრამის ფარგლებში ფინანსური დახმარება გაუწიოს ეკოლოგიურ პროგრამის დარეგულირებას, რომელიც მდინარეების მტკვრისა და არაქსის დაბინძურებას ეხება. ამის შესახებ განაცხადა პროგრამის ეკოლოგიურ საკითხთა ხელმძღვანელმა, გერმანიის ეკოლოგიის სამინისტროს წარმომადგენელმა გილა ალტმანმა.

სომხეთის პარლამენტის ცნობით, ვინაიდან ეს პროგრამა გარემოს დაცვის რეგიონალურ ამოცანას უკავშირდება, ამ საკითხზე კომისია სომხეთის პოზიციით დაინტერესდა. სომხეთის პარლამენტი სოციალურ, ეკოლოგიურ საკითხთა და და ჯანდაცვის პოსტკომისიის ხელმძღვანელმა გაგიკ ტადევოსიანმა განაცხადა, რომ სომხური მხარე არა მხოლოდ თანახმაა, არამედ სამხრეთ-კავკასიის რეგიონში ეკოლოგიურ პრობლემებთან დაკავშირებით თანამშრომლობის საკითხში იყო და არის ლიდერი, ამასთანავე მომხრეა ნებისმიერი კონსტრუქციური პროგრამის.

შეხვედრაზე ასევე განიხილებოდა მეწამურის ატომური სადგურის დახურვის საკითხიც. ტადევოსიანის განცხადებით, დღეს სადგურის დახურვამ შესაძლოა გამოიწვიოს ენერგეტიკული პრობლემა და პრობლემის გადაჭრის გზას იგი მხოლოდ ენერგიის ალტერნატიული წყაროს შექმნაში ხედავს.

■ ■ ■

**თბილისი.** გუშინდელ ბრიფინგზე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა ამირან გამყრელიძემ განაცხადა, რომ თბილისობის დღესასწაულისათვის, რომელიც ოქტომბრის ბოლოს აღინიშნება, სამედიცინო უნივერსიტეტის ეზოში გაიხსნება ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანების სახელობის ეკლესია.

მან ექიმებს მოუწოდა, რომ ეკლესიის ფონდს შეძლებისდაგვარად დაეხმარონ.

■ ■ ■

**თბილისი.** მწყრის ხორცით მოწამვლის ფაქტი ჯერ არ აღრიცხულა, მაგრამ დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი შემოდგომაზე მოწამვლის შემთხვევებს არ გამორიცხავს და მოსახლეობას მის საკვებად გამოყენებას არ ურჩევს. მწყრის ხორცით მოწამვლა შეიძლება ხორცში დაგროვილმა ტოქსიკურმა ნივთიერებებმა გამოიწვიოს. ამ ნივთიერებებს კი კონიოს, თავცეცხლასა და ციპუტას მარცვლები აჩენს.

*ინტერ-პრესი, მედია-ნიუსი, კავკას-პრესი*




## პრეზენტაცია

# დღეიდან

ქართულ პრესას კიდევ ერთი გაზეთი შეემატა. "მთავარი გაზეთი" - ასე ეწოდება ახალ, უკვე საკმაოდ რეკლამირებულ ყოველდღიურ გაზეთს.

გუშინ "შერატონ-მეტეხი-პალასში" გაიმართა გაზეთის და მისი სპორტული დამატების პირველი ნომრების, ზომიერად წარმომადგენლობითი და ბევრი მუსიკით გაჯერებული პრეზენტაცია.

"დღეიდან და მუდამ, - იმედით იწყება პირველი ნომერის მოწინავე წერილი, - კარგადაც ჟღერს და რაც მთავარია, ამის პრეტენზია გვაქვს". რედაქციის იმედი და ამბიციები არცთუ უსაფუძვლოა. გაზეთის ინტელექტუალური, პროფესიული თუ სხვა რესურსები იმის წინაპირობაა, რომ "მთავარმა გაზეთმა", მოკლე ხანში, ქართული პრესის ღირსეულ წარმომადგენელთა შორის ერთ-ერთი მთავარი ადგილი დაიკავოს.

*"24 საათი"*







*მასპინძლები და სტუმრები "შერატონ-მეტეხ-პალასში"*

ბესო გულაშვილის ფოტო

# მონატრებიათ შვილებს მამა

**პირველი გვერდიდან**

პატრიარქი მუზეუმისაკენ გაეშურა. მუზეუმი გარედან ძველ ფიცრულს ჰგავს, მაგრამ შიგნით საქართველოს დიდება ბრწყინავს. უბრალო თაროებზე მეათე-მეთერთმეტე საუკუნეების ისეთი სიწმინდეები აწყვია, შეხების შეგეშინდება კაცს – საკურთხევლის წინამდებარე უნიკალური ჯვრები, რომლითაც ძალიან მდიდარი ყოფილა სვანეთი; ჭედური და ფერწერული უძველესი ხატები, უკვდავი ორიგინალები, ადიშის, ლაფსკალდის, იენაშისა და მესტიის სალოცავების ოთხთავები და საუკუნეების წინანდელი ქართული ხელნაწერები. ამის შემდეგ პატრიარქმა მუზეუმის ახალი შენობა მოინახულა, იგი ამ წლის ბოლოს გაიხსნება და მესტიის მთელ საგანძურს დაიტევს.

ამასობაში შაუდღეც გადავიდა. ისევ გულმოდგინედ წვიმდა. ცაგერიდან და ლენტეხიდან სატელეფონო ზარები გახშირდა, მაგრამ პატრიარქი მშვიდად იყო. პრეზიდენტის პრესსამსახურის თანამშრომელი სოსო ტყებუჩავა კი ყველას უმტკიცებდა, პატრიარქის მადლით ცა აუცილებლად გაიხსნებაო. 3 საათზე მართლაც გამოიდარა და ნახევარ საათში ვერტმფრენში ვისხედით. ცაგერის სტადიონზე ნინო ბურჯანაძე, პარლამენტარები და უამრავი ხალხი დაგვხვდა. ისინი პატრიარქს ხალიჩაზე ყვავილებს უფენდნენ. ნინო ბურჯანაძემ თქვა, წვიმის მიუხედავად, ხალხი მთელი დღის განმავლობაში გელოდათო. თბილი, სამადლობელი სიტყვებისა და დალოცვის შემდეგ პატრიარქი ღვთისმშობლის მიძინების ტაძრისაკენ გაემართა, მაგრამ გზად პაწია სუფრასა და კოწია ბაქრაძეს გადაეყარა, თავის 36-ჭიქიანი ყანწით, სადღეგრძელო თქვა და ყანწიც მოიყუდა. კოწია ბაბუას მოგვიანებით ჰკითხეს, ეგ ყანწი ახალგაზრდობაში თუ დაგილევიაო. რას ამბობ, ბიჭო, მაგას ვინ დალევს, მე შვიდჭიქიანს ვსვამდიო. ტაძრისკენ მიმავალ უწმინდესს იმდენი ხალხი მიჰყვებოდა, ცაგერის მთელი ქუჩაც კი ვერ იტევდა. იქაურებმა თქვეს, კიდევ უფრო მეტი ხალხი იყო, მაგრამ ეგონათ, პატრიარქი წვიმის გამო აღარ ჩამოფრინდებოდა და უკან გაბრუნდნენო. პარაკლისის შემდეგ უწმინდესი ლენტეხში წაბრძანდა. ლენტეხის შესასვლელთან სვანებმა სიურპრიზი მოაწყეს. ხანის წყლის პირას დიდი ყანწებით დამძიმებული პატარა სუფრა გაშალეს და პატრიარქს ბაირაღებით დახვდნენ. პირველი ყანწი ლენტეხის ხალხური ანსამბლის, "ლაგუშელას" (ღმერთო შეგვიწყალე) სოლისტს ერგო. ყანწები დალიეს თენგიზ გაზდელიანმა, ივერი ჭელიძემ და როგორც იტყვიან, სხვა ოფიციალურმა პირებმა. ამასობაში "ლაგუშელას" სვანური სიმღერები და ცეკვები მთებს აზანზარებდა. ყანწის შემდეგ მათ გაზდელიანიც შეუერთდა და სხვაზე ნაკლებად არ უმღერია და უცეკვია.

ლენტეხშიც უამრავი ხალხი დაგვხვდა. პატრიარქმა პარაკლისის შემდეგ მხარეთმცოდნეობის მუზეუმი მოინახულა და კვლავ ცაგერში დაბრუნდა. იქ ხალხით სავსე დარბაზში შეხვედრა გვიან ღამით დაიწყო.

დღეს ლადოობაა (ლადო ასათიანის დღე) და ყველა მის მშობლიურ სოფელს, ბარდნალას ესტუმრება. შემდეგ კი პატრიარქს რაჭა უმასპინძლებს.

# „ევროცემენტმა“ 75 ლარი „იზარალა“

ეთერ მამულაშვილი

*ჯანმრთელობის გაუარესების გამო, კასპის რაიონის სოფელ ქვემო ხანდაკის რამდენიმე მოსახლემ საქართველოს "მწვანეთა პარტიას" დახმარებისთვის მიმართა. ხანდაკელების თქმით, სოფლის მცხოვრებთა დიდი ნაწილი ტუბერკულოზით და ბრონქული ასთმით არის დაავადებული. სოფელში მდებარე ცემენტის ქარხანა კი მათ ჯანმრთელობას სერიოზულ პრობლემებს უქმნის.*

"მწვანეების" შუამდგომლობით, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელსაც ქარხნის შესწავლა დაევალა. შემოწმების შედეგად კომისიამ გამოავლინა, რომ ქარხანა, შპს "ევროცემენტი" გარემოს დაცვის ყველა ნორმის დარღვევით ფუნქციონირებდა. კერძოდ: ჰაერში მავნე ნივთიერებები დამტკიცებული ლიმიტის გარეშე იფრქვეოდა; ქარხანა არ იყო აღჭურვილი მტვერდამჭერი ფილტრით; არაჰერმეტულობის გამო ატმოსფერული ჰაერი ინტენსიურად ბინძურდებოდა ნედლეულის მტვრით; ეს ყველაფერი მარტო მოსახლეობის ჯანმრთელობას კი არ უქმნის საფრთხეს, გარემოსაც დიდ ზიანს აყენებს.

სამინისტროს კომისიამ კასპის რაიონულ სასამართლოში შეიტანა სარჩელი, "ევროცემენტმა" შეაჩეროს ფუნქციონირება ზარალის ანაზღაურებისა და დარღვევების გამოსწორებამდე.

სასამართლომ სულ ცოტა ხნის წინ გამოიტანა განაჩენი: მოსამართლე მილაძემ შპს "ევროცემენტი" 75 ლარით დააჯარიმა. მოსამართლის ამ გადაწყვეტილებას "მწვანეთა" პარტიის ლიდერი გიორგი გაჩეჩილაძე ტენდენციურს უწოდებს. "აშკარაა, რომ მეწარმესა და მოსამართლეს შორის გარიგება მოხდა. განა 75 ლარზე მეტი ზიანი არ განიცადა მოსახლეობამ? მოსამართლემ მეწარმეს დარღვეული ნორმების გამოსწორება არ დაავალა. განა ეს ნორმალურია?" - აღშფოთებულია გაჩეჩილაძე. მისი თქმით, ქარხანა დღესაც იგივე დარღვევებით მუშაობს და შეწუხებული მოსახლეობის მდგომარეობა "ევროცემენტს" ოდნავაც არ აღელვებს. "უახლოეს მომავალში ამ უნიკალურ განაჩენს ჩვენ იუსტიციის საბჭოს გავუგზავნით. ჩავიდნენ და საკუთარი თვალით ნახონ, რა მდგომარეობაშია მოსახლეობა. თუ ამჯერად მაინც არ მოჰყვა ამას სათანადო რეაგირება, მერე სარჩელს სასამართლოში აღვძრავთ და მოვითხოვთ, რომ ქარხანამ მოსახლეობას მიყენებული ზიანი აუნაზღაუროს. დამიჯერეთ, ეს იმდენად დიდი თანხა იქნება, რომ ამას "ევროცემენტი" მთელი ცხოვრება ვერ გადაიხდის", - აცხადებს "მწვანეების" ლიდერი.

გაჩეჩილაძე ფიქრობს, რომ ამ სოფელში ცემენტის ქარხნის მშენებლობაზე ნებართვაც უკანონოდ გაიცა, რადგან "ეს ადგილი არის საკურორტო ზონა. გარდა ამისა, აქ მოდის უნიკალური ჯიშის ყურძენი და საუკეთესო ხარისხის ხილი".

ეტყობა, ხილისა და ყურძნის ჯიშების უნიკალურობაში არც მოსამართლე მილაძეს ეპარება ეჭვი. ის თავის დადგენილებაშიც მიუთითებს: "ცემენტის ქარხნის მიერ ნიადაგისა და ჰაერის დაბინძურება იწვევს კატასტროფულ შედეგებს".

მაგრამ, როგორც ჩანს, მოსამართლისთვის ქარხნის მიერ მიყენებული კატასტროფული ზიანი, სამოცდათხუთმეტ ლარზე მეტად არ ფასობს.

# გარე მოვაჭრეები მაკონტროლებელს პროდუქტს მანქანებში უმალავენ

ნანა ქადაგიშვილი

2002 წელს, მთელი წლის განმავლობაში, სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექციამ გარე ვაჭრობის ადგილებიდან 9 000 კგ მალფუჭებადი პროდუქტი, აქედან 2 000 კგ შებოლილი თევზი ამოიღო. მალფუჭებადი პროდუქციით ვაჭრობის ამკრძალავი ბრძანებულებების გამოცემა ყოველი წლის გაზაფხულიდან იწყება, მაგრამ, ჯერჯერობით, სათანადო შედეგი არც ამ დოკუმენტებს გამოუღია და არც სანიტარიული სამსახურების სისტემატურ შემოწმებებს.

პრობლემის მოუგვარებლობას უამრავი მიზეზი აქვს, მაგალითად, დასჯის მექანიზმების უქონლობა, გარე მოვაჭრეთა გაჭირვება, მაკონტროლებელი უწყების თანამშრომელთა მწირი ხელფასი და ა.შ. ყოველივე ამის გამო თბილისში გარე ვაჭრობის აკრძალვაზე ოცნებაც კი ზედმეტია.

რამდენიმე კვირის წინათ სანიტარიული სამსახური აცხადებდა, გარე ვაჭრობის ადგილებში ხორცის პროდუქტებსა და თევზს ვეღარ შეხვდებითო. ქუჩაში გამოტანილი ეს პროდუქტი, ბოლო დროს, მართლაც, იშვიათად შეიმჩნეოდა, მაგრამ ახლახან სანიტარიულმა სამსახურმა მალფუჭებადი პროდუქტით ვაჭრობის ახალი "კერები" აღმოაჩინა.

მოვაჭრეები ხორცის, რძის პროდუქტებითა და თევზით დეზერტირების ბაზრის შესასვლელში მანქანებიდან ჩუმ-ჩუმად ვაჭრობენ. მათ ეს ხერხი იმიტომ აირჩიეს, რომ თუკი მაკონტროლებელი გამოჩნდა, მანქანებში პროდუქტის დამალვა იოლია. თუმცა, ამით მოვაჭრეები მერიის ბრძანებულებას ორმაგად არღვევენ.

ორი თვის წინათ ქალაქის მერიამ "დინამოს" სტადიონის მიმდებარე ქუჩებზე, მათი განტვირთვის მიზნით, მანქანებით ვაჭრობა აკრძალა, მაგრამ, როგორც ხვდებით, მერიის არც ეს ბრძანებულება სრულდება.



*ერთ-ერთი "კერა"*

იური ლობოდინის ფოტო

# ახმეტელები ავთანდილ თურქიაშვილის განთავისუფლებას ითხოვენ

პირველი გვერდიდან

მხედრული მამაცობისთვის პრეზიდენტის მიერ რამდენიმე თვის წინ დაჯილდოებული ავთანდილ თურქიაშვილი, რომლის თანამდებობაც ახმეტის საავადმყოფოდან ფეხის წვივებში მძიმედ დაჭრილი ჩეჩნის - ისა მურადოვის დაუბრკოლებლად გაყვანას შეეწირა, კახეთის სამხარეო პროკურატურისთვის ახლა ბრალდებულია. ადმინისტრაციული წესით დაკავებულ ყოფილ პოლიციის უფროსს ბრალდება დაუმძიმეს. ახლა უკვე სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებაში დადანაშაულებული პოლიციელის საქმეში ბევრი რამ ჯერ კიდევ ბუნდოვანია. გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, სამართალდამცველები კომენტარზე კატეგორიულ უარს აცხადებენ. **"რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, თურქიაშვილი ამბობს, რომ საავადმყოფოზე მეთვალყურეობის მოხსნის გადაწყვეტილება პირადად მან მიიღო",** - გვითხრა კახეთის სამხარეო პროკურორმა გურამ გიოშვილმა. არადა, ჩვენი ინფორმაციით, ავთანდილ თურქიაშვილმა უკვე დაადასტურა, რომ საავადმყოფოზე კონტროლის მოხსნის მითითება მას, სატელეფონო ზარით, მისივე უწყების ერთ-ერთმა მაღალჩინოსანმა მისცა.

პოლიციის შენობის წინ შეკრებილმა ახმეტელებმა გუშინ შინაგან საქმეთა მინისტრის სახელზე მიმართვის ტექსტი შეადგინეს. თურქიაშვილის მხარდამჭერებმა კობა ნარჩემაშვილს ულტიმატუმი წაუყენეს და პოლიციის უფროსის გათავისუფლება კატეგორიულად მოსთხოვეს. **"თუ ხვალ, ექვს საათამდე ავთანდილ თურქიაშვილს არ გაათავისუფლებთ ან აღმკვეთ ღონისძიებას შინაპატიმრობით მაინც არ შეუცვლით, პირობას ვდებთ, გადავკეტავთ ახმეტის ცენტრალურ მაგისტრალს",** - აცხადებდნენ შეკრებილები, რომელთა რიცხვიც მთელი დღის განმავლობაში იზრდებოდა და საპროტესტო აქციამ, საბოლოოდ, მრავალრიცხოვანი თავყრილობის სახე მიიღო.

**"თურქიაშვილი შარში გახვიეს, ბრძანება მან ზემდგომი ინსტანციიდან მიიღო და მითითებას დაემორჩილა. არ შეიძლება ასეთ პატიოსან კაცს ასეთი რამ თვითნებურად ჩაედინა, ამ ყველაფრის უკან რაღაც საიდუმლოებები იმალება",** - აცხადებდნენ მომიტინგეები.

გუშინვე, ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, დაკავებული პოლიციელის მეუღლე კობა ნარჩემაშვილს შეხვდა. იმავე ინფორმაციით, საბოლოო გადაწყვეტილებას, დაპატიმრებული ქვეშევრდომის გათავისუფლებასთან დაკავშირებით, ნარჩემაშვილი მხოლოდ გამოძიების დასრულების შემდეგ მიიღებს. მაგრამ არსებობს ინფორმაციაც, რომ მინისტრი თურქიაშვილს რამდენიმე დღეში გათავისუფლებას დაჰპირდა.

ერთი სიტყვით, დაკმაყოფილდება თუ არა გუშინ, ახმეტის ცენტრში შეკრებილი ასობით ადამიანის მოთხოვნა ან, წინააღმდეგ შემთხვევაში, შეასრულებენ თუ არა საკუთარ მუქარას ახმეტელები, დღეს გაირკვევა. ასეა, თუ ისე, ფაქტი ერთია: საქმეში ბევრი გაურკვეველი დეტალია. ჯერჯერობით არავის დაუსახელებია ნამდვილი დამნაშავე – პოლიციის ის მაღალჩინოსანი, რომელმაც თურქიაშვილს მითითება მისცა, რომლის საფუძველზეც სპეცოპერაციისას დაჭრილი ჩეჩენი საავადმყოფოდან გააპარეს.

ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, ბრალდებულ პოლიციელს შსს-ს საკანში გუშინ მისი ადვოკატი შეხვდა. ავთანდილ თურქიაშვილის დამცველიც ჯერჯერობით დუმილს ამჯობინებს.

# შეტაკების დეტალები მკაცრად გასაიდუმლოებულია

ხათუნა ჯანგირაშვილი

გუშინწინ, საღამოს ილტოს ხეობის ერთ-ერთ სოფელში მომხდარი შეტაკებისას ლიკვიდირებული ჩეჩნის ვინაობა ჯერ კიდევ დაუდგენელია. სამართალდამცველები არც იმ სპეცრაზმელის ვინაობას ახმაურებენ, რომელიც შეტაკებისას დაიჭრა და, ქირურგიული ჩარევის შემდეგ, თელავის საავადმყოფოდან საიდუმლოდ გაიყვანეს.

გუშინ კახეთის სამხარეო პროკურატურის საგამოძიებო ჯგუფმა, თითქმის მთელი დღის განმავლობაში, ორი დღის წინ მომხდარი შეტაკების ადგილზე იმუშავა, შეაგროვა ნივთმტკიცებები და მოწმეები დაკითხა.

როგორც გაირკვა, ილტოს ხეობის ერთ-ერთ საგუშაგოსთან ახლოს მცხოვრებ ოჯახში ავტომატებით შეიარაღებული ჩეჩენი შეიჭრა და ოჯახის წევრებს სახლის დაცლა მოსთხოვა. ოჯახის ერთ-ერთმა წევრმა როგორღაც საგუშაგომდე მისვლა მოახერხა და პოლიციელებს დახმარება სთხოვა. შეიარაღებულმა ჩეჩენმა ანტიკრიმინალური ოპერაციის მონაწილეებს წინააღმდეგობა გაუწია, ცეცხლი გაუხსნა და გაქცევა სცადა. ორმხრივი სროლისას სამართალდამცველებმა თავდამსხმელი მოკლეს. **"ჩეჩენი ბოევიკის მიერ დაჭრილი სპეცრაზმელი დღეს უკვე კარგად არის, მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება",** - გვითხრა კახეთის სამხარეო პროკურატურის საგამოძიებო ჯგუფის უფროსმა დავით მინაშვილმა. საერთოდ, გუშინწინ მომხდარი შეტაკების დეტალები მკაცრად გასაიდუმლოებულია. კანონდამცველები კატეგორიულ უარს აცხადებენ, ჩეჩენი ბოევიკისა და დაჭრილი სპეცრაზმელის ვინაობის დასახელებაზეც კი. თუმცა, ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, მოკლულის სახელი და გვარი კანონდამცველებისთვის უცნობია. ინფორმაცია დაგვიდასტურა საგამოძიებო ჯგუფის უფროსმა დავით მინაშვილმაც. "მოკლულს ვინაობის დამადასტურებელი საბუთები ან რაიმე სხვა დოკუმენტი არ აღმოაჩნდა, აბა, ჯერ როგორ უნდა ვიცოდეთ, ვინ არის," – გვითხრა მან.

გუშინ, დილით გავრცელდა ინფორმაცია, რომ მომხდართან დაკავშირებით პანკისის ხეობაში პოლიციის დამატებითი ძალები შეიყვანეს. თუმცა, მოგვიანებით ეს ინფორმაცია შინაგან საქმეთა მინისტრმა უარყო. კობა ნარჩემაშვილის თქმით, პანკისის ხეობაში დამატებითი შენაერთების შეყვანა აუცილებელი არ არის. მინისტრის განცხადებით, ხეობაში მდგომარეობა, ამ ეტაპზე, სტაბილურია. რაც შეეხება პანკისში მიმდინარე ანტიკრიმინალური ოპერაციის აქტიურ ფაზაზე გადასვლას, შს მინისტრი გააქტიურებას მხოლოდ მას შემდეგ გეგმავს, როცა "სათანადო პირობები შეიქმნება."

# ვაზიანის არსენალი თბილისის ზღვაზე აღმოაჩინეს

ხათუნა ჯანგირაშვილი

ვაზიანის სამხედრო ბაზიდან რამდენიმე თვის წინ გატანილი 12 სატანკო ტყვიამფრქვევი გუშინ თბილისის ზღვის ტერიტორიაზე მდებარე ერთ-ერთ მიტოვებულ, თითქმის დანგრეულ შენობაში აღმოაჩინეს.

ანონიმური ზარის ავტორმა სამხედრო კონტრდაზვერვის სამსახურს გადამალული დიდძალი იარაღის კონკრეტული ადგილმდებარეობა მიუთითა. ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე სასწრაფოდ ჩატარდა სპეცოპერაცია. დილითვე არსებობდა ვერსია, რომ შენობის მიმდებარე ტერიტორია, შეიძლებოდა, დანაღმული ყოფილიყო. ანონიმის მიერ მითითებულ შენობაში შესვლამდე, უშიშროების სამინისტროს სამხედრო კონტრდაზვერვის სამმართველოს თანამშრომლებმა ტერიტორია შეამოწმეს და ნახევარსაათიანი მუშაობის შემდეგ დაადგინეს, რომ ტერიტორია უსაფრთხო იყო.

მითითებულ ადგილას მისულ სამხედრო პროკურატურის ოპერატიული და საგამოძიებო ჯგუფის წევრებს დიდი ძებნა არც დასჭირვებიათ. მიტოვებული შენობის ერთ-ერთ გამონგრეულ კედელში, ყავისფერ პლედში გახვეული "კალაშნიკოვის" სისტემის 12 სატანკო ტყვიამფრქვევი და სხვა მოწყობილობები აღმოაჩინეს.



ექსპერტიზისთვის გამზადებული ტყვიამფრქვევები
ბესო გულაშვილის ფოტო

**"კედლიდან ბეტონი იყო გამონგრეული, საიდანაც ერთ-ერთი ტყვიამფრქვევის ლულა მოჩანდა. აღმოჩენილი იარაღი ნაგავში იყო ჩამალული. რაც ყველაზე საინტერესოა, ზუსტად იმ ადგილას ძაღლის გახრწნილი ნეშტი ვიპოვეთ. დასაშვებია, ვიღაცამ შეგნებულად დააგდო იმ ადგილას მკვდარი ძაღლი, რათა გახრწნილი გვამის სუნის გამო იქაურობას არავინ გაჰკარებოდა",** - განაცხადა ჩვენთან საუბრისას ვაზიანის საქმის საგამოძიებო ჯგუფის ხელმძღვანელმა დათო გაგნიძემ. მისივე თქმით, გუშინ ნაპოვნი სამხედრო ტექნიკა სწორედ ვაზიანის სამხედრო ბაზიდან გამქრალი იარაღია, რადგან დაკარგული და აღმოჩენილი "კალაშნიკოვის" სატანკო ტყვიამფრქვევების ნომრები და რაოდენობა ერთმანეთს ემთხვევა.

ერთი სიტყვით, ვაზიანის სამხედრო ბაზის გაქურდვის ფაქტზე სამხედრო პროკურატურაში მიმდინარე საქმის გამოძიება ახალი დეტალებით ივსება. როგორ, რანაირად და ვინ გახსნა თბილისის ზღვის ტერიტორიაზე მოპარული იარაღის საწყობი, ალბათ, მოგვიანებით გახდება ცნობილი. გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, გამომძიებელი დავით გაგნიძე საქმის კონკრეტულ დეტალებზე საუბრისგან ჯერჯერობით თავს იკავებს.

შეგახსენებთ, რომ ვაზიანის სამხედრო ბაზის გაქურდვის ფაქტზე უკვე დაკავებულია სამი პიროვნება – სატანკო ბატალიონის ყოფილი მეთაური ვაჟა გუტაშვილი, 112-ე ბატალიონის პირველი ასეულის მეთაური ლევან პაპაშვილი და სამხედრო პროკურატურაში თავისი სურვილით და აღიარებითი ჩვენებით გამოცხადებული მექანიზირებული ბატალიონის მეორე ასეულის უფროსი ზვიად ჩუბინიძე. დაკავებულებს სამხედრო პროკურატურამ ქურდობის, თანამდებობის ბოროტად გამოყენებისა და სამსახურებრივი დაუდევრობის ბრალდება წაუყენა.

**"ამ სამ პიროვნებას სხვებიც დაემატებიან. ამოღებულია ნივთმტკიცება, დადგენილი გვყავს დამნაშავე პირები. ეს იმას ნიშნავს, რომ საქმე გახსნილია",** - გვითხრა გუშინდელი ოპერაციით კმაყოფილმა მთავარმა სამხედრო პროკურორმა, რომელიც, ქვეშევრდომის მსგავსად, გახსნილი საქმის კონკრეტულ დეტალებს ჯერჯერობით არ ახმაურებს. თუმცა, მისგან შევიტყვეთ, რომ, წინასწარი მონაცემებით, საქმეში უცხო ქვეყნის მოქალაქეები ფიგურირებენ.

თბილისის ზღვაზე აღმოჩენილი უკვე დაჟანგებული იარაღი სამხედრო პროკურატურის თანამშრომლებმა გუშინვე თვდაცვის სამინისტროს სასამართლო-კრიმინალისტიკური ექსპერტიზის სამსახურს გაუგზავნეს.

# ტყეშელაშვილი "კახელოს" რუსთავიდან აგდებს

მაია მოსიაშვილი

დაახლოებით ერთი კვირაა, რაც რუსთავის შესასვლელთან პოლიციელთა გაძლიერებული პატრულირება მიმდინარეობს. რუსთავის პოლიციის შეფმა ამის მიზეზად ათი დღის წინ მომხდარი კრიმინალი დაასახელა.

ქვემო ქართლის სამხარეო პოლიციის ინფორმაციით, "6 სექტემბერს გარდაბნის რაიონის სოფელ კრწანისის ტერიტორიაზე მდებარე დოსააფის ავტომოტოკლუბის ადმინისტრაციული შენობის ერთ-ერთ ოთახში აღმოჩენილ იქნა ნასამართლევი, გარდაბნის რაიონის სოფელ გამარჯვებაში მცხოვრები, 1983 წელს დაბადებული დავით გელას ძე ნებუნიშვილის გვამი, რომელსაც თავის არეში აღენიშნებოდა მაკაროვის სისტემის ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლის შედეგად მიყენებული ჭრილობა. დადგენილ იქნა, რომ აღნიშნულ შენობაში მასთან ერთად მივიდნენ ადრე ნასამართლევი გივი არჩილის ძე ჯანიაშვილი, მეტსახელად "კახელო", დაბადებული 1962 წელს, მცხოვრები რუსთავში და ასევე რუსთაველი, 1965 წელს დაბადებული ზაზა ზიგფრიდის ძე ჭელიძე. ოთახში, სადაც აღნიშნული პირები იმყოფებოდნენ ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე მოხდა ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლა, რომლის შედეგადაც ნებუნიშვილი გარდაიცვალა, ხოლო ჯანიაშვილი და ჭელიძე ამ უკანასკნელის მანქანა "მერსედესში" ჩასხდნენ და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ. გამოძიებას გარდაბნის პროკურატურა აწარმოებს."

ორი დღის შემდეგ, 8 სექტემბერს უცნობმა პირებმა, რუსთავში "კახელოს" საცხოვრებელი სახლი დაცხრილეს. სახლში იმ დროს არავინ იმყოფებოდა.

"24 საათი" გარდაბნის პროკურორს ვაჟა გენგაშვილს დაუკავშირდა, რომელმაც განაცხადა, რომ შემთხვევის ადგილზე, მოკლულიანად ხუთი ადამიანი იმყოფებოდა. მისივე თქმით, ეჭვმიტანილები გამოძიებამ დაკითხვაზე დაიბარა, მაგრამ ისინი იქ არ გამოცხადდნენ. მიუხედავად ამისა, მათზე ძებნა ოფიციალურად ჯერ არ გამოცხადებულა. გენგაშვილი ირწმუნება, რომ საქმე უახლოეს დღეებში გაიხსნება.

რუსთავის პოლიციის უფროსი ნიკა ჯაფარიძე მომხდარს აფასებს, როგორც ქურდულ სამყაროში გავლენის სფეროების გადანაწილების პროცესის ერთ-ერთ შედეგს და ამას თბილისში ჩამოსულ გავლენიან ავტორიტეტს, ტარიელ ონიანს უკავშირებს.

რუსთავის მერი მერაბ ტყეშელაშვილი დამნაშავეთა ქალაქიდან გაძევების მომხრეა.

"როგორც მეუბნებიან, აქ რაღაც "რაზბორკები" მიდის. ეგღა გვაკლია, რომ ქურდებმა მოგვიწყონ აქ რაღაც ექსცესები. ეს არის მიუღებელი ჩემთვის, ქალაქისთავის, მოსახლეობისთვის და პოლიციისგან მოვითხოვ, მაქსიმალურად უნდა ვიმუშაოთ, რომ არც ერთი ის პიროვნება, რომელიც ამ საქმეში სახელდება, ქალაქში არ უნდა გაჩერდეს. კეთილი ინებონ, წავიდნენ და იცხოვრონ იმ ადგილებში, სადაც ამისთანა შემთხვევებს შეეგუებიან და შეუძლიათ ქალაქი ააწიოკონ, მოსახლეობას შეუქმნან პრობლემა. მე ასეთი მოქალაქეები და ადამიანები ქალაქში არ მჭირდება," - განაცხადა მერმა.

# რუსეთის გენერალური პროკურატურა შევარდნაძის წინააღმდეგ საქმის აღძვრას აპირებს

ინგა ალავიძე

რუსეთის გენერალური პროკურატურა აპირებს, სამართლებრივი შეფასება მისცეს ბეიკერ-შევარდნაძის შეთანხმებას. საუბარია სკანდალურ "ბერინგის საქმეზე".

**"ჩვენ დავიწყეთ შემოწმება, რომლის დამთავრების შემდეგ აუცილებლად მიეცემა სამართლებრივი შეფასება ამ შეთანხმებასა და მასში მონაწილე პირთა მოღვაწეობას,"** – განაცხადა რუსეთის გენერალური პროკურორის მოადგილემ კონსტანტინე ჩაიკამ, რომელიც "ბერინგის საქმის" გამო პროკურატურაში შექმნილ სპეცჯგუფს ხელმძღვანელობს.

საქმის შემსწავლელი ჯგუფის წევრები ადასტურებენ, რომ "ბეიკერ-შევარდნაძის შეთანხმება" გაფორმდა რუსეთის ეკონომიკური ინტერესების დარღვევით. პროკურატურის გამომძიებლებს მოუწევთ, შეისწავლონ საბჭოთა კავშირის ცკ-ის პოლიტბიუროს, უმაღლესი საბჭოსა და სსრკ-ს საგარეო საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილების თაობაზე არსებული 1990 წლის მასალები. ანუ, იმ პერიოდის შესწავლა მოხდება, როცა საგარეო საქმეთა სამინისტროს სათავეში ედუარდ შევარდნაძე ედგა.

საქმის შემსწავლელი ჯგუფის შეხვედრა ჩატარდება 19 სექტემბერს ფედერაციის საბჭოში. შეხვედრაზე მიწვეულები არიან სსრკ-ს მინისტრთა საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე ნიკალაი რიჟკოვი, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროსა და რუსეთში აშშ-ს საელჩოს წარმომადგენლები.

საქართველოს გენერალურ პროკურატურას რუსეთის პროკურატურიდან შეტყობინება პრეზიდენტ შევარდნაძის წინააღმდეგ საქმის აღძვრის შესახებ ჯერ არ მიუღია. მინსკის კონვენციის თანახმად, ასეთ ინფორმაციას ქართველი პროკურორები მას შემდეგ ჩაიბარებენ, რაც რუსეთის მთავარი პროკურორი საქმის აღძვრას ხელს მოაწერს, რის შემდეგაც საქართველოს გენერალურ პროკურატურას, სამართლებრივი დახმარების შუამდგომლობით, გამოეგზავნება კერძო დავალების პაკეტი: სამუშაო გეგმა კითხვარით, რომლის საფუძველზეც საქართველოში ჩატარდება საგამოძიებო პროცედურები და დაიკითხება ბრალდებულად გამოცხადებული პრეზიდენტი, რაც არც ისე ადვილი საქმე გახლავთ. ქართველ სამართალდამცველებს ედუარდ შევარდნაძის დაკითხვამდე საპრეზიდენტო იმუნიტეტის მოხსნაზე ზრუნვა მოუწევთ. იმუნიტეტის გაუქმების საკითხი კი, საქართველოს პარლამენტის გადასაწყვეტია. თუმცა, ეს ყველაფერი იმ შემთხვევაში დადგება დღის წესრიგში, როცა რუსეთის პროკურატურა შევარდნაძის წინააღმდეგ საქმეს რეალურად აღძრავს.

# მოსკოვს პატარკაციშვილი ოფიციალურად არ მოუთხოვია

ინგა ალავიძე

რუსეთის გენერალურმა პროკურატურამ კიდევ ერთი "ქართული საქმე" ამოსწია. უფრო ზუსტად, რამდენიმე დღის წინ ბორის ბერეზოვსკისა და ბადრი პატარკაციშვილისადმი წაყენებულ 20-მდე ახალ ბრალდებას კიდევ რამდენიმე დაუმატა და "აეროფლოტის" გახმაურებული საქმე ახალი დეტალებით გაამდიდრა.

რუსი სამართალდამცველები "აეროფლოტის" ფინანსების მითვისების საქმეში ბორის ბერეზოვსკისა და ბადრი პატარკაციშვილის სახელს ახლა თითქმის ყველა თაღლითურ ოპერაციასთან აკავშირებენ.

რუსეთის პროკურატურის ახალი მონაცემებით, "აეროფლოტის" გენერალური დირექტორის ყოფილი მოადგილის სერგეი გლუშკოვის, ბორის ბერეზოვსკისა და ბადრი პატარკაციშვილის პარტნიორობით "აეროფლოტის" მილიარდობით დოლარი "ავტოვაზბანკში" გადაირიცხა. დასახელებული სამეული ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს წევრები იყვნენ. გლუშკოვის ფინანსური ხელმძღვანელობით, "აეროფლოტმა" გააფორმა მილიარდიანი კონტრაქტები სატრანსპორტო ფირმებთან, მიუხედავად იმისა, რომ კომპანიას საკუთარი ავტოპარკი გააჩნდა.

გლუშკოვმა დაიწყო მოლაპარაკებები სარეკლამო კომპანიებთანაც. ერთ-ერთი ასეთი შეთანხმების საფუძველზე, "აეროფლოტის" ავტობუსზე გაკეთებული ლამაზი სარეკლამო წარწერა 400 ათასი დოლარი დაჯდა. გამოძიებამ მოიპოვა დოკუმენტები, რომლის მიხედვითაც ადასტურებს, რომ სარეკლამო და სატრანსპორტო ფირმებისთვის გადარიცხულ სოლიდურ თანხებს გლუშკოვი აკონტროლებდა. ფირმებისთვის ჩარიცხული ფული კვლავ "ავტოვაზბანკში" შეედინებოდა. "აეროფლოტის" ფული უცხოეთის საბანკო ანგარიშებზეც ჯდებოდა.

"აეროფლოტის" 11 მილიონი დოლარი გადაერიცხა ბერეზოვსკი-პატარკაციშვილი-გლუშკოვის კომპანია "ანდავას". ამ კომპანიის მფლობელი, ოფიციალურად, გლუშკოვი გახლდათ.

ბერეზოვსკის საქმესთან დაკავშირებით რუსეთის გენერალურმა პროკურორმა ვლადიმერ უსტინოვმა განაცხადა, რომ პროკურატურამ ბრიტანეთისა და საქართველოს კანონდამცველებს ბორის ბერეზოვსკისა და ბადრი პატარკაციშვილის დაკავებისა და გადაცემის მოთხოვნით მიმართა. მისივე თქმით, კოლეგა სამართალდამცველთა პასუხი რუსეთის პროკურატურას ჯერჯერობით არ მისვლია.

ვლადიმერ უსტინოვის განცხადებამდე რამდენიმე დღით ადრე საქართველოს გენერალურ პროკურატურაში გამოგზავნილი მოთხოვნის შესახებ ისაუბრა გენერალური პროკურორის მოადგილემ კოლესნიკოვმაც, რომელიც "ლოგოვაზის" საქმის საგამოძიებო ჯგუფს ხელმძღვანელობს.

არადა, საქართველოს გენერალურ პროკურატურას, ახალ ბრალდებასთან დაკავშირებით, ბადრი პატარკაციშვილის ექსტრადიციის თაობაზე მოთხოვნა არ მიუღია. **"რუსეთის გენერალურმა პროკურატურამ პატარკაციშვილის დაკავებისა და გადაცემის თაობაზე მოთხოვნა თებერვლის თვეში გამოგვიგზავნა. მას ბრალს სდებდნენ "აეროფლოტის" გენერალური დირექტორის მოადგილის გლუშკოვის გაქცევის ორგანიზებაში. თუმცა, პატარკაციშვილის ბრალდების დამადასტურებელი მასალები წერილს არ ახლდა. იმის გამო, რომ პატარკაციშვილი საქართველოს მოქალაქეა, საქმის გამოძიება საქართველოში უნდა ჩატარდეს, ამიტომაც რუსეთის პროკურატურას გავუგზავნეთ საპასუხო წერილი, რომლითაც, მინსკის კონვენციისა და სისხლის სამართლის კოდექსის მე-6 მუხლის საფუძველზე, მთლიანი საქმის გადმოგზავნა მოვითხოვეთ. მსგავსი შინაარსის წერილი 8 მაისს კიდევ ერთხელ მივწერეთ რუს კოლეგებს, მაგრამ მათგან არანაირი პასუხი აღარ მოგვსვლია.**

**რაც შეეხება რუსეთის პროკურატურის ახალ განცხადებას, ჩვენ არანაირი მოთხოვნა მათგან არ მოგვიღია. თუმცა, რომც მივიღოთ, პატარკაციშვილის ექსტრადიცია მაინც არ მოხდება, რადგან, როგორც გითხარით, ის საქართველოს მოქალაქეა და, არსებული კანონით, მის წინააღმდეგ აღძრული საქმე საქართველოში უნდა გამოვიძიოთ,"** – ასეთი განმარტება მოგვცა გენერალური პროკურატურის საერთაშორისო ურთიერთობათა სამმართველოს უფროსმა პაატა მსხილაძემ.

მოსკოვში ბერეზოვსკის საქმის გამო ატეხილი ახალი სკანდალის ფონზე, სასამართლომ, რომელიც "აეროფლოტის" საქმეს იხილავს, გუშინწინ პატიმრობიდან გაათავისუფლა გლუშკოვის გაქცევის ორგანიზატორობისთვის დაპატიმრებული სამი განსასჯელი.

# შს მინისტრს ყოფილი თანამშრომლები პროვოკაციას უწყობენ

თამარ კაციტაძე

გუშინ გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს შინაგან საქმეთა მინისტრს კობა ნარჩემაშვილს სისხლის სამართლის დანაშაული აქვს ჩადენილი.

გუშინვე სახელდახელოდ გამართულ პრესკონფერენციაზე მინისტრის დაცვა მისსავე მოადგილემ ზურაბ ხაჟალიამ სცადა.

ინფორმაციის თანახმად, 1995 წელს კობა ნარჩემაშვილმა, რომელიც ჯერ კიდევ გენერალურ პროკურატურაში განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა უფროს გამომძიებლად მუშაობდა, ერთ-ერთ საქმეში ნივთმტკიცების სახით არსებული "ზიგ- ზაუერის" მარკის პისტოლეტი მიითვისა.

უფრო კონკრეტულად, 1995 წლის 2 ოქტომბერს სამართალდამცველებმა უშიშროების სამინისტროს სპეცდანიშნულების რაზმის - "ომეგას" უფროსი ავთო გოგოტიშვილი დააპატიმრეს, რომელსაც დაკავებისას "ზიგ-ზაუერი" აღმოაჩნდა. გამომძიებელმა ნარჩემაშვილმა "ომეგას" ხელმძღვანელს იარაღის უკანონო შენახვა-ტარებისთვისაც წარუდგინა ბრალი. თუმცა, ვიდრე საქმის გამოძიება დასრულდებოდა და სასამართლოს განაჩენი კანონიერ ძალაში შევიდოდა, ნივთმტკიცება უკვე გამომძიებლის ხელში აღმოჩნდა.

პრესკონფერენციაზე მინისტრის მოადგილე ამტკიცებდა, რომ ამჟამინდელ მინისტრს, მართალია, ნივთმტკიცება "ზიგ-ზაუერი" გადაეცა, მაგრამ იარაღის მიმაგრება კანონის სრული დაცვით მოხდა. თავის დროზე გოგოტიშვილის იარაღს ბალისტიკური ექსპერტიზა ჩასტარებია და აღმოჩენილა, რომ იგი ვარგისია. ამიტომ ცეცხლსასროლი იარაღი შსს-ს მატერიალური და ფინანსური დეპარტამენტის ბალანსზე ჩარიცხულა, რის შემდეგაც იგი ნარჩემაშვილს, როგორც თანამშრომელს გადაეცა. "ზიგ-ზაუერის" გადაცემის კანონიერებას ხაჟალია იმითიც ხსნის, რომ გოგოტიშვილს იარაღის უკანონო ტარებისთვის უზენაესმა სასამართლომ გამამტყუნებელი განაჩენი გამოუტანა.

**"ძალიან კარგია, თუ სახელმწიფოს იმდენი საშუალება ექნება, რომ თანამშრომლებს ახალი ცეცხლსასროლი იარაღები დაურიგოს, მაგრამ, სამწუხაროდ, ასე არ ხდება. სამართალდამცველთა 50 პროცენტს სწორედ დანაშაულის დროს ამოღებული, სახელმწიფო ბალანსზე აღრიცხული იარაღები აქვთ მიმაგრებული,"** – ამბობს ხაჟალია და არ გამორიცხავს, რომ აღნიშნული ინფორმაცია იმ განაწყენებულმა ყოფილმა თანამშრომლებმა გაავრცელეს, რომლებსაც არ მოსწონთ სამინისტროში მიმდინარე რეფორმა და პანკისის ხეობაში დაწყებული ანტიკრიმინალური ოპერაციის ჩაშლა სურთ.



შ.ს. მინისტრის მოადგილე სამინისტროში პროვოკატორებს ეძებს
ირაკლი ლიუტიკოვის ფოტო

# სტაბილურობიდან კეთილდღეობამდე, კანცელარიიდან კრწანისამდე

თამარ კინწურაშვილი

შევარდნაძის წინასაარჩევნო სლოგანი - "სტაბილურობიდან კეთილდღეობამდე" - იმ მითად იქცა, რომლის რეალობისა ახლა მხოლოდ კანცელარიიდან კრწანისის რეზიდენციაში, საკუთარ ოჯახში მიმავალ პრეზიდენტს თუ უნდა სჯეროდეს. თუნდაც იმიტომ, რომ ეს გაცვეთილი სლოგანი საქართველოში მხოლოდ ამ მეტისმეტად მოკლე გეოგრაფიულ არეალზე თუ ვრცელდება.

ყბადაღებულ პანკისზე რომ არაფერი ვთქვათ, თუ თბილისში საჰაერო თავდასხმისგან ჯერჯერობით მაინც დაზღვეული ხარ, ოფისში "სახმელეთო დესანტის" შემოსევას, ან საკუთარ ბინაში იარაღის შუბლზე მიდებას, შესაძლოა, ვერც პანკისიდან მოშორებით გადაურჩე. თუმცა, თუ პანკისის "სტაბილური" დაბომბვა, რუსეთის ნაცვლად, "რუსთავი-2"-ს ბრალდება, იმავე ლოგიკით, სახელმწიფო კანცელარიის დაბომბვის პროვოცირებაც არ უნდა იყოს რთული საქმე, თუ, რა თქმა უნდა, "რუსთავი-2"-ის ეთერით ვიტყვით, რომ გილაევი ინგოროყვას ქუჩაზე, სახელმწიფო კანცელარიის შენობაში იმყოფება და რუსეთიც შესაბამის, უფრო სწორად, ჩვეულ ზომებს მიიღებს. ხუმრობა იქით იყოს და, როცა მედიის მისამართით თითის გაშვერაზეა ლაპარაკი, არ შეიძლება ერთი ისტორიული მაგალითი არ მოვიხმოთ ოკეანის გაღმიდან:

*1961 წელს "ნიუ იორკ ტაიმსის" რეპორტიორმა ტედ შულცმა მოიპოვა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო(ცსს) ხელს უწყობდა ამერიკაში მცხოვრები ანტიკომუნისტი ემიგრანტების თავდასხმას კუბაზე. პენტაგონმა გააფრთხილა პრეზიდენტი კენედი, რომ გაზეთი საიდუმლო ინფორმაციას ფლობდა და მის გამოქვეყნებას აპირებდა. კენედი ტელეფონით დაუკავშირდა გაზეთის პასუხისმგებელ გამომცემელს ორვილ დრეიფუსს და პუბლიკაციის შეჩერება სთხოვა, იმ მოტივით, რომ ინფორმაციის გამოქვეყნებას, შესაძლოა, ოპერაციის ჩავარდნა და სისხლისღვრა გამოეწვია. პრეზიდენტის შეკითხვამ - აიღებდა თუ არა გაზეთი პასუხისმგებლობას მოსალოდნელ შედეგებზე? - რედაქციის პოზიციაზე გავლენა მოახდინა. "ნიუ იორკ ტაიმსმა" ეს* **top news**-*ი პირველ გვერდზე არ მოათავსა და სადღაც ბოლო გვერდზე დაბეჭდა ინფორმაცია, რომელშიც მხოლოდ გაკვრით, მოარულ ხმებზე დაყრდნობით იყო საუბარი მოსალოდნელ თავდასხმაზე და არაფერი იყო ნათქვამი ოპერაციაში ცსს-ს მონაწილეობაზე. ყველაზე უჩვეულოდ ექსპერტები მიიჩნევენ არა იმას, რომ პრეზიდენტმა დარეკა რედაქციაში, არამედ იმ ფაქტს, რომ გაზეთი პრეზიდენტის ზეწოლას დაჰყვა.*

*ოპერაცია 17 აპრილს მაინც ჩატარდა, მაგრამ მან სრული კრახი განიცადა და ადამიანთა მსხვერპლიც მოჰყვა, ფიდელ კასტროს პოზიციები კი გაძლიერდა. მეორე დღეს პრეზიდენტმა საჯაროდ დაადანაშაულა დრეიფუსი და მომხდარის გამო პასუხისმგებლობა გაზეთს დააკისრა: "ნიუ იორკ ტაიმსს" რომ სრულფასოვანი ინფორმაცია გამოექვეყნებინა, - განაცხადა მან, - ოპერაცია აღარ ჩატარდებოდა და ქვეყანა თავიდან აიცილებდა მსხვერპლსო.*

ეს ისტორია ამერიკელი ჟურნალისტებისთვის ჭკუისსასწავლებელ გაკვეთილად იქცა და აბსოლუტურად განამტკიცა პრინციპი, რომლის თანახმად, ჟურნალისტისთვის მთავარი უნდა იყოს არა ფაქტის პრეზიდენტისეული ფორმულირება, არამედ თავად დადასტურებული ფაქტი; და რომ ომი ან სისხლისღვრა შეიძლება გამოიწვიოს არა უტყუარმა ინფორმაციამ, არამედ თავად ხელისუფლებამ.

ამ მაგალითის შეხსენება საქართველოში ქართულ მედიაზე მეტად ხელისუფლებას სჭირდება, რომელიც პანკისური დაბომბვების, განგსტერული მკვლელობების, დარბევებისა და, საერთოდ, არასტაბილურობის მიზეზებს საკუთარი თავის გარდა ყველგან ეძებს. არადა, თავი და თავი სწორედ რომ გარეთ პრიორიტეტების არარსებობა და შინ კორუფციული ქაოსია. ქვემოთ სწორედ ამ ორ ასპექტზე გავამახვილებთ ყურადღებას:

### უსაფრთხო კაკუნის პრეზიდენტი

შევარდნაძეს ჯერ არც ნატო-ს კარზე დაუკაკუნებია, როგორც ჩვენ გვპირდებოდა;

არც ნატო-ს სტანდარტებთან მიახლოებული ჯარი უშენებია, როგორც ჩრდილო ატლანტიკურ ალიანსს ჰპირდებოდა;

არც პენსიაში გასვლამდე ბიჭვინთაში დაუსვენია (იმედია, მოასწრებს), როგორც საკუთარ თავს ჰპირდებოდა...

იმათ პასუხად, ვინც ფიქრობს, რომ დამღუპველი რუსეთთან რადიკალური თამაშებია, შეიძლება ითქვას, რომ რადიკალიზმზე მეტად დამღუპველია პოზიციის არარსებობა. მტრული რუსეთი კი არა, სომალიც რომ იყოს საქართველოს მეზობელი, საქართველოს ხელისუფლებას ამ შემთხვევაშიც კი უნდა ჰქონდეს განსაზღვრული და ჩამოყალიბებული, რას ველით ჩვენ სომალისგან და რას უნდა ელოდეს სომალი ჩვენგან. იმას, რაზეც ჩვენ ახლა ვსაუბრობთ, ყველა ნორმალური ქვეყანა დოკუმენტურად აკეთებს და სათაურად, არც მეტი, არც ნაკლები, "ქვეყნის უსაფრთხოების კონცეფციას" არქმევს.

უსაფრთხოების კონცეფციები ამერიკაში და რუსეთშიც კი ყოველი ახალი პრეზიდენტის მოსვლასთან ერთად იცვლება და მასში მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული ქვეყნის საგარეო სტრატეგია. საქართველოში ბოლო დროს არც პრეზიდენტი იცვლება და არც კონცეფცია, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ჩვენთან ეს უკანასკნელი დამოუკიდებლობის 12 წლის თავზე საერთოდ არ არსებობს. უფრო სწორად, არ არსებობს ოფიციალური დოკუმენტის სახით, პროექტის სახით არსებულს კი, რომელმაც 1998 წლიდან მოყოლებული ჩვენში ფეხი ვერ მოიკიდა, სათვალავში არ ჩავთვლით, რადგან ხელისუფლება მის მიღებას თუ აღიარებას არც აპირებს.

სერ გარი ჯონსონის ჯგუფმა, რომელიც ქართველ ექსპერტებთან ერთად 1998 წლიდან მუშაობდა ქვეყნის უსაფრთხოების დოქტრინაზე, მზა პროექტი მაგიდაზე განსახილველად 2000 წელს დადო. მასში მკაფიოდ იყო ჩამოყალიბებული ქვეყნის საგარეო სტრატეგია: ნატო-სკენ სწრაფვა, ევროპულ ოჯახში ინტეგრირების სურვილი. ასევე ხაზგასმით იყო აღნიშნული ის როლი, რომელიც რუსეთმა შეასრულა საქართველოში კონფლიქტების გაღვივებასა და შემდგომში თავად ამ კონფლიქტების განვითარებაში. პროექტის სახით არსებული ეს დოქტრინა ქართული ხელისუფლების სამოქმედო პროგრამად არ ქცეულა. მას იმ თაროზე შემოდებულ დოკუმენტთა ხვედრი ერგო, რომელთაც ამ ხელისუფლების ხელში მზის სინათლის ხილვა არ ეღირსებათ.

უსაფრთხოების ალტერნატიული კონცეფცია შეიმუშავა თავის დროზე საჯაიას უშიშროების საბჭომაც, თუმცა, ის იმდენად არაფრის მთქმელი იყო (რჩეულიშვილის პრიმიტივიზმამდეც ("რუსეთი ჩვენი მეზობელია") კი ვერ "ქაჩავდა"), რომ მისი მიღება თვით კანცელარიაში არ ჩათვალეს საჭიროდ.

თუ ვინმე პროტესტს გამოთქვამს და შევარდნაძის გასამართლებლად მის იმ სიტყვებს მოუხმობს, რომლის თანახმად, ჩვენ ნატო-ს კარზე ხუთ წელიწადში დავაკაკუნებთ, ამ სიტყვების საპასუხოდ და საქართველოს ხელისუფლების უსუსური პოლიტიკის საილუსტრაციოდ, რამდენიმე მაგალითს მოვუხმობ:

ჯერ ერთი, რომ კამერების და დიქტაფონების წინ, ჟურნალისტური აუდიტორიისთვის გაკეთებულ ამ განცხადებას ნაკლები ძალა აქვს, ვიდრე იგივე რჩეულიშვილის აღმოჩენას, რომ რუსეთი ჩვენი მეზობელია. მსგავსი სურვილების დეკლარირება ოფიციალური სახით ხდება, ზოგიერთი ქვეყანა კი ჩრდილო ატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანების საკითხს რეფერენდუმის გზითაც კი წყვეტს.

საქართველოს ნატო-ში გაწევრიანება ერთ-ერთი საპროგრამო პუნქტი იყო თავის დროზე შევარდნაძის წინასაარჩევნო პროგრამის სამუშაო ვარიანტში, თუმცა, ეს მომენტი ამ დოკუმენტიდანაც სწორედ პრეზიდენტის დაჟინებით ამოვარდა. ამ მაგალითიდანაც კარგად ჩანს, რომ შევარდნაძე გაურბის, ღიად დააფიქსიროს თავისი საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტები, რაც მისგან, პრინციპში, მოულოდნელი არც არის. საგარეო პოლიტიკაში გამოკვეთილი პოზიციის არარსებობას კი, ანუ ყოველთვის იმ მიმართულებით გადახრას, საითაც ქარი დაუბერავს, პოზიტიური შედეგი რომ არ გამოუღია, ამას ჩვენი ხელისუფლების გარდა, ყველა კარგად ხედავს.

არათუ დეკლარირების დონეზე, ნატო-ში გასაწევრიანებლად ჩვენში საქმითაც რომ არავის არაფერი უკეთებია, ამის თქმა ჩვენი ჯარის მაგალითზეც შეიძლება, რომლის პოტენციალს თვით თავდაცვის მინისტრი "რაგატკის" დონეზე აფასებს. არადა, ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანების მთავარი პირობა, უპირველეს ყოვლისა, ნატო-ს სტანდარტებთან გათანაბრება თუ არა, მიახლოება მაინცაა. როგორც ევროკავშირში გაწევრიანებიასათვის არის მთავარი პირობა იმ ეკონომიკური სტანდარტების მიღწევა, რაც ამ გაერთიანების წევრ ქვეყნებშია, ასევეა ნატოს შემთხვევაში. თხოვნის დონეზე მსგავსი საკითხები არ წყდება.

ერთადერთი ინტერესი, რასაც დასავლეთთან მიმართებით ჩვენი ხელისუფლება დამოუკიდებლად იჩენს და რასაც უდაოდ ვერ დაუკარგავ, ეს უცხოური დახმარებების მიღებისათვის მზაობაა. ოღონდ, რამდენად მიზნობრივად იხარჯება ეს ფული, რა საფრთხეს შეიძლება შეიცავდეს ქვეყნის სტაბილურობისთვის პოლიტიკურ ქაოსთან ერთად ეკონომიკური ქაოსიც, ამაზე ქვემოთ ვისაუბრებთ.

### **Миру - мир, Грузинам - деньги!**

"ზასტოის"-დროინდელ ამ დევიზს დღევანდელი საქართველოს ხელისუფლებაც კარგად მოირგებდა. პრეზიდენტ შევარდნაძეს დღეს ცალი ხელი უცხოური დახმარებების მისაღებად აქვს გაწვდილი, მეორე ხელით კიდევ ქვეყანაში ძალადობას ახალისებს, ან ამ ძალადობის აღსაკვეთად არაფერს აკეთებს, რაც პრინციპში, ერთი და იგივეა. არადა, ამერიკელი და ევროპელი გადასახადის გადამხდელები თავიანთ ფულს სულ სხვა მიზნით - ქვეყანაში დემოკრატიული პროცესების მხარდაჭერისთვის, დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლობისთვის იხდიან. ბოლო დროს სულ უფრო და უფრო ძლიერდება დასავლეთის ეჭვი, მათი დახმარებების მიზნობრივ ხარჯვასთან დაკავშირებით. ამის ნიშანი ევროკავშირის მიერ დახმარების შეჩერება იყო, რაც პიტერ შოუს გატაცების ფაქტმა განაპირობა.

მაინცდამაინც დალხენილად ჩვენში თავს ვერც უცხოური ინვესტორები გრძნობენ. ახალი ინვესტიციების მოზიდვაზე დღეს ლაპარაკი ზედმეტია, რადგან არსებულის შენარჩუნებაც კი დიდ პრობლემად იქცა: "ეი-ი-ეს თელასის" კომერციული დირექტორის, ნიკა ლომინაძის მკვლელობის შემდეგ, მუქარის წერილს იღებს "ეი-ი-ეს"-ის გენერალური დირექტორი იგნასიო ირიბანესიც. ენერგომაფია ყველაფერს აკეთებს ამერიკელი ინვესტორის დისკრედიტაციისა და დაშანტაჟებისთვის, რათა ყველაფერი თვითონ ჩაიგდოს ხელში და განმკითხავიც აღარავინ ჰყავდეს.

ყველა სტრატეგიულ სფეროში, მათ შორის ენერგეტიკაში, შევარდნაძის ოჯახის ინტერესებზე საუბარი, ალბათ, შორს წაგვიყვანდა. ვიტყვით მხოლოდ ერთს, რომ ჯოხთაბერიძეები, ახვლედიანები და შევარდნაძეები ახლა იმ დარჩენილი მსხვილი ობიექტების ხელში ჩაგდებისთვის ბრძოლას განაგრძობენ, რაც მათ აქამდე გადაურჩათ. შევარდნაძის ოჯახის კეთილდღეობა ლამის ქვეყნის სტრატეგიულ პრიორიტეტად იქცა, რომელიც ხშირად ქვეყნის სტაბილურობასაც კი უქმნის საფრთხეს. როცა საკუთარი ქვეყნის ეკონომიკურ ბერკეტებს რუსეთს უგდებ ხელში, რომელიც, თავიდანვე ცხადია, მათ საკუთარი პოლიტიკური ინტერესებისდა მიხედვით გამოიყენებს, ზედმეტია საუბარი ჩვენი ხელისუფლების დასავლურ პრიორიტეტებზე. თუნდაც ის ფაქტი, რომ "იტერას" საქართველოსთან თანამშრომლობის და "თელასისთვის" გაზის მოწოდება-არმოწოდების საკითხი რუსეთის უშიშროების საბჭოს დონეზე წყდება, კარგად მეტყველებს, რამდენად წმინდა ეკონომიკურ პარტნიორობასთან გვაქვს საქმე. იმის გამოცდილება კი, რომ რუსეთმა სწორედ საქართველოს პოლიტიკური პოზიციების მიუღებლობის გამო შეგვიწყვიტა გაზის მოწოდება, ჩვენში უკვე არსებობს. ამდენად, შესაძლო პერსპექტივაც ცხადზე ცხადია: გაზი გვექნება იმისდა მიხედვით, თუ რამდენად არ გავაღიზიანებთ რუსეთს. ასე მაგალითად, როცა ჩრდილოეთიდან დაგვბომბავენ, მოგვიწევს თქმა, რომ ეს ივან პეტროვიჩის კი არა, ილია რუსტველის, ან სულაც აკაკი წერეთლის რისხვა იყოო.

ასეთი საშინაო პოლიტიკა, ბუნებრივია, საფრთხეს უქმნის ქვეყნის ნორმალურ განვითარებას. საგარეოდ გაცხადებულ პრიორიტეტებსა და საშინაო ინტერესებს შორის იმხელა დისბალანსია, რომ დიდი ალბათობაა, ერთი ჯგუფის ეკონომიკურმა ინტერესებმა ყველაფერი სათავისოდ გადაწონოს.

# ორასი ფლორინის სანაცვლოდ

სოფიო თოდუა
"მედიაცენტრი"

*"დეკამერონში" ასეთ ამბავს ყვებიან: იყო ერთი ყმაწვილი, სახელად გულფარდო. ერთხელაც ამ ყმაწვილს ამხანაგის ცოლი ჩაუვარდა გულში. ქალი იმ პირობით დათანხმდა, რომ გულფარდო ორას ფლორინს მიუტანდა. ქალის ანგარებამ ყმაწვილს გული მოუკლა და სამაგიეროს გადახდა განიზრახა. ადგა და ქალისთვის მისაცემი ფული მის ქმარს ესესხა. ის ღამე ვაჟმა ქალთან საუცხოოდ გაატარა. როდესაც ვალის გასტუმრების დრო დადგა, გულფარდომ მოტყუებულ ქმარს უთხრა, ფული შენს ცოლს დავუბრუნეო. ქალსაც სხვა რა გზა ჰქონდა, ადგა და სიმწრით ნაშოვნი ფლორინები ქმარს ჩაუთვალა.... დღევანდელი პარტიების შემყურეს შეიძლება, კიდევ მრავალი ისტორია გაგახსენდეს "დეკამერონიდან", რადგან ჩვენი პოლიტიკოსების ქცევა მოღალატე ცოლისას ჰგავს, ასე მწარედ რომ გააცუცურაკეს.*

ნორმალურ სახელმწიფოში პარტიების არსებობას ესა თუ ის იდეოლოგია განსაზღვრავს. მართალია, განვითარებულ ქვეყნებში თითქმის წაიშალა ზღვარი მემარჯვენეობა-მემარცხენეობას შორის და პოლიტიკურ არენაზე წარმატებას ცენტრისტული ძალები აღწევენ, მაგრამ იქ უნიფიცირება საზოგადოებაში პოლიტიკური კულტურის მაღალი დონით აიხსნება, ჩვენთან კი იგივე ტენდენცია ყოვლისმომცველი კრიზისის ფონზე შეიმჩნევა. ამიტომაც არ უნდა იყოს გასაკვირი, რომ ჩვენი პარტიების უმრავლესობა არა იდეოლოგიური, არამედ სხვა ნიშნებით (ლიდერთა ქარიზმატულობა, ნათესაურმეგობრული თუ კლანური ინტერესები...) ყალიბდება. სხვაგვარად გაუგებარია, რის საფუძველზე ერთიანდებიან ერთ ბლოკში, ვთქვათ, მემარცხენე სოციალისტები და მემარჯვენე ტრადიციონალისტები; რით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან მემარცხენე ლეიბორისტები და მემარჯვენე ნაციონალური მოძრაობა; ახალი მემარჯვენეები და მრეწველები რა განსხვავებულ პლატფორმებს გვთავაზობენ; ან კომუნისტების მოსაზრებები რატომ ემთხვევა ზვიადისტებისას?! დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან თერთმეტი წლის თავზეც ეკონომიკური განვითარების განსაკუთრებულ დონეზე საუბარი ნაადრევია, ამდენად, ვერც ქართველ პოლიტიკოსებს და მთლიანად საზოგადოებასაც ვერ მივუდგებით დასავლური კრიტერიუმებით, მით უფრო, რომ საქართველოს პარტიული ცხოვრების გამოცდილება თითქმის არ ჰქონია. სავალალო ისაა, რომ გარკვეული სტატუსის მოპოვების შემდეგაც პარტიები ყოველგვარ პასუხისმგებლობას გაურბიან და უზნეო ბავშვებივით ირჯებიან.

უკვე ბევრჯერ აღინიშნა, რომ ამდენი პარტიის არსებობა (1999 წლის მონაცემებით - 124) სულაც არ არის დემოკრატიულობის მაჩვენებელი. იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ საქართველოში შეძლებულთა ფენა ოლიგარქიულია, საშუალი ფენა, ფაქტობრივად, არ არსებობს, ხოლო ათწლეულობით ნალოლიავები პროლეტარიატი უმუშევართა არმიად გარდაიქმნა, გასაგები გახდება, რომ პარტიები გამოხატავენ მხოლოდ გარკვეული კლანების და არა - სხვადასხვა ფენების ინტერესებს. კორუფცია და სოციალური პრობლემატიკა მარტო ჩვენი თავსატეხი არ არის, მაგრამ პარტიას რომ არანაირი სოციალური ბაზა არ გააჩნია, იმთავითვე უნდა ვიცოდეთ - ასეთი პარტია ან დაარსებისთანავე დაიშლება, ან პირიქით, ძალიანაც გამდიდრდება, რის და ვის ხარჯზე, ვფიქრობ, ადვილი მისახვედრია.

ერთ-ერთი სერიოზული პრობლემა, რომელიც საგრძნობლად აფერხებს როგორც პარტიების, ისე მთლიანად სახელმწიფოს გაძლიერებას, პოლიტიკური და ეკონომიკური სეგმენტების გაუმიჯნაობაა. ეს პირველ რიგში სახელმწიფოს აძლევს ხელს და თავად უბიძგებს ყველა მეტნაკლებად სოლიდურ ბიზნესმენს პარლამენტისკენ. მაგრამ პარლამენტში მოხვედრის შემდეგ ეს ჩვენი ბიზნესმენები პოლიტიკოსის თვისებებს ნაკლებად იძენენ. ისინი თავისუფალი ბაზრის პრინციპებზე აგებული ეკონომიკური გარემოს შექმნის ნაცვლად, მხოლოდ კონკურენტებისთვის ახალი საკანონმდებლო ბარიერების აღმართვითა და საკუთარი ბიზნესის კეთილდღეობაზე ზრუნვით არიან დაკავებულნი. მეტიც, ქართული საბაზრო ეკონომიკის მწარე გამოცდილებამ "საქმიანი წრეების" წარმომადგენლები იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ სხვისი ნდობა სახიფათოა და დასავლეთისთვის ისეთი მნიშვნელოვანი ინსტიტუტი, როგორიც ლობიზმია, საქართველოში ფეხს ძნელად იკიდებს. მართალია, გაჩნდა პირველი ლობისტური ორგანიზაციები (მაგალითად, "პირველი ლობი"), მაგრამ ისინი უცხოურ კომპანიებს ემსახურებიან, უცხოელები კი, მოქმედი კანონმდებლობით, საქართველოს პარლამენტში ვერ მოხვდებიან. სამაგიეროდ, ის პოლიტიკოსები, რომლებსაც ასე თუ ისე აქვთ პოლიტიკური მოღვაწეობის სტაჟი, წარმატებული ბიზნესმენები ხდებიან და საკუთარ საარჩევნო კამპანიებსაც აფინანსებენ, თანაც ისე, რომ ამისოდ დახარჯული თანხის გაკონტროლება თითქმის შეუძლებელია.

კვერცხისა და ქათმის არ იყოს - პარტიებმა უნდა უზრუნველყონ ნორმალური სახელმწიფოს არსებობა თუ სახელმწიფომ უნდა შეუქმნას პარტიებს ნორმალური მუშაობის პირობები? ნებისმიერ შემთხვევაში აუცილებელია ყოველივე ამის სამართლებრივი რეგულირება, რადგან დღეს მოქმედი საარჩევნო კანონი ძალაუნებურად უბიძგებს პარტიებს, პროტესტი ქუჩაში გამოთქვან. ხელისუფლებასაც მეტი არ უნდა - როგორც კი ქვეყნის შიგნით დესტაბილიზაციის საფრთხე იქმნება, რასაც ადრე თუ გვიან აუცილებლად მოჰყვება უმაღლესი პირების გადადგომის მოთხოვნა, იმავდროულად ჩნდება "ანტიკონსტიტუციური ქმედების" საშიშროებაც. დესტაბილიზაციის სიმულაცია კი ორივე მხარეს დიდებულად გამოსდის, ამიტომაა, რომ ჯერ ხელისუფლება ამუნათებს უძლებ შვილებს (თუმცა, ეს იგავი ჩვენთან სამოსელი პირველის მიცემით არ მთავრდება), მერე კი პარტიები ადანაშაულებენ ყველა წვრილმანში ხელისუფლებას და ასე - გაუთავებლად.

როგორც ყველა სამხრეთელი ერი, ჩვენც ემოციურობით გამოვირჩევით, რის გამოც პოლიტიკური დებატები საქართველოში თითქმის არაფრით განსხვავდება ქუჩური გარჩევებისაგან. საინტერესოა, რა ბრალდებებს უყენებენ ერთი მხრივ, პარტიები ერთმანეთს, მეორე მხრივ კი, საზოგადოება - პარტიებს? პარტიებს რაც შეეხება: როცა საქმე ხელისუფლების უპასუხისმგებლობაზე მიდგება, რატომღაც ახსენდებათ ყველაფერი, ერთის გარდა - როცა თვითონ პარტია არჩევნებში მონაწილეობს და მარცხდება, პასუხისმგებლობა უპირველესად ლიდერს აკისრია. ჩვენთან პარტიები სისტემატურად მარცხდებიან, მაგრამ წარუმატებლობა ლიდერის სტატუსზე არ აისახება. "რესპუბლიკელების" გარდა არ მაგონდება არც ერთი შემთხვევა, პარტიის ლიდერი არჩევნებში დამარცხების მიზეზით გადამდგარიყოს. სხვათა შორის, ეს ხელისუფლებასაც აძლევს ხელს, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში მას უფრო მკაცრად მოსთხოვდნენ პასუხისმგებლობას მის მიერ გატარებული უნიათო პოლიტიკის გამო. ხალხი ამას ყველაფერს ხედავს და... შეუჩვეველ ლხინს ისევ შეჩვეულ ჭირს ამჯობინებს.

პრეტენზიები ჩვენს ამომრჩეველსაც უჩნდება, მაგრამ სულ სხვა ხასიათის. იგი არასდროს აკრიტიკებს ამა თუ იმ პარტიის მაგისტრალურ კურსს, არც მისი ფინანსების წარმომავლობაზე იტკივებს თავს, მაგრამ არასდროს პატიობს პარტიას და ან მის ლიდერს შეცდომის გამოსწორების მცდელობას. გავიხსენოთ "ზვიადისტების" ერთი ნაწილის გააფთრება მეორის მიმართ, როცა ამ უკანასკნელმა თავის დროზე არჩევნებს უნდობლობა არ გამოუცხადა. არადა, ექსპრეზიდენტის მომხრეები რომ გაერთიანებულიყვნენ და არჩევნებში მიეღოთ მონაწილეობა, პარლამენტში სერიოზულ ფრაქციას შექმნიდნენ. თუ მაშინდელ შეცდომას გამოუცდელობით ავხსნით, დღეს მაინც ხომ გვმართებს მეტი გონიერება, რადგან წამებულის გვირგვინის მორგებასაც ცოდნა უნდა. იმავე შინაარსის შენიშვნები გაისმის ნაციონალური მოძრაობის მისამართით. მის ზოგიერთ ლიდერს საყვედურობენ წარსულში პრეზიდენტის გუნდში ყოფნას და აწმყოში ეროვნული იდეების პოლიტიკური მიზნებით გამოყენებას. თუ ამ ბლოკში გაერთიანებული პოლიტიკური ძალები ბოლოს და ბოლოს მიხვდნენ, რომ ეროვნული ინტერესების დაცვა გამარჯვების მოპოვების საუკეთესო გარანტიაა, დიახაც, უნდა მიესალმო მათ ამ გადაწყვეტილებას და პოლიტიკური დივიდენდების დასაგროვებლად გამიზნული აქციაც კი შენს სასარგებლოდ გამოიყენო. მაგრამ, როგორც ჩანს, ჩვენს ამომრჩეველს ის უფრო ეამება, მისი ვარაუდი თუ გამართლდება, ვიდრე ის, რომ პარტიამ ამომრჩევლის შიშით მაინც შეასრულოს დანაპირები. ჩვენი საქმე ისეა, სოკრატეს რომ დაემართა. როცა მას სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს, ცოლმა თურმე მიატირა: რა უსამართლობაა, უდანაშაული ხარ და გკლავენო. მაშინ სოკრატემ ცოლი ასე დაამშვიდა: ალბათ, გირჩევნია, დამნაშავე ვიყო და ისე მომკლანო?

საპარლამენტო არჩევნებამდე დიდი დრო აღარ რჩება. წინასწარი პროგნოზის გაკეთება იქნებ ნაადრევია, თუმცა, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებმა ცხადყო, რომ ბევრ პოლიტიკურ პარტიას (ტრადიციონალისტებს, ედპ-ს, სოციალისტებს, სახალხოს, ახალ დემოკრატებს...) დამოუკიდებლად გამარჯვების შანსი ნაკლებად აქვს და მომავალში ახალი ბლოკების შექმნას უნდა ველოდოთ. სხვა საქმეა, რამდენად ხანგრძლივი და ეფექტიანი აღმოჩნდება ესა თუ ის ბლოკი და წარუმატებლობის შემთხვევაში ახლა მაინც თუ ეყოფათ ლიდერებს გამბედაობა, სავარძელი თანაპარტიელებს დაუთმონ. თუ არადა, ჩვენთვის კვლავაც აქტუალური იქნება ანატოლ ფრანსის სიტყვები: პოლიტიკა - ნიშნავს, არ დაანებო ხალხს იმის კეთება, რაც მისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია.



www.24hours.ge
24
B

# საპასუხისმგებლო ორდენი უპასუხისმგებლო მოქალაქეებისათვის

A1 გვერდიდან

იდეის ავტორთა ჩანაფიქრის თანახმად, ორდენის გადაცემა უნდა ხდებოდეს თბილისობის დღესასწაულზე, რომელსაც, მისასალმებელი სიტყვის წარმოთქმისას, საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორმა, ბატონმა ლევან ბერძენიშვილმა, "ყველაზე ალამაჰმადხანური დღესასწაული" უწოდა.

პრეზენტაციაზე სიტყვით გამოვიდა ბატონი ვახუშტი კოტეტიშვილიც: "გილოცავთ!". გამახსენდა, დაახლოებით ერთი წლის წინათ პარლამენტში შეკრებილ საზოგადოებას დაუვიწყარი სიტყვებით რომ მიმართა: "ხალხო, რით ვერ გაიგეთ, რომ გოიმურ ქვეყანაში ვცხოვრობთ და გოიმები ვართ!" როგორც ჩანს, ბატონი ვახუშტი, ისევე, როგორც დამსწრეთა უმრავლესობა, მიხვდა, რომ ღირსეული ბრძოლით და სერიოზული არგუმენტებით აღა მაჰმად ხანის საქმის გამგრძელებლებს ვერას დააკლებდა, და ისევ ძველ, ნაცად ხერხს მიმართა: უნდა შეიქმნას საზოგადოებრივი აზრი, როცა ორდენის კავალრები ხალხის დაცინვის საგანი გახდებიან, ეს, ალბათ, უფრო ქმედითი იქნება, ვიდრე სასამართლოს დადგენილებები და თბილისელების უსუსური გულისწყრომა. ბატონმა ვახუშტიმ საზოგადოებას მეორე,


დათო მაღრაძე და ლევან ბერძენიშვილი
მარიკა ამურველაშვილის ფოტო

ამჯერად არამარტო თბილისური მნიშვნელობის, არამედ სრულიად საქართველოს "თემურ ლენგის ორდენის" შექმნაც შესთავაზა – თუ აოხრებაა, აოხრება იყოს!

თავად ორდენზე წარდგენა რთული საქმეა. მართალია, კანდიდატურის შეთავაზება ყოველ მოქალაქეს შეუძლია: უბრალოდ, გაზეთ "24 საათს" უნდა მისწეროს. მაგრამ, ბატონი ვახუშტის თქმით, ჩვენში ხომ ყოველგვარი ჯილდო ჩაწყობით გაიცემა! ამ უმსგავსობის თავიდან ასაცილებლად ქართველი კაცისთვის უმდაბლესი ჯილდოს, აღა მაჰმად ხანის ორდენის, მისაღებად კანდიდატურა სათანადოდ უნდა იქნეს მოტივირებული: სამხილებია საჭირო, გმირობის დამამტკიცებელი საბუთები... თორემ, აბა, როგორი დასადგენია, ვინ უფრო იმსახურებს ამ პატივს, სახლის დამანგრეველი თუ ეკლესიის ამშენებელი?

ერთი კანდიდატი უკვე გვყოლია, მას ბატონი ლევან ბერძენიშვილი უწევს შუამდგომლობას. აღმოჩნდა, რომ საჯარო ბიბლიოთეკის დარბაზის, გასული საუკუნის მოდერნის სტილის შესანიშნავ ნიმუშს, გადაკეთებას და გაუმჯობესებას უპირებენ: თურმე მინით გადახურვა მეტისმეტად ძვირადღირებული სიამოვნებაა, უსინდისოდ იმტვრევა ხოლმე და, რაც კიდევ უფრო აღმაშფოთებელია, ზოგჯერ გაწმენდაც უნდა. ამიტომ ახალი ორდენის პერსპექტიულმა კანდიდატმა, თბილისელ გადამხდელთა ყოფის შემსუბუქებისა და საკუთარი ჯიბის დამძიმების მიზნით, მისი გამოცვლა განიზრახა. ბატონი ლევანი მის კანდიდატურას სიამოვნებით წარადგენს.

დათო მაღრაძემ, რომელსაც "თანამებრძოლებმა" "ანტი აღა მაჰმად ხანი" უწოდეს, განაცხადა, რომ ორდენოსნების პორტრეტები საჯარო ბიბლიოთეკაში საპატიო დაფაზე იქნება გამოფენილი – მუდმივი ექსპოზიცია, რათა ყოველმა თბილისელმა იცოდეს, ვის უნდა უმადლოდეს თავისი ქალაქის აოხრებას. ჩემი აზრით, აქ პრობლემას გადავაწყდებით: ძალიან საეჭვოდ მესახება, რომ ხალხი, რომლის აზრიც მომავალ ორდენოსნებს რამედ უღირთ, საჯარო ბიბლიოთეკაში დადიოდეს. იქნებ ღირსეული მამულიშვილები ისევ გაზეთით გავაცნოთ ხოლმე ერს?

ვფიქრობ, რომ ის საზოგადოება, რომელიც პრეზენტაციას ესწრებოდა, ვერასოდეს ეღირსება ამ ორდენს, ვერც ბაფთიანს და ვერც უბაფთოს. ძნელი წარმოსადგენია, რომ არქიტექტორი ვახტანგ ლეჟავა აბანოთუბანში ცათამბჯენის აშენებაზე ოცნებობდეს, "ვერის უბნის გადარჩენის" საზოგადოების წევრს, თემურ რეხვიაშვილს თავისი უბნის მომავალი გლდანის გაგრძელებად ესახებოდეს, ან გია ბუღაძე ანგრევდეს აგურ-აგურ თავის ისტორიულ ეზოს.

ვშიშობ, რომ საჯარო ბიბლიოთეკის დარბაზში შეკრებილი თბილისელები მაინც მეტისმეტად მაღალი აზრისა არიან თავიანთ მოწინააღმდეგეებზე, "აღა მაჰმად ხანებზე", თუკი ჰგონიათ, რომ ამ ადამიანებს შვილებისა და შთამომავლობის შერცხვებათ და ამიტომ მოუფრთხილდებიან ქალაქს და ხალხს. კარგით, რა, ძვირფასო ლიტერატორებო, მხატვრებო, არქიტექტორებო, კულტურტრეგერებო! ერთადერთი იმედი ისაა, რომ სანამ თქვენ არსებობთ, თბილისიც იარსებებს – ქალაქი ხომ მხოლოდ შენობები კი არა, ის ხალხიცაა, რომელიც ამ შენობებში ცხოვრობს.

აი, ჩვენმა გმირმა, აღა მაჰმად ხანმა თბილისიააწიოკა, დაანგრია, გადაწვა, მაგრამ ხომ ისევ აღორძინდა ჩვენი ქალაქი, 1895 წლის 11 სექტემბერს თბილისელებმა ეს ამბავი აღნიშნეს კიდეც. ახლა კი 11 სექტემბერს ამერიკელების უბედურებას მივტირით. ცხადია, სატირალია, უბრალოდ ბრიყვული დამთხვევაა ეს 11 სექტემბერი... დათო ტურაშვილმა ისიც აღნიშნა, ალბათ აჯობებს, ყველამ თავის მკვდარი იტიროსო. მაგრამ სანამ ჩვენი ქალაქის სადარაჯოზე თუნდაც ის კაცები დგანან, გუშინ რომ იდგნენ საჯარო ბიბლიოთეკაში, მთლად სატირლად ნამდვილად არა გვაქვს საქმე.

# გილოცავთ დაბადების დღეს!

## "ძველი სახლი" ერთი წლის გახდა

ანა კორძაია-სამადაშვილი

საღამოს რვა საათზე რესტორან "ძველ სახლში" უკვე ხალხმრავლობა იყო – მანქანებიდან სადღესასწაულოდ გამოწყობილი ქალები გადმოდიოდნენ, შემოსასვლელში არღანი უკრავდა, შამფურზე მთელი ხბო იყო წამოგებული, უცხოელი სტუმრები დაუფარავი ინტერესით ჩასცქეროდნენ თონეს, საიდანაც ოქროსფრად დაბრაწული შოთები იყრებოდა. გარეთ, მაგიდებზე ათასგვარი სასმელი იდგა დაორთქლილ ჭიქებში, ძირითად დარბაზში კი მართლაც მეფური სუფრა იყო გაშლილი.

ასე დახვდა "ძველი სახლი" მათ, ვინც ამ საღამოს რესტორნის დაბადების დღის აღსანიშნავად მობრძანდნენ. რესტორნის პერსონალი ღიმილით ხვდებოდა ყოველ სტუმარს. დირექტორი, ბატონი დათო სანაძე ყველას ისე ეგებებოდა, ალბათ ყოველ მისულს ეგონა, ჩემზე ძვირფასი სტუმარი არავინ მოსულაო.

საერთოდ, "ძველი სახლის" აუგი არც აქამდე უთქვამს ვინმეს. აქ შე-


მის და მისტერ "ძველი სახლი" სადღესასწაულო ტორტთან.
ბესო გულაშვილის ფოტო

სანიშნავი გარემოა – არქიტექტურული სტუდია "არსის" პროექტის მიხედვით აშენებული სახლი უდავოდ ძალიან ლამაზია, დარბაზში პირველად მოხვედრილი ადამიანი კარგა ხანს ალტაცებული აცეცებს თვალებს; შემოთავაზებული კერძები ქართული სამზარეულოს კვალობაზეც უჩვეულოდ გემრიელია, ოფიციანტი – ყურადღებიანი. იმ ერთი წლის განმავლობაში, რაც რესტორანი მუშაობს, მას სტუმარი არ მოკლებია. აქ იკრიბებიან არამარტო ქართველები, არამედ უცხოელებიც: დიპლომატები, საერთაშორისო მისიების წარმომადგენლები – ულალატეს პეროვსკაიას ლუდხანებს. როგორც ჩანს, ეს საზოგადოება "ძველ სახლში" თავს დაცულად გრძნობს, მხიარულადაა, თან საჭმელიც აქ აშკარად უფრო გემრიელია. ამ ერთი წლის განმავლობაში რესტორნის მუდმივი კლიენტების წრეც ჩამოყალიბდა. სწორედ ეს ხალხი იყო დაბადების დღეზე მოწვეული.

სადღესასწაულო პროგრამა მოგვიანებით დაიწყო – ტაქტიანმა მასპინძლებმა ჭამა-სმა გვაცალეს.

საღამოს წამყვანს, სოსო თოლორაიას, წარდგენა არ ჭირდება. მკითხველს, ალბათ, ეჭვი არ შეეპარება, რომ ყველაფერს ჩინებულად გაუძლვა: ერთმანეთს ცვლიდნენ "გელათი" და მედუდუკეთა ანსამბლი "ძველი თბილისი", "მუხამბაზის" გოგონები და, რა თქმა უნდა, ქართული პოპ-ვარსკვლავები: ლელა წურწუმია, ელეგანტური და მომხიბვლელი – როგორც ყოველთვის; აჭარიდან საგანგებოდ ამ დღისთვის ჩამოსული კახა ცისკარიძე; დათო ხუჯაძე, სტეფანე, და სხვები და სხვები. მათ შორის ალბათ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს პატარა თიკო ჯამბურია – იმის შემდეგ, რაც მისმა წანამორბედმა იდაყვებით ყოჩაღად გაიკაფა სცენისკენ გზა და თავისი გამოსვლა რუსული სულშიჩამწვდომი სიმღერით დაასრულა, ქართული ესტრადისათვის უჩვეულოდ ბუნებრივი იყო თიკოს შესრულების მანერა და მისი გულშიჩამწვდომი "ნანა ნანაია".

მტკვარში მოაჯირზე შემოდგმული სანთლები ირეკლებოდა, ცაში შუშხუნები სკდებოდა – მშვენიერი საღამო იყო. გავიცანით მის და მისტერ "ძველი სახლიც" – წითელ კაბაში გამოწყობილი, ქერათმიანი ნატალია ბლინოვა და შალვა ჟორდანია. ამ უკანასკნელმა გულისტკივილით აღნიშნა, რომ ყოველ საღამოს ვერ მოდის "ძველ სახლში", არც დრო აქვს და არც საშუალება, მაგრამ აქაურობა ძალიან უყვარს და დაბადების დღეზე მობრძანებულებს, მეგობრებთან ერთად, სიმღერაც უძღვნა.

ცხადია, სადღესასწაულო ტორტის გარეშე არც ამ დღეობას ჩაუვლია: ეტლით, რომელშიც მორთულმოკაზმული და ხალხმრავლობისაგან ოდნავ დამფრთხალი ცხენი იყო შებმული, უზარმაზარი ტორტი შემოაგორეს, შესახედად მადისამღძვრელი და, როგორც შემდეგ გაირკვა, ძალიან გემრიელიც. სოსო თოლორაიამ სიმღერა დაიწყო – Happy Birthday-ს ქართული ვარიანტი – და მის და მისტერ "ძველმა სახლმა" ტორტი დიდი ზარ-ზეიმით დაჭრეს:

"რა ლამაზი დღეა,
რა ლამაზი დღეა,
იმიტომ, რომ დღეს "ძველ სახლს"
დაბადების დღე აქვს!"

# ყვავილების ფილოსოფია ადამიანურობას შეგვინარჩუნებს

თამარ ბაბუაძე

**ყვავილები – ბაღებში, ანდა მხოლოდ ქოთნებსა და ორანჟერეებში უკვე ძველმოდურია. ისინი ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების თითოეულ დეტალს უნდა ამშვენებდნენ, მათ შორის, ჩაცმულობასაც. ასე ფიქრობენ დიზაინერები და 2003 წლის გაზაფხულის მოდას ათასფეროვანი მცენარეებით ამდიდრებენ.**

საკითხისადმი ასეთი ყვავილოვანი მიდგომა პირველად ლონდონის მოდის კვირეულზე რონიტ ზილხას მოდელებმა შეიტანეს. პოდიუმზე დაფარფატებდნენ ვარდებით, მინდვრის მცენარეებით მოხატული კაბები, მოდელები კი დაწნული კალათებიდან ყვავილის ფურცლებს ფანტავდნენ. შემდეგ იგივე მწვანე გზას პოლ სმიტი დაადგა, მერე ბენ დე ლისი, და ბოლოს, ლონდონის სასტუმრო "გროსვენორ ჰაუზში" მოწყობილი პოდიუმი ჯულიენ მაკდონალდის დიდებულმა სანახაობამ დაიკავა.

"სუპერ სამოთხე" – ასე ერქვა მაკდონალდის შოუს, რომელიც ადვილად შეიძლება შეფასდეს, როგორც ველური ბუნების ზეიმი, ბუნების, რომელსაც გლობალიზაციამ და მეტალის გაყინულმა ცათამბჯენებმა ვერაფერი დააკლო.

ამ სანახაობით დიზაინერმა მოდის ექსპერტებს დიდი სიურპრიზი მოუმზადა. საქმე ის არის, რომ როდესაც უელსელმა მაკდონალდმა "ჟივენშის" სახლისთვის თავისი პირველი კოლექცია შექმნა, ყველას ეგონა, რომ მან თავისი მყვირალა და ვულგარული სტილი წარსულს ჩააბარა და დასერიოზულდა. მართლაც, "ჟივენშის" კოლექცია ისეთი მკაცრი და ისეთი შავი იყო, რომ ვერავინ იფიქრებდა, მაკდონალდი 2003 წლის გაზაფხულის დადგომას ისევ ტროპიკული ფლორის ეშხით თუ დაელოდებოდა.

არადა, ასეც მოხდა. კამერონ დიასი-


ნაომი კემპბელი
REUTERS

სა და უიტნი ჰიუსტონის პირადმა მოდელიორმა, რომელსაც ხშირად უელსელ ჯადოქარსაც უწოდებენ, ნისლიან ლონდონში ველური ბუნება გააცოცხლა:

ტროპიკული სურათებით მოხატული ქსოვილები, ოქროს რგოლებიანი ქვედაბოლოები, კაშკაშა ყვითელი და ვარდისფერი ლიკრა, ობობას ქსელივით კაბები... თუმცა, მაკდონალდი ამით არ შემოფარგლულა. მან მცენარეებისადმი სიყვარული, პირველ რიგში, ვარცხნილობებით გამოხატა. მოდელებს თავზე ტროპიკული ყვავილებისგან დამზადებული ქუდები ეხურათ. რას აღარ ნახავდით ვარცხნილობებში: კაქტუსების ღეროებს, ვარდის ფურცლებისგან გაკეთებულ კიბეებს, პეპლებსა და ბანანის ხის ფოთლებს.

ელსპეტ გიბსონის კოლექცია კი, საერთოდ, - ზაფხულის ღამის სიზმრით - იყო შთაგონებული. ვარდისფერი შიფონის კაბები და თეთრი გამჭვირვალე ქვებით მოოჭვილი ქსოვილები. ბოლოს პოდიუმზე მოდელი, ლორა ბეილი ფერიის ფორმაში გამოვიდა, მას უკან 12 ბავშვი ფერია მოსდევდა – ბუნების ნამდვილი შვილები...

მართალია, პოლ სმიტი კოლექციის ჩვენებამდე ყველას ჰპირდებოდა, რომ პოდიუმზე ენდი უორჰოლის, პანკისა და როკ-ენ-როლის ნაზავს წარმოადგენდა, მაგრამ ჩვენების დღეს გაირკვა, რომ ბრიტანეთის პირველ დიზაინერს არც ბუნება დავიწყნია. გემოვნებით შერჩეული მცენარეები მის მოდელებსაც ამშვენებდა.

საინტერესოა, რა დაედო საფუძვლად ყვავილების ამ "რევოლუციას? ნუთუ, მხოლოდ იმ ფაქტმა იმოქმედა, რომ დიზაინერები გაზაფხულის მოდაზე მუშაობდნენ და საჭირო იყო ნაცრისფერი ზამთრის ყვავილების ესთეტიკით გახალისება? ალბათ არა, რადგან შარშან მოდელიერებს მცენარეების ასეთი ბუმი არ შეუქმნიათ. მაშინ გაზაფხულის მოდა, უბრალოდ, თეთრი ტონალობის გაბატონებით აღნიშნეს. 2003 წლის ტენდენციებმა კი ცხადყო, რომ თეთრი ფერი უკან, ბუნებისა და მცენარეებისკენ მიემართებოდა.

მართალია, "ყვავილებში დაკარგვას" მაკდონალდი ძალზე ბანალური ფრაზით ხსნის (ის აცხადებს: "ჩემი კოლექცია შეეხება ტროპიკულ კუნძულებს, ფერად, კაშკაშა ქალებს, ძვირფას იახტებს სენ ტროპეში და, უბრალოდ, სილამაზეს".), მაგრამ ყვავილების რევოლუციას სულ სხვა ფილოსოფია უნდა ჰქონდეს: მოდა ბუნებას უბრუნდება. ალბათ იმიტომ, რომ ტექნოკრატიულ სამყაროში – შეუვალ ცათამბჯენებსა და მილიონიან მეტროპოლისებში დაკარგული ადამიანი, ადამიანობას ბუნებასთან სიახლოვით თუ შეინარჩუნებს.

ლონდონის მოდის კვირეული გუშინ საღამოს დაიხურა. ყვავილების ფილოსოფია კი, ალბათ, ნიუ იორკის, შემდეგ კი მილანისა და პარიზის კვირეულებზე გაგრძელდება.


"ყვავილების დღესასწაული" პოდიუმზე.





B2 კულტურა B3 ანკეტა B4-B5 ავტო-მონადირე B6 განცხადებები B7 სპორტი B8 სხვადასხვა

## ამბები

### ტემზის ნაპირებთან 300-მდე ბრიტანელმა ქართულად იმღერა

ლონდონში, მდინარე ტემზის სანაპიროზე, ღია ცის ქვეშ პირველად გაიმართა ქართული ხალხური სიმღერისადმი მიძღვნილი "ტემზის ფესტივალი".

დიდ ბრიტანეთში საქართველოს ელჩის თემურ მამაცაშვილის თქმით, ფესტივალი ქართული მუსიკით გატაცებული ადგილობრივი თეატრალური საზოგადოების წარმომადგენლის, ჰელენ ჩედვიკის და ინგლისის ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის ლიდერის მოადგილის, საიმონ ჰიუზის მიერ იყო ორგანიზებული.

15 სექტემბერს გამართულ ერთდღიან ფესტივალში 300-მდე მომღერალი, მათ შორის, ქართული ხალხური ანსამბლი "მთიები" და ინგლისის სხვადასხვა ქალაქებიდან ჩამოსული 10 ანსამბლი იღებდა მონაწილეობას, ამასთან, ფესტივალი პირდაპირ ინტერნეტით გადაიცემოდა.

ორგანიზატორებმა სურვილი გამოთქვეს, რომ ფესტივალი მომავალ წელსაც გაიმართოს. ***პრაიმ-ნიუსი***

### „პატარა თეატრი" სეზონს ხსნის

"პატარა თეატრი" სეზონს პრემიერით, ლაშა ბუღაძის პიესის მიხედვით დადგმული სექტაკლით, "კაპრიჩიოთი" გახსნის. სპექტაკლი ემიგრანტი ქალის ცხოვრებაზე მოგვითხრობს. სცენარის მიხედვით, კაპრიჩიო დიდი მოძრავი თოჯინაა, რომელსაც მთავარი როლი აკისრია. სპექტაკლის რეჟისორია ლევან წულაძე, მონაწილეობენ მსახიობები - ზურა პაპუაშვილი, ნანა შონია და ზურა შანია, მეთოჯინეები ნინო ნამიჭეიშვილი და გიორგი ქათამაძე. ***ინტერ-პრესი***

### „თეატრი სხვენზე„ ბავშვებს ზღაპრულ სამყაროში ეპატიჟება

ნოდარ დუმბაძის სახელობის სახელმწიფო ცენტრალურ თეატრში კიდევ ერთი თეატრალური დარბაზი გაიხსნება. ახალი დარბაზი თეატრის ბოლო, მეოთხე სართულზე განთავსდება და როგორც თეატრის რეჟისორი გია კიტია ამბობს, მას „თეატრი სხვენზე" ერქმევა.

მისივე თქმით, ახალ თეატრში, მის სახელწოდებიდან გამომდინარე, ბავშვებისთვის ე.წ. „ზღაპრული" სპექტაკლები დაიდგმება. „თეატრი სხვენზე" თავის მაყურებელს მრავალ ახალ სპექტაკლს ჰპირდება.

როგორც ცნობილია, საბავშვო თეატრში სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს და თეატრალური სეზონისათვის იქ სამი ახალი - მცირე, დიდი და ახალგაზრდული დარბაზი გაიხსნება. ***მედია-ნიუსი***

## კალენდარი

### 18 სექტემბერი



რა უნდა იყოს იმაზე უკეთესი, როდესაც რაღაცისკენ ისწრაფვი, როცა რაღაცას ელოდები? - ამ სიტყვების ავტორს დიდი ხნის ლოდინი არ დასჭირვებია, ბრწყინვალე კინოკარიერა სრულიად ახალგაზრდამ დაიწყო. "გრანდ ოტელი", "ანა კარენინა", "ველური ორქიდეა", "ღვთაებრივი ქალი", "სიყვარული", - ეს ჩამონათვალი მხოლოდ მცირე ნაწილია იმ ფილმებისა, რომლებშიც შვედმა მსახიობმა გრეტა გარბომ დაუვიწყარი სახეები შექმნა. ვერავინ იფიქრებდა, რომ გრეტა გარბო ჰოლივუდს მიატოვებდა, თანაც სწორედ მაშინ, როდესაც ის კარიერის მწვერვალზე იმყოფებოდა.

"მე არასოდეს მითქვამს, რომ მარტო ყოფნა მინდა, მე მხოლოდ ის ვთქვი, მინდა რომ მარტო დამტოვოთ-მეთქი, ამაში არის რაღაც განსხვავება", - ამბობდა გრეტა გარბო. "XX საუკუნის სფინქსი" - ასე დაახასიათეს თანამედროვეებმა მსახიობი, რომელიც ორი ცხოვრებით ცხოვრობდა: ერთმა ცხოვრებამ კამერის წინ გაირბინა, მეორე ცხოვრება კი იდუმალებით მოცული დარჩა.

**გრეტა გარბო** 1905 წლის 18 სექტემბერს დაიბადა, გარდაიცვალა 1990 წლის 15 აპრილს.

## თეატრები

✓ **ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი**
ვერდი, "რიგოლეტო", ოპერა ოთხ მოქმედებად
დირიჟორი ზაზა კალმახელიძე
დას: 18:00 სთ.

## საგამოფენო დარბაზები

✓ **ეროვნული გალერეა**
11 სექტემბრის ამსახველი ფოტოებისა და ქართველი მხატვრების ნამუშევართა გამოფენა

✓ **ქარვასლა**
თინა კლდიაშვილის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა.

✓ **ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი**
ანანო კოპლატაძის ფერწერული ნამუშევრების პერსონალური გამოფენა

✓ **TMS**
თანამედროვე ქართველ მხატვართა გრაფიკული ნამუშევრების გამოფენა

## კინოთეატრები

✓ **ამირანი**
სტივენ სპილბერგის "უცხოპლანეტელი"
დას: 13:00; 15:00; 20:00 სთ.; ფასი: 6,7 ლარი

ბრაიან დე პალმას "საბედისწერო ქალი", ანტონიო ბანდერასის მონაწილეობით
დას: 17:00; 23:00 სთ; ფასი: 7-8 ლარი

# ფონოგრამა თოვდა, თოვდა

ვერა ნეფარიძე

*გუშინ სპორტის სასახლეში ახალგაზრდობამ პირველი საშემოდგომო გრანდიოზული შოუ "დააგემოვნა". კონცერტმა კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ ცოტა ხნის წინათ ატეხილი აჟიოტაჟი, მუსიკალური პროდუქციის ხარისხსა და მოთხოვნილებებზე, მოჩვენებითი იყო. იგივე შემართებით მღერიან და ისმენენ მკვდარ მუსიკას, ფონოგრამას და ისევ ამჯობინებენ ორიგინალურის შექმნას, ასჯერ გადაღეჭილი თემის უმარტივეს რემიქსულ ვარიანტს.*

"მინდა რომ ვიცოდე როდის, ჩემი რიგი მოდის", - მღეროდა გუშინდელ კონცერტზე, ხმაურიანი ოვაციების ფონზე, დათო ხუჯაძე. მე კიდევ, ძალიან მინდა ვიცოდე, ჩვენი სახელოვანი, ვარსკვლავური მანიით შეპყრობილი, პრიმიტიულ მუსიკას აყოლილი შემსრულებლები როდემდე შეიძლება იყვნენ სამაგალითოები? ასეთი სამაგალითო ვარსკვლავები გუშინდელ კონცერტზე მართლაც ბევრნი იყვნენ. ალბათ, ესეც იყო უპირველესი მიზეზი, რომ 5 ლარიანი ბილეთების მფლობელებით გადაიჭედა სპორტის სასახლის დარბაზი. ამ ფასად ისინი სამი საათის განმავლობაში უსმენდნენ როგორც სუპერ-პოპულარულ შემსრულებლებს (ლელა წურწუმია, მერაბ სეფაშვილი, სტეფანე, თემურ თათარაშვილი, დათო ხუჯაძე), ისე თანამედროვე ქართული ესტრადის ახალ გმირებს (ქეთა თოფურია, თამთა გოგუაძე, "საუნდი", ბუკა, პატარა ბაჩო).

გუშინდელი კონცერტის ორგანიზატორი იყო გაზეთი "სტუდენტური პაემანი", რომელმაც ასე ხმაურიანად და "გრანდიოზულად" აღნიშნა საკუთარი შვიდი წლისთავი. კონცერტმა გააქარწყლა ჭორები, თითქოს, "არტ-იმედის" ვარსკვლავები აღარ მონაწილეობენ შერეულ კონცერტებზე. სპორტის სასახლეში ამ კომპანიას გუშინ სამი მომღერალი წარმოადგენდა.

მას შემდეგ, რაც მერიის კულტურის სამსახურმა ხმაური ატეხა ფონოგრამული მუსიკის წინააღმდეგ და ფილარმონიაში ასეთი საღამოები აკრძალა, სპორტის სასახლე ერთადერთი დიდი თავშესაფარი აღმოჩნდა ზარმაცი (თუ გნებავთ, მატყუარა უწოდეთ) მუსიკოსებისთვის. როგორც ჩანს, დარბაზი კვლავ რჩება მკვდარი მუსიკის მოყვარულთა მექად. და არა მარტო მკვდარი მუსიკის...

გუშინდელი კონცერტი ნათელი მაგალითი იყო იმისა, თუ რა იოლია საქართველოში ვარსკვლავობა. თუკი გაქვს მინი-დისკი ერთ ღამეში ჩაწერილი უმარტივესი ფონოგრამით, თუკი ერთი-ორჯერ მაინც არის ის დატრიალებული რომელიმე რადიო ან ტელეეთერში, სცენაზე ისე ახვალ და კონცერტის წამყვანი (გუშინდელ შემთხვევაში, აჩი ფურცელაძე) ისე წარგადგენს, რომ ახალგაზრდულ აუდიტორიას შერცხვება, მხურვალე ოვაციებით არ მოგესალმოს. არც დანარჩენია რთული: იმღერებ, როგორც შეგიძლია და უკვე "სასტავში" ხარ. ზუსტად ასე იყო, როდესაც ქართული ესტრადის აღიარებული ვარსკვლავების გვერდით სცენაზე ასასვლელად ჩვენთვის აბსოლუტურად უცხო გოგონა პირჯვრის გადაწერით შეემზადა. ვიდრე მისი ვინაობის გასარკვევად საკუთარ თავს გამოცდას ვუწყობდი (ძირითადად, რადიო-ეთერებში ხშირად გაგონილ გახმაურებულ სახელებს ვიხსენებდი), წამყვანის ხმამ ასევე უცნობი სახელი და გვარი წარმოთქვა – აღმოჩნდა, რომ შემსრულებელი თაკო ნიბლაძე იყო, რომელმაც ახალი სიმღერის პრემიერა შემოგვთავაზა.



*ქეთა თოფურიასა და აჩი ფურცელაძის დუეტი* — ლევან ხერხეულიძის ფოტო

კონცერტი რამდენიმე ახალი სიმღერის პრემიერით აღინიშნა. ერთ-ერთი ალა ბორისოვნას ცნობილი სიმღერის ფონოგრამაზე გაკეთებული პატარა ბაჩოს "ფიროსმანიც" იყო. ბუკას კი ათეული წლების წინათ მამის დაწერილი სიმღერები (რომელთაც ანსამბლი "75" ასრულებდა) გამოადგა. ორი თვეა, რაც ირინე მანაგაძე (ზურა მანაგაძის 16 წლის ქალიშვილი, იგივე ბუკა) სცენაზე ამ სიმღერების ახლებური ინტერპრეტაციით დამკვიდრდა და როგორც გუშინდელ კონცერტზე გამოჩნდა, იგი უკვე ვარსკვლავია.

სპორტის სასახლის გუშინდელ კონცერტზე აპლოდისმენტების მიხედვით ვერ განასხვავებდით, ვინ იდგა სცენაზე, ღვაწლმოსილი მომღერალი თუ უბრალო მოზარდი... ასე რომ, სცენაზე ყოფნის სამწუხარო ტენდენცია და ფონოგრამის ზეიმი ჩვენთან ჯერ კიდევ გრძელდება.

# დიდ დრამატულ თეატრში კომერციული სპექტაკლები არ იდგმება

თამარ სუხიშვილი

*რუსეთ-საქართველოს შორის ლამის უკვე ასაფეთქებლად გამზადებული ცივი ომის ოდნავი დათბობა ხელოვნების მოღვაწეებმა სცადეს. რუსი ხელოვანები უყოყმანოდ, დიდი სიხარულით დათანხმდნენ საქართველოში ჩამოსვლაზე.*

გუშინ სანკტ-პეტერბურგიდან თბილისში პეტერბურგის საპატიო მოქალაქე, დიდი დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, სსრკ-ის სახალხო არტისტი და სახელმწიფო პრემიის ლაურეატი კირილ ლავროვი ჩამოფრინდა. მასთან ერთად დედაქალაქში ცნობილ რუს მწერალს, დანიილ გრანინსაც ელოდნენ, რომლის შემოქმედებითი საღამოც გრიბოედოვის თეატრში უნდა გამართულიყო და მხოლოდ ბოლო წუთებში გახდა ცნობილი, რომ გრანინმა, ავადმყოფობის გამო, თბილისში ჩამოსვლა ვერ მოახერხა. ამიტომ ფესტივალ "ვივატ, სანკტ-პეტერბურგის" პროგრამა შეიცვალა და ერთი საათის დაგვიანებით, თეატრის სცენაზე ალისა ფრეინდლიხი და პირდაპირ აეროპორტიდან მოსული კირილ ლავროვი გამოჩნდნენ. რუსმა მსახიობებმა ქართველ მაყურებელს ექსპრომტი საღამო შესთავაზეს.

საღამოს დაწყებამდე რუსული დრამატული გრიბოედოვის თეატრის წინ პეტერბურგელი ფოტოგრაფისა და მხატვრის, ანატოლი მედვედნიკოვის გამოფენა გაიხსნა, აქ ბევრმა ხალხმა მოიყარა თავი, შესასვლელთან გამწკრივებულიყვნენ რუსეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტის მეზღვაურის ქუდებჩამოფხატებული გოგო-ბიჭები, უკრავდა მუსიკა, თბილისელები ათვალიერებდნენ პეტრეს ქალაქის ხედებს, რომლებიც 15 სტენდზე იყო განთავსებული და ძველ დროს იხსენებდნენ. ყველაფერი ისე იყო, როგორც ძველ ფილმებშია ხოლმე.

ქუჩიდან ხალხმა თეატრის ფოიეში გადაინაცვლა, სადაც დიდი დრამატული თეატრის რეჟისორის, გიორგი ტოვსტონოგოვის მემორიალური დაფა გაიხსნა, ფოიედან კი – დარბაზში.

"სრულიად მოულოდნელად უფრო ადრე გამოვჩნდი ამ სცენაზე, ვიდრე ეს დაგეგმილი იყო, - გულთბილი მისალმების შემდეგ დარბაზს მიუბრუნდა ალისა ფრეინდლიხი, რომელსაც ქართველი მაყურებელი პარასკევსა და შაბათს იხილავს სპექტაკლში "ინათე, ინათე, ჩემო ვარსკვლავო". ალისა ფრეინდლიხი და კირილ ლავროვი დიდხანს საუბრობდნენ საქართველოზე, იმაზე თუ როგორ ენატრებათ ეს ქვეყანა, როცა აქედან შორს არიან და ანა ახმატოვას სიტყვებიც გაიხსენეს: "Тоскует кровь, тоскует"; იგონებდნენ ხან – რას და ხან – რას, პეტერბურგელი მსახიობების მოგონებები საქართველოზე პირველ რიგში გიორგი ტოვსტონოგოვის სახელს უკავშირდებოდა.

"როცა აქ ჩამოვდივარ, რაღაცნაირი სევდა მიპყრობს ხოლმე. მაგონდება საქართველოში გასტროლები, რუსთაველზე და ძველ თბილისში სეირნობა. ტოვსტონოგოვი ბევრს გვიამბობდა თბილისზე, აღმერთებდა თავის ქვეყანას, დაგვიდგა ქართული სპექტაკლები: "ხანუმა", "სამანიშვილის დედინაცვალი", სცენისა და მაყურებლის საშუალებით უხსნიდა სიყვარულს საქართველოს, და ჩვენ მისი გვესმოდა. მერე აქაც ჩამოვედით და ყველაფერი საკუთარი თვალით ვნახეთ. მიხარია, რომ ის ძაფები, რაც ჩვენ გვაკავშირებს, არ დარღვეულა და მჯერა, რომ არც დაირღვევა," – ამ სიტყვებით წარდგა გულაჩუყებულ პუბლიკის წინაშე კირილ ლავროვი და ქართველ ხალხს ჯანმრთელობა, სიბრძნე და კეთილმოსურნეობა უსურვა.



*ალისა ფრეინდლიხი და კირილ ლავროვი გიორგი ტოვსტონოგოვის მემორიალის გახსნაზე*

ლავროვმა ისაუბრა დიდი დრამატული თეატრის ცხოვრებაზე, მის პრობლემებზე და ქართველ ხალხს მადლობა გადაუხადა თემურ ჩხეიძის გამო, რომელმაც ტოვსტონოგოვის გარდაცვალების შემდეგ, იმ დროს, როცა მთელი დასი საგონებელში იყო ჩავარდნილი, პირველმა დადგა სპექტაკლი თეატრის სცენაზე და ამ სპექტაკლს (შილერის "ვერაგობა და სიყვარული") დღესაც თამაშობენ.

უცხო ქვეყნის ხელოვანთა შემოქმედებით საღამოებს დანატრებულ ქართველ მაყურებელს მსახიობების ცხოვრებისა და შემოქმედების ყველა დეტალი აინტერესებდა.

კითხვაზე, როგორ ემზადება დიდი დრამატული თეატრი პეტერბურგის 300 წლის იუბილესთვისო, მსახიობმა მოსწრებულად შენიშნა: პირველ რიგში ფასადი შევღებეთო, ხოლო შეკითხვამ, როგორ უნდა გადაირჩინოს ამ ცხოვრებაში თავი შემოქმედმაო, კირილ ლავროვი სერიოზულად ჩააფიქრა: "ძნელია ამ კითხვაზე პასუხის გაცემა, მიმძიმს იმასთან შეგუება, რაც ხდება. იქნებ რეტროგრადი ვარ და ალბათ, ეს კანონზომიერიცაა, მაგრამ ჩემთვის ეს მდგომარეობას არ ამსუბუქებს".

"თეატრმა თავისი სახე უნდა შეინარჩუნოს", - ამბობს ლავროვი, "ჩვენ არ ვაქირავებთ ჩვენი თეატრის შენობას ბარებსა და საეჭვო რეპუტაციის დაწესებულებებზე და არც კომერციულ სპექტაკლებს ვდგამთ, ვცდილობთ, ტოვსტონოგოვის დამკვიდრებულ პრინციპებს მივყვეთ. მსახიობმა თავისი სახლი – თავისი თეატრი უნდა შეინარჩუნოს."

# ქართველი სტუდენტები აღმოსავლეთის შესახებ

ნანა ბასილაშვილი

აქტიური და ბეჯითი სტუდენტები ხშირად ბევრ საინტერესო წამოწყებას უყრიან საფუძველს. სათანადო ყურადღებისა და მონდომების შემთხვევაში ეს პროექტები მომდევნო თაობებსაც გადაეცემათ ხოლმე. გუშინ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე ჟურნალი "აღმოსავლეთის" პრეზენტაცია გაიმართა. დამსწრენი "ფეხის ადგმას" ულოცავდნენ ახალ ჟურნალს და მომავალში დამკვიდრებასაც უწინასწარმეტყველებდნენ.

თსუ-ს V კორპუსის ერთ-ერთ აუდიტორიაში გამართულ პრეზენტაციაზე თბილისში არსებული აღმოსავლეთის ქვეყნების საელჩოების წარმომადგენლებს ელოდნენ. ამ პუბლიცისტურ-შემეცნებითი ჟურნალის პრეზენტაციას, ოფიციალური პირების გარდა, უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები, ასპირანტები და სტუდენტებიც ესწრებოდნენ.

პირველი ნომერი გაზაფხულზე, რამდენიმე სტუდენტმა (მცირერიცხოვანი ტირაჟით 250 ცალი) საკუთარი სახსრებით გამოუშვა. სარედაქციო საბჭომ, ლაშა ჯაპავას (რედაქტორი) ხემძღვანელობით, გადაწყვიტა, გამოეშვათ ჟურნალი, რომლშიც, შეძლებისდაგვარად, ამომწურავად გაშუქდებოდა აღმოსავლური ქვეყნების პოლიტიკა, ისტორია, რელიგია, კულტურა და ლიტერატურა. დღეს უკვე "აღმოსავლეთის" მეორე ნომერი გამოვიდა, პოლიგრაფიულად გაუმჯობესებული ხარისხითა და გაორმაგებული ტირაჟით. თუმცა, მის დაფინანსებაზე ამჯერადაც თავად სტუდენტებმა იზრუნეს და ჟურნალის დასაბეჭდად საკუთარი სახსრები გაიღეს. ჟურნალში მართლაც ბევრ საინტერესო ინფორმაციას ამოიკითხავთ. ერთსაც აუცილებლად შეამჩნევთ, რომ სარეკლამო გვერდი ჯერჯერობით ცარიელია.

შემდეგი ნომრიდან "აღმოსავლეთს" უკვე საერთაშორისო სტატუსი მიენიჭება და ინტერნეტის საშუალებით გავრცელდება მისი ელექტრონული ვერსიაც.




# შეავსეთ ანკეტა და გამოგვიგზავნეთ

გთხოვთ, შეავსოთ გარკვევით. ბლანკი უფასოა.

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2" არ არის ვალდებული, გაცნობოთ მიიღებთ თუ არა მონაწილეობას შოუში "ხალხის პირისპირ". თქვენი შერჩევის შემთხვევაში, დაგიკავშირდებათ გადაცემის კოორდინატორი ამ ანკეტის შევსებით თქვენ ეთანხმებით შოუს "ხალხის პირისპირ" წესებსა და პირობებს.

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2",
ტელევიქტორინა "ხალხის პირისპირ",
ვაჟა-ფშაველას 45, 300077 თბილისი

კონკურსანტები ტელევიქტორინისთვის "ხალხის პირისპირ" შეირჩევიან ანკეტის საფუძველზე, ამიტომ გთხოვთ, ყურადღებით შეავსოთ ანკეტა.

სახელი და გვარი

მისამართი:

საფოსტო ინდექსი:

საკონტაქტო ტელეფონის ნომრები:

ასაკი:

დამხმარე კატეგორია: (მიუთითეთ კატეგორია, რომელშიც კარგად ერკვევით, შეგიძლიათ აირჩიოთ ნებისმიერი. მაგალითად, საფეხბურთო კლუბი "არსენალი" ან ევროპის ქვეყნების დედაქალაქები, ან 60-იანი წლების მუსიკა, და ა.შ.)

ოჯახური მდგომარეობა:

დაქორწინებული, დაუქორწინებელი, გაყრილი, ქვრივი

შვილები: (თუ გყავთ)

განათლება:

საშუალო, უმაღლესი, ტექნიკური

პროფესია:

სამუშაო ადგილი

შინაური ცხოველები: (თუ გყავთ)

გთხოვთ, დააკრათ ახლანდელი ფოტოსურათის, სასურველია ზომით 3/4, თუ ამ ზომის ფოტოსურათი არ გაქვთ, შეგიძლიათ დააკრათ ნებისმიერი ზომის, რომელზეც მხოლოდ თქვენ ხართ გადაღებული. ფოტოსურათზე სახე გარკვევით უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათს უკან მიაწეროთ თქვენი სახელი და გვარი.

თქვენი ინტერესები და ჰობი:

შეხვედრიხართ თუ არა, პირადად, ცნობილ ადამიანს? ვის, სად და როდის?

როგორ გაატარებდით თქვენს იდეალურ დასვენების დღეს?

გიყვართ თუ არა მოგზაურობა? (თუ გიმოგზაურიათ საქართველოს გარეთ და სად?)

არჩევანი რომ გქონდეთ, რომელ ცნობილ ადამიანთან ისურვებდით შეხვედრას, სად წახვიდოდით მასთან ერთად და რატომ?

რომელი სატელევიზიო გადაცემები მოგწონთ და რატომ?

არჩევანი რომ გქონდეთ, სად წახვიდოდით სამოგზაუროდ და რატომ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი რამის შეცვლა საკუთარ გარეგნობასა ან ხასიათში, რას შეცვლიდით და რატომ?

რომელია თქვენი საყვარელი მწერალი და საყვარელი ლიტერატურული ნაწარმოები?

გაქვთ თუ არა მიზანი, რომლის მიღწევაზეც ოცნებობთ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი ნატვრის ასრულება, რას ინატრებდით და რატომ?

როგორი მუსიკა გიტაცებთ და თავად გაქვთ თუ არა მუსიკალური ნიჭი?

მიგიღწევიათ ან გაგიკეთებიათ თუ არა ისეთი რამ, რითაც ამაყობთ?

თქვენი აზრით, რომელ ზღაპრულ პერსონაჟს ჰგავხართ ყველაზე მეტად და რატომ?

რა ჟანრის ფილმები მოგწონთ და რომელია თქვენი საყვარელი ფილმები?

გაქვთ ან გქონიათ თუ არა რაიმე მეტსახელი? კონკრეტულად რა?

ფილმი რომ გადაეღოთ თქვენზე, რომელი ცნობილი მსახიობი შეასრულებდა თქვენს როლს?

გამოსულხართ თუ არა ტელევიზიით? (თუ კი, როდის და რა ამპლუაში?)

გაქვთ თუ არა უჩვეულო ნიჭი? (მაგალითად, შეგიძლიათ თუ არა სტვენით ბეთჰოვენის "მთვარის სონატის" შესრულება, ან ასკინკილით მარათონული დისტანციის გავლა?)

ყველაზე უხერხული სიტუაცია თქვენს ცხოვრებაში:

რატომ გინდათ მიიღოთ მონაწილეობა ჩვენს თამაშში?

უჩვეულო ან საინტერესო რამ თუ გადაგხდენიათ თავს? კერძოდ რა?

ყველაზე ცუდი სამუშაო თქვენს ცხოვრებაში:

დღეს რომ მოგცენ 2000 ლარი, რას გააკეთებდით?

## რუმინული "არო" ბრაზილიასა და აშშ-ში გაიყიდება

ბრაზილიურმა კომპანია "ლამამბაიამ" და მისმა ამერიკულმა პარტნიორმა "ლასარო აუტომ" შექმნეს ერთობლივი საწარმო "ქროს ლანდერი", რომელიც, უახლოეს მომავალში, ბრაზილიაში დაიწყებს რუმინული უგზოობის ავტომობილ "არო 24-ის" გამოშვებას.

ბრაზილიური "აროს" სახელწოდება იქნება CL-224 და მისი მაკომპლექტებელი ნაწილების 70 პროცენტი ბრაზილიაშივე დამზადდება. ავტომობილი აღიჭურვება 2.8-ლიტრიანი ტურბოდიზელით, რომელიც 132 ცხენის ძალას ავითარებს. ერთობლივ საწარმოს გადაცემათა კოლოფებით მოამარაგებს კომპანია "იტონი", საჭის მექანიზმსა და აკუმულატორებს კომპანია" მოურა" დაამზადებს, შასი კი რუმინული წარმოებისა იქნება.

წინასწარი დაანგარიშებით, ორივე მხარე პროექტში 32 მილიონ დოლარიან ინვესტიციას განახორციელებს. წლიურად გათვალისწინებულია 3 ათასზე მეტი ავტომობილის დამზადება.

ერთობლივი საწარმოს პროდუქცია გაიყიდება არამარტო ლათინურ ამერიკაში, არამედ შტატებშიც, სადაც "ლაკარო ავტოს" უკვე აქვს რუმინული მოდელის გაყიდვების გარკვეული გამოცდილება.

"დაიმლერკრაისლერმა" ახალი აეროდინამიკური მილი ააშენა

კორპორაცია "დაიმლერკრაისლერმა" ააშენა ახალი აეროდინამიკური მილი, რომლის საშუალებითაც დიდად შემცირდება კომპანიის მიერ ახალი მოდელების მომზადებისთვის საჭირო დრო და დანახარჯები.

მილში შესაძლებელია სრულმასშტაბიანი მოდელების განთავსება.

ჩაბერვის მაქსიმალური სიჩქარეა 240 კმ/სთ, რაც სრულიად საკმარისია საგზაო ავტომობილებისათვის.

როგორც კომპანიის მესვეურები ირწმუნებიან, ეს ყველაზე უხმაურო აეროდინამიკური მილია მსოფლიოში. მას სამი ძირითადი ფუნქცია აკისრია: პროექტირებისას მისი გამოყენებით შესაძლებელია ავტომობილის ტექნიკური და ეკონომიურობის მაჩვენებლების გაუმჯობესება, სალონში ხმაურის შეღწევის შემცირება და გარე დეტალების მორგება აეროდინამიკური მოთხოვნების შესაბამისად.

## "ტოიოტამ" უსაფრთხოების პრევენტული სისტემა შექმნა

კომპანია "ტოიოტამ" მედიას წარუდგინა უსაფრთხოების ეგრეთ წოდებული პრევენტული სისტემა, რომელიც შესაძლებელს ხდის, წინასწარ განისაზღვროს გარდაუვალი ავარია და მის მოხდენამდე შესაბამის მზადყოფნაში მოიყვანოს უსაფრთხოების სისტემები.

ჟურნალ "მოტორ ტრენდის" ცნობით, "ტოიოტას" პრევენტული სისტემა ორი ძირითადი ბლოკისგან შედგება. პირველ ბლოკში შედის მოკლეტალღოვანი რადარი, რომელიც ავტომობილის წინა გარემოს იკვლევს. მას გზაზე ნებისმიერი ობიექტის დაფიქსირება შეუძლია, რომელსაც ცენტრალურ ბლოკს გადასცემს.

ეს არის მინიკომპიუტერი, რომელიც ანალიზს უკეთებს პირველი ბლოკის მიერ მიწოდებულ ინფორმაციას და შემხვედრი ობიექტის პარამეტრების (ზომები, მდებარეობა და მოძრაობის სიჩქარე) მიხედვით შეუძლია ამ ობიექტთან შესაძლო შეჯახების პროგნოზირება.

თუ ცენტრალური ბლოკი დაადგენს, რომ შეჯახება გარდაუვალია, მაშინ იგი აამოქმედებს ავტომობილის უსაფრთხოების ყველა სისტემას. პარალელურად, ავტომატურად ხდება უსაფრთხოების ღვედების დაჭიმვა და აქტიურდება უსაფრთხოების ის ბალიშები, რომელთა ამუშავების შემთხვევაშიც მაქსიმალური ეფექტი იქნება მიღწეული.

სპეციალისტების მტკიცებით, "ტოიოტას" ახალი სისტემა გაცილებით ეფექტურია აქამდე არსებულ ყველა სისტემასთან შედარებით. "ტოიოტას" წარმომადგენლების განცხადებით, მათი ახალი სისტემა დამონტაჟდება ყველა იმ ავტომობილზე, რომელთა დებიუტიც მომავალი წლისთვისაა გათვალისწინებული.

## "ჯიპმა" ლოგო შეიცვალა

კომპანია "ჯიპმა", რომელიც კორპორაცია "დაიმლერკრაისლერის" შემადგენლობაში შედის, უკანასკნელი 60 წლის მანძილზე, პირველად გამოიცვალა ლოგოტიპი. ახალ ლოგოტიპზე, მომხმარებლისთვის უკვე ნაჩვევი საფირმო წარწერა "ჯიპის" გარდა გამოსახულია კლასიკურ "ჯიპ ვრანგლერის" რადიატორის სტილიზებული გამოსახულება.

მოკლედ, ამიერიდან, "კრაისლერის" სხვა მარკების მსგავსად, "ჯიპსაც" გაუჩნდა საკუთარი ემბლემა, რომელიც ოქტომბრიდან ამ მარკის ყველა ავტომობილს დაამშვენებს.

ლოგოს შეცვლასთან ერთად იცვლება მარკის სარეკლამო სტრატეგია, რომელსაც ძველი (ჯიპი. ის ერთადერთია) "საფირმო" გამოთქმის ნაცვლად ახალი (მხოლოდ ჯიპით) წაუძღვება.

## მერსედესი ახალ კუპეს ამზადებს

ინგლისურ ჟურნალ "აუტო ექსპრესის" ცნობით, "დაიმლერკრაისლერი", სრულიად საიდუმლო ვითარებაში, ამზადებს E კლასის კუპეს, რომლის დებიუტიც 2004 წლისთვისაა დაგეგმილი და მან კონკურენცია უნდა გაუწიოს ისეთ მოდელებს, როგორებიცაა "აუდი A4 კუპე" და მე-6 სერიის "ბეემვე".

ახალი ავტომობილის დიზაინი უკვე შექმნილია, თუმცა სპეციალისტები ჯერაც მუშაობენ ზოგიერთ დეტალზე. ზოგიერთის ვარაუდით, ავტომობილს ექნება მოსახსნელი სახურავი, ზოგი კი ფიქრობს, რომ სიახლის განმასხვავებელი ნიშანი იქნება მისი კარები, რომლებიც მოძრაობის საწინააღმდეგოდ გაიღება.

ავტომობილი დამზადდება უკვე არსებულ ორხიდიან პლატფორმაზე.

ელექტრონული სამუხრუჭე სისტემა, სახელწოდებით "სენსოტრონიკ", აღიჭურვება დაკიდების აქტიური, პნევმატური სისტემით.

სტანდარტულ აღჭურვილობაში შევა ხუთი ძრავა - ორი დიზელისა და სამიც ბენზინისა. მათგან სტანდარტული იქნება 3.2-ლიტრიანი ბენზინზე მომუშავე V6, ფლაგმანებზე კი 5-ლიტრიანი ტურბომოტორები დამონტაჟდება.

## უნიკალური "პორშე" ახალი ზელანდიისთვის

უახლოეს მომავალში ახალი ზელანდიის საავტომობილო ბაზარზე გამოჩნდება ექსკლუზიური შესრულების "პორშე ბოქსსტერი" კოდური სახელწოდებით "ჯეიმს დინ ედიშნ".

როგორც ცნობილია, 50-იანი წლების კინოვარსკვლავი ჯეიმს დინი შეყვარებული იყო "პორშეს" ავტომობილებზე. კარგა ხანს მის კუთვნილებაში იყო "პორშე 550 სპაიდერი", რომელიც 1955 წელს მსახიობმა კაბრიოლეტ "პორშე 356 სუპერ სპიდსტერზე" გაცვალა, თვის ბოლოს კი სწორედ ამ მანქანით მოუვიდა საბედისწერო ავარია.

ნავარაუდევია მხოლოდ 4 ასეთი ავტომობილის დამზადება, რომლებიც მხოლოდ ზელანდიაში გაიყიდება.

## "ფოლკსვაგენს" კვლავ ნოსტალგია მიექალა

გერმანულმა კომპანია "ფოლკსვაგენმა", ცოტა ხნის წინ, გამოუშვა კიდევ ერთი მცირელიტრაჟიანი ფურგონი სახელად, "დანბერი რიო", რომელიც ქალაქგარე გასეირნებისთვისაა გათვალისწინებული.

მოდელ "მიკრობუსისგან" განსხვავებით, "რიო" რეტროს სტილშია შესრულებული. სწორედ ამგვარი ფურგონებით აწყობდნენ 70-იან წლებში ჰიპები თავიანთ სვლებს.

ფურგონის სალონში, როგორც წესი, განთავსდება მცირე მაცივარი, გაზქურა, პირსაბანი და საწოლი 4 ადამიანზე. სალონში იქნება გათბობის საშუალება, რომელიც ძრავის ჩაურთავად უზრუნველყოფს მასში სასურველი ტემპერატურის შენარჩუნებას.

"რიოს" გამოუშვებს კომპანიის მექსიკის ქალაქი პუებლას ქარხანა, სადაც დღესაც არ შეწყვეტილა "ძველი ხოჭოს" წარმოება.

# "გენერალთა" ახალი ჯიშის ცხენები



*კადილაკ სიენი*

ბოლო წლების განმავლობაში ამერიკული კომპანიები სულ უფრო მეტ ყურადღებას უთმობენ კონცეპტუალური მოდელების შექმნას, რომელთა სხვადასხვა სალონებზე ჩვენების შემდეგაც მათი სამარკეტინგო მომავლის შესწავლა ხდება და თუ ყველაფერი კარგად იქნა, "მომავლის მანქანები", როგორც ხშირად უწოდებენ ხოლმე კონცეპტკარებს, მალე კონვეიერისკენ გაიკაფავენ გზას.

ამ ასპექტში ამერიკულ კომპანიებში, ერთხანს, "კრაისლერი" ლიდერობდა, მაგრამ ბოლო ორი წელია, მსოფლიოს უდიდესი ავტოსალონები, რომ იტყვიან, წალეკა "ჯენერალ მოტორსის" მომავლის მოდელებმა.

წელსაც, დეტროიტის ავტოსალონზე (ამერიკული კომპანიები კონსერვატიულობით გამოირჩევიან და თავიანთი სიახლეების ჩვენებას, ძირითადად, ამერიკულ ავტოსალონებზე ეშურებიან), "ჯენერალ მოტორსმა" თავისი საკონსტრუქტორო და დიზაინერული შტაბის რამდენიმე პერსპექტიული მოდელი წარმოადგინა, რომელთაგან, როგორც სპეციალისტები ვარაუდობენ, ნახევარი უახლოეს მომავალში კონცერნის სამოდელო რიგში დაიკავებს საპატიო (იქნებ, ფლაგმანისაც) ადგილს.

ამ კონცეპტკარებიდან ყველაზე გამორჩეულია "კადილაკ სიენი". წელს "ჯენერალ მოტორსის" ლუქსის კლასის ავტომობილების მწარმოებელი ეს დივიზიონი თავისი დაარსების 100 წლისთავს აღნიშნავს და კომპანიამ სწორედ ამიტომ უწოდა თავის ახალ ნამუშევარს "სიენი" (ეს სიტყვა ესპანურად ასს ნიშნავს).

### კადილაკ სიენი

ეს მოდელი "კადილაკის" ახალი დიზაინერული თემის, "არტ ენდ საიენს დიზაინ" (ხელოვნება და მეცნიერება დიზაინში) პირმშო ნამდვილად არ არის, მაგრამ მისი წინამორბედების საუკეთესო ვარიანტების შენაჯ-ეფერება თანამედროვე ესთეტიკურ და აეროდინამიკურ მოთხოვნებს, მაგრამ მნახველს პირველივე ვიზიტის შემდეგ ნუსხავს, რისი დასტურიცაა დეტროიტის "კობო სენტერში" სპეციალისტებისა და პოტენციური მყიდველებისგან მიღებული უამრავი დადებითი გამოხმაურება.

"სიენი" მოწოდებულია, კონკურენცია გაუწიოს ორადგილიანი სუპერკარების ბაზრის ისეთ ლიდერებს, როგორებსაც აწარმოებენ "ფერარი", "ლამბორჯინი", "მერსედეს-ბენცი", "პორშე" და სხვები.

"ჯენერალ მოტორსი" იმედოვნებს, რომ ამ მოდელით თავის სახელოვან დივიზიონ "კადილაკს" ძველ დიდებას დაუბრუნებს და ახალ სიმაღლეებსაც დააპყრობინებს.

ჭეშმარიტად - "კადილაკი" ადრე არასოდეს გამოდიოდა ამ კლასში. უფრო მეტიც, მას არასოდეს ჰყოლია სამოდელო რიგში სუფთა სისხლის სპორტული ავტომობილები. მაგრამ წარსული, თავის დიდებასთან ერთად, ისტორიის კუთვნილება გახდა, კომპანიის მესვეურთ კი ახალი ფურცლის დაწერის სურვილი ამოძრავებთ.

ჰოდა, თუ ასე გააგრძელეს, წინ დიდი წარმატებებიც ელით. "სიენის" დიზაინში ელეგანტურობა, ახალი მოდის სუნთქვა და უკიდურესი პრაგმატიზმი თვალშისაცემია. მასში არაფერია ზედმეტი: უკიდურესად მახვილი, დანასავით ბასრი ცხვირი უზარმაზარ რადიატორს იტევს, რომელსაც 12-ცილინდრიანი, 7.5 ლიტრი მუშა მოცულობის მქონე ძრავის გაგრილება ევალება.

ორივე კარების უკანა ნაწილში ძრავისთვის ჰაერის ამღები "ლაყუჩებია" ჩატანებული, რომლებიც, დაბალი სიჩქარით მოძრაობისას, "დაკეცილ" მდგომარეობაშია, მაგრამ რაც უფრო იზრდება მოძრაობის სისწრაფე, ისინიც ფართოვდებიან და ჯერ ერთი, ძრავისკენ უფრო დიდი რაოდენობის ჰაერს მიმართავენ, მეორეც, თავიანთი ფორმით ერთგვარი ელერონების ფუნქციასაც ასრულებენ, რაც აეროდინამიკური მახასიათებლების გაუმჯობესებასა და ავტომობილის გზის საფართან შეჭიდულობის ზრდას უზრუნველყოფს.

მანქანის მკაცრი, გეომეტრიული ფორმები ოდნავადაც არ იწვევს მისი ელეგანტურობის დაკნინებას. პირიქით, "სიენი" ყველა კუთხიდან სასიამოვნო სანახავია და თუ მსოფლიოს წამყვანი დიზაინერების პროგნოზს დავიმოწმებთ, მალე სწორედ ეს მოდელი უკარნახებს პირობებს მსოფლიო საავტომობილო მოდას.

ორიოდე სიტყვა "სიენის" შიგნეულობასა და აგრეგატთა შეთანწყობაზეც უნდა ითქვას. ზემოთაც მო- V12 არქიტექტურის მქონე 7.5-ლიტრიანი ძრავი, რომლის ბლოკებს შორის გაშლის კუთხეც 60 გრადუსს შეადგენს, რითაც მიღწეულია ამ უზარმაზარი აგრეგატის კომპაქტურობა და ის ადვილად თავსდება არცთუ დიდი ზომების მქონე ავტომობილის ბაზაში (მძღოლის სავარძლის უკან).

სპორტული ძრავების წარმოებაზე სპეციალიზებულ ინგლისურ კომპანია "კოსუორტთან" (ეს კომპანია "ფორდის" მფლობელობაშია) თანამშრომლობის შედეგად ინჟინრებმა ძრავის მაქსიმალური სიმძლავრე 750 ცხენის ძალით უზრუნველყვეს. ულტრათანამედროვე ელექტრონული ტექნოლოგიების საშუალებით, ეს მონსტრი სულაც არ ითხოვს უსაშველოდ დიდი რაოდენობის საწვავს. იმ შემთხვევაში, როცა მისი სრული სიმძლავრე საჭიროებას არ წარმოადგენს, ელექტრონული ტვინი ძრავის რამდენიმე ცილინდრს თიშავს ისე, რომ არ იზრდება ვიბრაცია და არც ძრავის ლიტრული სიმძლავრე ზარალდება, აგრეგატი ნაკლებ მყისიერ სიმძლავრეს გამოიმუშავებს, რაც კონკრეტულ ვითარებაში საკმარისი იქნება ეკონომიური რეჟიმით მოძრაობისათვის.

"სიენის" მზიდ ელემენტს წარმოადგენს კარბო და შუშამატერიით შექმნილი ეგრეთ წოდებული მონოკოკური შასი, რომელიც ძრავთან და გადაცემათა კოლოფთან კომპლექსში ერთიან მზიდ სისტემას ქმნის.

წინა საქარე მინის მცირე სეგმენტზე კი დამონტაჟებულია ღამის ხედვის სანავიგაციო სისტემა. ძრავიდან უზარმაზარი მაბრუნი მომენტი თვლებს ხუთსაფეხურიანი ნახევრადავტომატური ტრანსმისიის საშუალებით მიეწოდება. ყველა ამ "საოცრებამ" პირველი სერიოზული გამოცდა წარმატებით გაიარა ლე მანის შარშანდელ 24-საათიან რბოლაში.

წინასწარი ვარაუდით, ამ მოდელის ღირებულება 250 ათას დოლარზე მეტი იქნება, რაც იმას მოასწავებს, რომ მისით ტკბობა მხოლოდ მოკვდავთა შორის უმდიდრეს ადამიანთა ხვედრი იქნება.

### სატურნ სკაი

რაც შეეხება დანარჩენ კონცეპტუალებს, მათგან კონცერნის სამოდელო რიგში ადგილის დაკავების ყველაზე რეალური შანსი აქვს მოდელ "სკაის", რომელიც დივიზიონ "სატურნის" კონსტრუქტორთა შედევრია.

ეს დივიზიონი "ჯენერალ მოტორსმა" შედარებით გვიან, 80-იან წლებში ჩამოაყალიბა და ის იაპონე- ბის განმავლობაში "სატურნის" პროდუქცია ერთობ ცუდად იყიდებოდა ბაზარზე, რის გამოც ერთხანს კორპორაციის ხელმძღვანელობა მის დახურვასაც კი აპირებდა.

ახლა კი ჩანს, რომ დახურვა კი არა, "სატურნი" ახალ სეგმენტებში შეჭრას აპირებს. ყოველ შემთხვევაში, მოდელი "სკაი" სწორედ ამაზე მიუთითებს. ამ მანქანის რომელიმე კლასისადმი მიკუთვნება ძნელია. ნომინალურად, მას ორი სავარძელი აქვს, მაგრამ, საჭიროების შემთხვევაში, საბარგულის ადგილზე დამატებით ორი სავარძლის ჩადგმაა შესაძლებელი და მანქანაც რამდენიმე წუთში ოთხადგილიანი ხდება.

მის ტექნიკურ აღჭურვაზე "სატურნის" მესვეურთ კრინტიც არ დაუძრავთ, მაგრამ წინასწარი ვარაუდით, "სკაიზე" ის აგრეგატები იქნება გამოყენებული, რომლებსაც კარგად იცნობენ "სატურნის" მოდელების მომხმარებლები.

"სკაი" იმითაც იქცევს ყურადღებას, რომ მასზე ხელსაწყოების პანელი მძღოლისა და მგზავრის სავარძლებს შორისაა განლაგებული.

ეს კი იმას ნიშნავს, რომ იგი უპრობლემოდ შეიძლება იქნას მოდერნიზებული იმ ქვეყნების სტანდარტების შესაბამისად, სადაც მანქანებზე საჭე მარჯვენა მხარესაა მოთავსებული. ასეთ ქვეყნებს კი განეკუთვნება უზარმაზარი საავტომობილო ბაზრის მქონე იაპონია და დიდი ბრიტანეთი.

როგორც "ჯენერალ მოტორსის" აღმასრულებელი ბობ ლუტცი ამბობს, "სკაი" აუცილებლად გამოჩნდება ავტობაზარზე, ოღონდ მანამდე რამდენიმე რადიკალური მოდიფიკაციის გავლა დასჭირდება.

### GMC ტერა 4

ეს მოდელი "კუთხოვანთა" ახალი ტალღის კიდევ ერთი წარმომადგენელია. "სიენის" დარად, მასაც რამდენიმე წინამორბედი ჰყავს (ორი წლის წინ მას "ტერადინი" ერქვა, შარშან კი - "ტერაქროსი"), რომლებმაც ავტოსალონებსა და შიდაკორპორაციულ განხილვებზე მიღებული შენიშვნების შემდეგ საგრძნობი ცვლილება განიცადეს და "ტერა4"-ად მოგვევლინენ.

"ეს არის "ჯენერალ მოტორსის" ახალი დიზაინერული ფილოსიოფიის მომდევნო ნაბიჯი", - ასე ახასიათებს თავის ნამუშევარს "ტერა4"-ის მთავარი დიზაინერი კარლ ციპფელი, რომლის ამოცანაც, მუშაობის დაწყებამდე, ჯანიანი ავტომობილის შექმნა იყო, რასაც დიზაინერმა წარმატებით გართვა თავი და ისე ჩანს, მისი შემოქმედებაც მალე კონცეპტუალის შესაფერისი კვარცხლბეკიდან კონვეიერზე გადაინაცვლებს.

ეს კონცეპტკარი პიკაპთა "გვარს" განეკუთვნება და რაც ამერიკელებისთვის ნაკლებადაა დამახასიათებელი, ოთხივე თვალი წამყვანი და მართვადი ექნება, რითაც მიღწეული იქნება მისი მობრუნების ნაკლები რადიუსი. ეს კი ასეთი ზომის მანქანებისთვის დიდმნიშვნელოვანი თვისებაა.

უკვე გადაწყვეტილია, რომ "ტერა4" შევა "ჯენერალ მოტორსის" 2004 სამოდელო წლის სიაში. იგი ჰიბრიდული (დიზელისა და ელექტრომოტორები) აგრეგატებით აღიჭურვება, რისი საშუალებითაც, შესაბამის მოდელებთან შედარებით, 15 პროცენტით გაუმჯობესდება ეკონომიურობის მაჩვენებელი.

ყველა სიკეთესთან ერთად, თავისი ჰიბრიდული აგრეგატების წყალობით, საჭიროების შემთხვევაში, "ტერა4"-ის გენერატორად გამოყენებაც შეიძლება.

### დანარჩენები

ზემოთ ნახსენები სამი კონცეპტკარის გარდა წლევანდელ ავტოსალონებზე "ჯენერალ მოტორსმა" კიდევ ორი ახალი ნამუშევარი წარმოადგინა, რომელთაგან "შევროლე ბელაირი" თითქმის მზადაა წარმოებისთვის, "პონტიაკ სოლსტაისი" კი ჯერაც საჭიროებს გარკვეულ სრულყოფას.

"ბელ აირი" "შევროლეს" საწარმოო პროგრამაში ადრე ფიგურირებდა და ამ მხრივ, ახალი მოდელი ისტორიის გამოძახილია, თუმცა წინაპრებთან თითქმის არაფერი აქვს საერთო. ერთადერთი, რაც მას სიძველესთან აკავშირებს ისაა, რომ მის მზიდ ელემენტს წარმოადგენს ჩარჩო, რომელსაც დღეს "ჯენერალ მოტორსი" ოდენ პიკაპებისა და ჯიპების წარმოებისას თუ იყენებს და მსუბუქ ავტომობილებზე ათ წელზე მეტია, არ გამოუყენებია.

რაც შეეხება "სოლსტაისს", დღეისათვის მისი ორი განსხვავებული ვარიანტი არსებობს და ორივემ ავტოსალონებზე კარგი გამოხმაურება მიიღო. საქმე ისე მიდის, ორივე კონვეიერამდე საფუძვლიან შეჯერებას გაივლის და მერე ერთი მოდელის განსხვავებულ ვარიაციებად - კუპესა და როდსტერის სახით მოევლინებიან საავტომობილო სამყაროს. საბოლოო ვარიანტი "ჯენერალ მოტორსის" ახალ, 2-ლიტრიან ძრავ "ეკოტეკს" მიიღებს, რომელსაც 230 ცხენის ძალიანი სიმძლავრე ექნება.

"სოლსტაისი" იაფი კუპე-როდსტერების კლასში მოიპოვებს ადგილს და კონკურენციას გაუწევს ამ სეგმენტის ისეთ წარმომადგენლებს, როგორებიც არიან ინგლისური "ტრიუმფი" და MG.

***P.S.*** *დირბორნიდან მიღებული ბოლო ინფორმაციით, სუპერავტომობილ "სიენის" წარმოების დაწყება გაურკვეველი დროით გადაიდო, რის მთავარ მიზეზადაც "ჯენერალ მოტორსმა" შექმნილი არასახარბიელო ეკონომიკური გარემო დაასახელა. თუმცა, ეს როდი ნიშნავს იმას, რომ 750 ცხენისძალიან მონსტრს კონცერნის სამუზეუმო ექსპონატობა უწერია. როგორც კი ეკონომიკური მდგომარეობა გამოსწორდება, "სიენის" წარმოებას მწვანე შუქს აუნთებენ.*




*პონტიაკ სოლსტაისი*

# "ასტონ მარტინმა" ახალი სპორტკუპე წარმოადგინა

საერთოდ, ახალი მოდელების პრეზენტაციისთვის საავტომობილო კომპანიები დიდ ავტოსალონებს არჩევენ, რათა სიახლე დებიუტშივე იხილოს პოტენციურ მყიდველთა რაც შეიძლება დიდმა აუდიტორიამ.

ამ წესს ახლახან გადაუხვია ინგლისურმა კომპანია "ასტონ მარტინმა", რომელიც ამჟამად ამერიკულ კომპანია "ფორდის" კუთვნილებაში იმყოფება.

ინგლისელებმა თავიანთი ახალი სუპერავტომობილის, "ასტო მარტინ DB7 ძაგატოს" პრეზენტაციისთვის პებლ ბიჩის ელეგანტურობის კონკურს-ფესტივალი აირჩიეს, რომელიც აგვისტოს მეორე ნახევარში ჩატარდა ამერიკაში.

სიახლე მის წინამორბედ DB7-ის ბაზაზეა შექმნილი, თუმცა მისგან რადიკალურად განსხვავდება, პირველ რიგში, ძარის დიზაინითა და მოდერნიზებული შასით.

ისევე როგორც სახელ "ძაგატოს" მატარებელი ამ მარკის სხვა ავტომობილები, სიახლეც შეზღუდული რაოდენობით, სულ რაღაც 75-90 ეგზემპლარად დამზადდება და, მეტისმეტად სოლიდური ფასის გამო, მხოლოდ "ამა ქვეყნის ძლიერთათვის" იქნება ხელმისაწვდომი.



"ასტონ მარტინი"-ს ახალი მოდელი

აღსანიშნავია, რომ კომპანია "ასტონ მარტინის" თანამედროვე ისტორია 1960 წლიდან იღებს სათავეს, როცა იტალიურმა საავტომობილო ატელიე "ძაგატომ" ინგლისური მარკისთვის განუმეორებელი გარეგნობის პირველი ავტომობილი შექმნა.

მოგვიანებით, 1986 და 1987 წლებში, "ძაგატომ" "ასტონ მარტინისთვის" კიდევ ორი მოდელი, "ვოლანტე" და "ვენტიჯი" დაამუშავა და, ბუნებრივია, ამ მოდელებს სახელწოდებაში იტალიური ატელიეს სახელიც დაემატათ.

იტალიელებთან თანამშრომლობის მოკლე ისტორია იმიტომ უფრო მოვყევით, რომ ახალ "DB7 ძაგატოს" გარეგნობაში თვალშისაცემია 1960 წლის მოდელის ფორმები. განსაკუთრებული ფორმებით გამოირჩევა ავტომობილის უკანა ნაწილი და წინ განთავსებული რადიატორის უზარმაზარი ჰაერამღები.

1960 წლის მოდელ "DB4 GT ძაგატოს" მოგვაგონებს ახალი მოდელის უკანა ფრთებისა და გვერდითი შუშების მოყვანილობა. ამ უკანასკნელს, თავისი წინაპრის მსგავსად, უკანა ნაწილში დახრა მოძრაობის საწინააღმდეგოდ აქვს მიცემული, რაც შესაძლოა, ერთგვარ დისონანსშია მანქანის ფორმებთან, მაგრამ მაინც კარგად ერწყმის მის დახვეწილ დიზაინს და ავტომობილის ინდივიდუალურობას უსვამს ხაზს.

რაც შეეხება ავტომობილის ტექნიკურ აღჭურვილობას, მის "მკერდში" 6-ლიტრიანი, V12 კონფიგურაციის "გული" განლაგდება, რომელიც ექვსსაფეხურიანი მექანიკური გადაცემათა კოლოფის საშუალებით უზარმაზარ მაბრუნ მომენტს წამყვან უკანა თვლებს მიაწვდის.

მართალია, "ასტონ მარტინი" ჯერაც არაფერს ამბობს ავტომობილის დინამიკურ პარამეტრებზე, მაგრამ ადვილი მისახვედრია, ის გაცილებით უფრო სწრაფი იქნება, ვიდრე საბაზო მოდელი, რაც უფრო მცირე ძარის საშუალებით მიიღწევა.

დამოკლებული ბაზისა და მოდერნიზებული დაკიდების სისტემის საშუალებით, გაუმჯობესდება ავტომობილის ისედაც დიდებული მართვადობა, რაც დიდი სისწრაფის მქონე მანქანისთვის ერთ-ერთი უმთავრესი მაჩვენებელია.

"ასტონ მარტინი" თავის სიახლეს პარიზის ავტოსალონზეც წარადგენს და სწორედ მაშინ დაიწყება მასზე შეკვეთების მიღება, თუმცა ავტომობილის წარმოების დაწყება მხოლოდ მომავალი წლის დასაწყისიდანაა ნავარაუდევი.

## "ბენტლი" და "როლს როისი" მალე დაშორდებიან

1931 წლიდან მოყოლებული, ინგლისური კომპანიები "როლს როისი" და "ბენტლი" ერთად ფუნქციონირებდნენ, მაგრამ 1998 წელს, გაჭიანურებული ფინანსური კრიზისის შემდეგ, ინგლისურ თავდაცვითი კომპანია "ვიკერსისგან" ისინი რვათვიანი აუქციონის შემდეგ, 786 მილიონ დოლარად შეიძინა გერმანულმა ავტოგიგანტმა „ფოლკსვაგენმა".

აუქციონში მეორე გერმანული კომპანია, „ბეემვეც" მონაწილეობდა, მაგრამ მან ვერ შეძლო ინგლისელთა მოთხოვნების დაკმაყოფილება და საქმის გარეთ დარჩა. თუმცა, ბავარიელები "როლს როისს" ძრავების მიწოდების შეწყვეტით დაემუქრნენ, რის შემდეგაც „ვიკერსმა" ამ კომპანიას 93 მილიონ დოლარად დაუთმო "როლს როისის" სახელის გამოყენების უფლება (თავის დროზე "ბეემვე" სწორედ "როლს როისის" გერმანული ქარხნების ბაზაზე შეიქმნა) და ეს გარიგება ძალაში შედის მომავალი წლის 1 იანვრიდან.

იმავდროულად, ბავარიელებმა შეთანხმებას მიაღწიეს "ფოლკსვაგენთანაც", რომელმაც "როლს როისის" მარკის გამოყენების უფლება სწორედ 2003 წლის 1 იანვრამდე შეინარჩუნა, ამის შემდეგ კი თავისთვის დაიტოვებს "ბენტლის".

მოკლედ, მომავალი წლიდან ორი ძირძველი ინგლისური კომპანია ერთმანეთისგან დამოუკიდებლად იარსებებს და ორივე გერმანული გიგანტების მფლობელობაში იქნება, რითაც კიდევ უფრო გამკაცრდება კონკურენცია უმაღლესი კლასის ლიმუზინების სეგმენტში.

როგორც "ბენტლის" ამერიკული წარმომადგენლობის აღმასრულებელი ელესდირ სტიუარტი იუწყება, მომავალი წლიდან ამერიკაში დაიწყება ამ მარკის უახლესი მოდელის "ბენტლი GT"-ს გაყიდვა, რომლის ღირებულებაც 100 ათასი დოლარი იქნება. წინასწარი ვარაუდით, ამ მოდელის ამერიკულ ბაზარზე გამოჩენა უახლოეს სამ წელიწადში გაასამმაგებს გაყიდვებს, რაც ამჟამინდელი 600-დან 1800-მდე გაიზრდება.

იმავდროულად, ამერიკულ ბაზარზე გამოჩნდება "ბეემვეს" კუთვნილი "როლს როისებიც", რომელთა ღირებულებაც 350 ათასი დოლარი იქნება და ისინი "ბენტლისთან" ერთად კონკურენციას გაუწევენ "მერსედეს-ბენცის" მიერ მიმდინარე სამოდელო წლის დასაწყისში გამოშვებულ სუპერმოდელ "მაიბახს", რომლის ღირებულებაც 300 ათას დოლარზე მეტს შეადგენს.

აღსანიშნავია, რომ, ორი ინგლისური კომპანიის დაშორების მიუხედავად, მომავალშიც მათი დილერები ორივე მარკის ავტომობილების გაყიდვას აპირებენ. ამასთან, მომავალი წლიდან "ფოლკსვაგენი" "ბენტლის" სადილერო ქსელის გაფართოებასაც გეგმავს.

## ნახავ და მოგეწონება...

ჯერაც ერთი წელია დარჩენილი, სანამ "იაგუარის" ახალი ფლაგმანი დღის სინათლეს იხილავდეს, მაგრამ პაპარაცებს ხომ ყველგან და ყველაფერზე მიუწვდებათ თავიანთი ფოტოაპარატების ობიექტივი - მათ ამჯერადაც გამოიჩინეს თავი და, შედეგად, ამერიკულმა გამოცემა "ქარ კონექშენმა" სააშკარაოზე გამოიტანა ინგლისური კომპანიის ახალი მოდელის (XJ) ფოტოსურათები.

ეს ავტომობილი, რომელიც საგზაო გამოცდებს კამუფლირებულ "კოსტიუმში" გამოწყობილი გადის, პირველად ინგლისის ბაზარზე გამოჩნდება 2003 წლის შემოდგომაზე, მომდევნო სამოდელო წლიდან კი მისი მარცხენასაჭიანი ვარიანტი დანარჩენ მსოფლიოსაც ეწვევა.

თუმცა, არის ვარაუდი, რომლის თანახმადაც, XJ-ს დებიუტი წლევანდელ პარიზის ავტოსალონზევე შედგება, მისი გაყიდვა კი მომავალი წლის იანვარშივე დაიწყება.

სურათებიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ახალი ავტომობილი, რომლის კოდური სახელწოდებაცაა X350, წინამორბედთან შედარებით უფრო გრძელი, განიერი და მაღალი იქნება. მაღალი ჭერი მძღოლსა და მგზავრებს გაცილებით მეტ კომფორტს შეუქმნის.

როგორც მისი შემქმნელები აცხადებენ, ახალი ავტომობილის პროექტირებისას პრიორიტეტული მნიშვნელობა ენიჭებოდა სწორედ კომფორტის, ხარისხისა და პასიური და აქტიური უსაფრთხოების გაზრდას.

ახალი მოდელი ისეთ ავტორიტეტებს გაუწევს კონკურენციას, როგორებიცაა "მერსედეს-ბენცის" S-კლასის, "ბეემვეს" მე-7 სერიის ავტომობილები, "აუდი A8" და სხვები.

კონსტრუქტორებმა ყველაფერი იღონეს ავტომობილის სალონის მაღალი კომფორტულობის მისაღწევად. საგრძნობლად წინ წაიწია წინა თვლებმა, რის შედეგადაც ასევე წინ გადაინაცვლა ძრავამ და სალონისთვის მეტი ადგილი დარჩა.




"იაგუარი XJ"

ამასთან, დიზაინერთა ამოცანა იყო, შეენარჩუნებინათ ამ კლასის "იაგუარების" იმიჯი. უნდა ითქვას, რომ მათ მშვენივრად გაართვეს თავი დასახულ ამოცანას. შენარჩუნებულია ამ მარკისთვის დამახასიათებელი საერთო სილუეტი, რომელშიც განსაკუთრებული ადგილი უკავია მკვეთრად დახრილ, დიდ საბარგულს, რაც "იაგუარის" ერთგვარი საფირმო ნიშანია და ყოველთვის ხაზს უსვამს მის ელეგანტურობას.

იმავდროულად, ახალი მოდელის დიზაინში შეინიშნება მოდელ X-ტაიპისთვის დამახასიათებელი გარეგნობა და, მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელი კლასით უფრო დაბლა დგას, ვიდრე მოდელი XJ, ამით ახალ ავტომობილს სულაც არ ეკარგება გრაციოზულობა.

ჯერჯერობით, ახალი მოდელისთვის გათვალისწინებულია მხოლოდ ორი ძრავა. ერთია სრულიად ახალი, 3.5-ლიტრიანი აგრეგატი, რომელიც 250 ცხენის ძალას ავითარებს, მეორე კი - 4.3-ლიტრიანი V8, რომლის სიმძლავრეც 300 ცხენის ძალას აღემატება. მოგვიანებით მათ, ალბათ, დაემატება "ფორდის" წარმოების "დურატეკის" სერიის სამლიტრიანი ძრავა, რომელიც ახალი ავტომობილის ყველაზე ხელმისაწვდომი ვერსიებისთვის იქნება განკუთვნილი.

რა თქმა უნდა, დებიუტიდან გარკვეული დროის შემდეგ მყიდველს შესთავაზებენ პრესტიჟულ მოდიფიკაციას, რომელსაც ინდექსად XJR ექნება და მასზე დაიდგმება 400 ცხენისძალიანი V8, მოდერნიზებული დაკიდების სისტემა, გაძლიერებული მუხრუჭები. ეს ვერსია ოდნავ განსხვავებულ გარეგნობასაც მიიღებს და იგი კომპანია AMG-ს მიერ წარმოებულ "მერსედეს S55"-ს გაუწევს კონკურენციას.

## "როლს როისმა" და "ბენტლიმ" ავტომობილები გაიხმეს

ამერიკის დილერთა ასოციაციის ცნობით, "როლს როისმა" და "ბენტლიმ" საერთო ჯამში 2085 ავტომობილი გაიხმო უკან, რადგან მათ სამუხრუჭე სისტემაში შემჩნეულია დეფექტი, რასაც, შესაძლოა, ავარიები მოჰყვეს.

კომპანიების მიერ ჩატარებული შემოწმების შედეგად გაირკვა, რომ ამ ავტომობილების სამუხრუჭე სისტემაში შესაძლოა ჰაერის შეწოვა, რასაც შედეგად მოჰყვება სისტემის ეფექტიანობის მკვეთრი დაცემა.

უკან გახმობილ ავტომობილთა შორის ფიგურირებს ისეთი მოდელები, როგორებიცაა "როლს როის სილვერ სერაფი", "როლს როის პარკ უორდი", "ბენტლი ერნიჯი" და "ბენტლის" ლიმუზინები.

იმავდროულად, "ბეემვეს" ამერიკულმა დივიზიონმა უკან გაიხმო უგზოობის მოდელ (ჯიპებს ასეც უწოდებენ) X5-ის 2000-01 სამოდელო წლებში გამოშვებული 34860 ეგზემპლარი, რომლებსაც ხინჯი აღმოაჩნდა სამუხრუჭე სატერფულებში.

"დაიმლერ კრაისლერმა" შესამოწმებლად გაიხმო ამერიკულ დივიზიონ "კრაისლერის" მოდელ "სებრინგის" 1996-97 სამოდელო წლების 88000 ეგზემპლარი, რომლებსაც აქსელერატორებში აღმოაჩნდათ ტექნიკური წუნი.

## "პორშე კაიენი" ლაიფციგში დამზადდება

20 აგვისტოს, ლაიფციგში, "პორშემ" გაიხსნა ახალი ქარხანა, რომლის პრეზენტაციასაც "პორშეს" მთავარ აღმასრულებელ ვენდელინ ვედეკინდთან ერთად გერმანიის კანცლერი გერჰარდ შრიოდერიც დაესწრო.

პარალელურად, 1300 სტუმრის თვალწინ მასპინძლებმა პირველად წარმოადგინეს თავიანთი ახალი მოდელი - უგზოობის ავტომობილი "კაიენი", რომელიც მომავალი წლიდან "პორშეს" სამოდელო რიგს სამამდე გაზრდის და სპორტული მოდელების, "ბოქსსტერისა" და "კარერა 911"-ის გვერდით დაიკავებს ადგილს.

ახალი საწარმოს ასაშენებლად "პორშემ" 128 მილიონი ევრო გაიღო. ქარხანა ორწელიწადნახევარში აიგო და პირველ რიგში სწორედ მოდელ "კაიენს" გამოუშვებს. საწარმოს გარდა, ახალი ქარხნის შემადგენლობაში შედის სატესტო ტრეკი, რომელზეც, "პორშეს" მოდელების გარდა, სხვა კომპანიის ავტომობილებიც გაივლიან ტესტირებას.

"დღეიდან ჩვენი კომპანიისთვის ცუფენჰაუზენის შემდეგ ლაიფციგი მეორე სახლია", - განაცხადა ვედეკინდმა, რომელმაც დასძინა, რომ "პორშეს" მოდელები გერმანიის აღმოსავლეთის ამ ძველ ქალაქს მთელ მსოფლიოში გაუთქვამს სახელს.

მოდელ "კაიენის" მსოფლიო პრემიერა შედგება პარიზის ავტოსალონზე, რომელიც 28 სექტემბერს გაიხსნება. ვერსალის საგამოფენო ცენტრის პავილიონში მნახველს შეეგებება მოდელის ორი მოდიფიკაცია - S და "ტურბო". ორივე მოდიფიკაცია შტუტგარტსა და ცუფენჰაუზენში წარმოებული V8 კონფიგურაციის, 4.5-ლიტრიანი ძრავებით აღიჭურვება და მათი ღირებულება, კომპლექტაციის ხარისხის მიხედვით, 70-100 ათასი დოლარის ფარგლებში იქნება.

## არარსებული "კადილაკები" უკვე გაიყიდა

"ჯენერალ მოტორსის" ლუქსის კლასის ავტომობილების მწარმოებელი დივიზიონი "კადილაკი" წლეულს დაარსების 100 წლისთავს აღნიშნავს. ამასთან დაკავშირებით კომპანია თავისი მყიდველისთვის რამდენიმე სიახლეს ამზადებს.

ამ სიახლეთაგანია მოდელი XLR, რომელიც როდსტერთა კლასს განეკუთვნება და რომლის დებიუტიც პარიზის ავტოსალონზეა დაგეგმილი. მისი გაყიდვები მომავალი წლის დასაწყისიდანვე დაიწყება, მაგრამ "კადილაკმა" პირველი 101 ავტომობილის გაყიდვა "ნიემან მარკუსის" კატალოგს მიანდო და უკვე მიიღო კიდეც შეკვეთების სრული პაკეტი.

85 ათას დოლარად ღირებული სპორტული ავტომობილის მისაღებად მყიდველი "ნიემან მარკუსს" დეპოზიტის სახით 7.5 ათას დოლარს უხდის, დარჩენილ თანხას კი შეკვეთის შესრულების შემდეგ ამატებს.

აღსანიშნავია, რომ თავის დროზე სწორედ "ნიემან მარკუსის" კატალოგის საშუალებით გაყიდეს "აუდიმ" და "ფორდმა" თავიანთი ბესტსელერები - "აუდი" TT და "ფორდ ტანდერბირდი".

## ტყვიაგაუმტარი საბურავი ლურსმანმა გახვრიტა

"მერსედეს-ბენც S320", რომელიც ცოტა ხნის წინ იყიდა სამხრეთ აფრიკის მეფემ და მასში 1.690 მილიონი დოლარი გადაიხადა, იმითაა გამორჩეული, რომ ის აღჭურვილია ტყვიაგაუმტარი საბურავებით, მაგრამ...

სულ რაღაც ორ დღეში, მეფის მორიგი მგზავრობისას, საბურავი ჩვეულებრივმა ლურსმანმა დააზიანა. დილერი, რომლისგანაც სამეფო კარმა შეიძინა ავტომობილი, აცხადებს, რომ ახალი ბორბლის გერმანიაში შეკვეთა 1600 დოლარი დაჯდება.

თურმე ნუ იტყვით და, საბურავებს, რომლებსაც ტყვიის არ ეშინიათ, სულ ადვილად აზიანებენ ბასრი საგნები, როგორიცაა ჩვეულებრივი ლურსმანი. ჰოდა, უძახე ასეთ ბორბალს ტყვიაგაუმტარი...

## ჟონხუა - "ბრილიანს ჩინას" ახალი მინიავტობუსი

მინიავტობუსების უდიდესმა ჩინურმა ავტოკომპანია "ბრილიანს ჩინა ოტომოტივ ჰოლდინგმა" მედიას წარუდგინა თავისი კონსტრუქციის პირველი სედანი, მოდელი "ჟონხუა", რომლის გაყიდვაც მომავალი წლიდან დაიწყება.

170 ათასი იუანის (20 ათასი დოლარი) ღირებულების ავტომობილი 2-ლიტრიანი ძრავებით აღიჭურვება და მისი მაქსიმალური სიჩქარე 190 კმ/სთ იქნება. კომპანიის ვარაუდით, მომავალ წელს იგი 30 ათასიანი ტირაჟით უნდა გაიყიდოს.

"დღეს ჩვენ პირველ ნაბიჯს ვდგამთ სედანების სექტორში. ჩვენი პროგნოზით, უახლოეს ხუთ წელიწადში 180-200 ათას "ჟონხუას" გავყიდით, მომდევნო ათწლეულში კი გაყიდვის მოცულობა 400-450 ათასს მიაღწევს, რითაც ჩვენს აქციონერებს მაქსიმალურ მოგებას მოვუტანთ", - განაცხადა კომპანიის მთავარმა აღმასრულებელმა სუ ქიანგმა.

"ჟონხუა" "ბრილიანს ჩინას" პირველი საკუთარი ნაწარმია, რომლის შექმნაშიც მონაწილეობა მიიღო კომპანია "შენიანგ ბრილიანს ოტომოტივმაც". აღსანიშნავია, რომ ამ უკანასკნელს მალე სახელად "შენიანგ ჯინბეი ოტომოტივი" დაერქმევა სახელად.

## "დოჯი" მალე მსოფლიო მარკა გახდება

"დაიმლერ კრაისლერის" გადაწყვეტილებით, უახლოეს მომავალში დივიზიონ "დოჯის" მოდელები მთელი მსოფლიოს მასშტაბით გაიყიდება.

"კრაისლერის" ვიცე-პრეზიდენტმა ჯიმ შრიოერმა განაცხადა, რომ ეს გადაწყვეტილება შედეგია იმ პოპულარობისა, რომლითაც მთელ მსოფლიოში სარგებლობენ "დოჯ ვაიპერი" და "დოჯის" პიკაპები.

"ჩვენ ვაპირებთ, ეს მარკა ამერიკის ფარგლებს გარეთ გავიტანოთ და მთელ მსოფლიოში დავამკვიდროთ", - განაცხადა პებლ ბიჩის კლასიკური ავტომობილების ტრადიციულ შოუზე შრიოერმა.

მანვე დასძინა, რომ დეტროიტში პირველად წარდგენილმა მცირე პიკაპმა M80-მა მთელი მსოფლიოდან კარგი გამოხმაურება მიიღო, რის გამოც კომპანია მალე ამ კონცეპტუალური მოდელის წარმოების დაწყებას აპირებს.

შრიოერის თქმით, "დოჯის" პოპულარობა დიდად განაპირობა ამ მარკის ავტომობილების წარმატებებმა ლე მანის 24-საათიან რბოლებში. "დაიმლერ კრაისლერი" საფუძვლიანად მიიჩნევს, რომ "დოჯის" ევროპასა და ავსტრალიაში შეტანით ტრანსკონტინენიტური კორპორაციის გაყიდვები შესამჩნევად გაიზრდება.

არადა, დღეისათვის "დაიმლერ კრაისლერის" ამერიკული ფრთის მოდელები ევროპაში მხოლოდ "ჯიპ ჩეროკითაა" წარმოდგენილი, სხვა მოდელები კი იმდენად მცირე რაოდენობით იყიდება, რომ მათი სათვალავში მიღებაც კი უხერხულია.

## 500 მილიონი დოლარი ოჰაიოს ქარხნისთვის

"ჯენერალ მოტორსმა" გამოაცხადა, რომ ოჰაიოს შტატის ქალაქ ლორდსთაუნში მდებარე საქარხნო კომპლექსის მოდერნიზაციისთვის 500 მილიონ დოლარს გაიღებს. ამ ქარხანაში 2004 წლიდან მცირელიტრაჟიანი ავტომობილების წარმოებაა გათვალისწინებული.

მოდერნიზაციის შემდეგ ეს ქარხანა მსოფლიოში უდიდესი საავტომობილო საწარმო გახდება. დღეისათვის ლორდსთაუნში "შევროლე კავალერისა" და "პონტიაკ სანფაირის" წარმოება მიმდინარეობს.

მიუხედავად იმისა, რომ ეს მოდელები საკმაოდ მოძველებულია, მაინც კარგად იყიდება და კონცერნი მათ მოდიფიცირებას ჯერჯერობით არ გეგმავს.

საავტომობილო პროფესიულ კავშირებთან შეთანხმებით, "ჯენერალ მოტორსი" ქარხნის მოდერნიზაციის შემდეგ არ შეცვლის მომუშავეთა რაოდენობას. დღეისათვის ლორდსთაუნის საავტომობილო ქარხანაში 4500 ადამიანი მუშაობს, მის შვილობილ მეტალურგიულ ქარხანაში კი 2600 ადამიანია დასაქმებული.

## ბინები

### იყიდება

იყიდება ფიქრის გორაზე, საუნა, აუზი, კინოდარბაზი .... ფასი 250000. ხედით ყაზბეგის და უნივერსიტეტის მხარეს. ტელ: 899 961060, 233306.

იყიდება ბინა ვერაზე, მჟავანაძის სახლთან, ახლმშენებარეში. 1კვ/მ - 350, თითქმის გერმანული სადარბაზო, ორი ავტოფარეხით. ტელ: 899 18 00 50 შალვა ან 22 03 61 მარიკა.

იყიდება მშენებარე ბინა ფიქრის გორაზე. "ცკ"-ს სახლის პირდაპირ. "უცხოელი მენავთობეების სახლში". 1მ/კვ - 350. გადახდა ეტაპობრივი. ტე;: 23 33 07, 22 12 57 ან 8777 39300

იყიდება 1-ოთახიანი, გარემონტებული ბინა მე-2 სართულზე, რუსთავში. მიოს: ლეონიძის №2-37. ტელ: 8(24) 15-42-62

იყიდება ბინები ვაკეში "ფრანციასთან", თითქმის პირდაპირ ახალმშენებარე სახლში. სახლს დარჩება 1300კვ/მ ეზო ბავშვებისთვის, ავტოფარეხებით. ფ. 1მლ 370000. ტელ: 899 96 10 60, 23 33 07

იყიდება ან იცვლება ნაკლებ ფართზე 2-ოთახიანი ტიპური ბინა. 4(8), წერეთელზე. 34 61 29

იყიდება 3-ოთახიანი 170 კვ.მ. ბინა ჩუღურეთში. ფასი შეთანხმებით. 95 76 76

იყიდება 3-ოთახიანი ბინა რუსთავში, სასტუმროსთან. 8(24) 15 38 64

იყიდება იაფად "ჩეხური" 2-ოთახიანი, მიშენებით. საირმის ქუჩაზე. 37 41 09

იყიდება 2-ოთახიანი ბინა დოლიძეზე. 6(8). 33 03 77

იყიდება 3-ოთახიანი ბინა კოლმეურნეობის მოედანზე. 93 10 22, 8(99) 91 44 05

იყიდება 2-ოთახიანი სუფთა ბინა ლოჯიით. ლენინგრადის პროექტი. გაგარინის მოედანზე. 37 00 01

იყიდება 2-სართულიანი სახლი საგარეჯოს რაიონის სოფ. პატარძეულში. 67 23 18, 57 56 12

იყიდება 2 და 1-ოთახიანი გაერთიანებული ბინა. გურამიშვილის გამზირი №7. 61 73 84

იყიდება 1-ოთახიანი ბინა მეტრო "დელისთან". 34 49 02

იყიდება 4-ოთახიანი ბინა დიღმის მასივში, მეტრო "დიდუბესთან" ახლოს. 8(9). 52 73 72

იყიდება 3-ოთახიანი დიდ დიღომში. 53 82 24

იყიდება გარემონტებული 4-ოთახიანი ვერაზე, ლარსის №1.

იყიდება კერძო სახლი 2 ოთახით, 260 კვ.მ. ნაკვეთით ნაძალადევში, კოკინაკის №7. 69 62 83

იყიდება 3-ოთახიანი ლვოვის პროექტის ბინა მე-6 სართულზე. დ/დიღომი. მე-3 მკრ. 98 31 32

იყიდება 2,5-ოთახიანი ძველი რემონტიანი ბინა რუსთაველზე, "ნიკალასთან" ახლოს. ბელეტაჟზე. იტალიურ ეზოში. იზოლირებული, რკინის კარით. სვ. წერტილები ცალ-ცალკე, ტელეფონით, დიდი პერსპექტივით. ბოლო ფასი 12 000. 98 52 81 საღამოს

სასწრაფოდ! იყიდება სამოთახიანი ბინა პ. ლოჯიით 7(9). ჩოლოყაშვილის (ყოფ. 5 დეკემბრის) ქუჩა I კვარტალში. სუფთა მდგომარეობაში. ა/ფარეხით. ბოლო ფასი 10 6000. გაფორმებით. 98 52 81 საღამოს

სასწრაფოდ! იყიდება 2,5-ოთახიანი 75 კვ.მ. ფართის ბინა +42 კვ?მ. მიშენება ბახტრიონის ქუჩაზე, მე-3 სართულზე. ძველი კაპიტალური რემონტით. მიშენება დამთავრებულია. სჭირდება შიდა რემონტი. ბ. ფასი 25 000. 98 52 81 საღამოს

სასწრაფოდ! იყიდება კუთხის, ჩეხური პროექტის 140 კვ.მ. ფართის 4-ოთახიანი ბინა ნუცუბიძის II ფერდობის I მკრ. მე-3 სართული. ბინაში გამოცვლილია ელგაყვანილობა, გალესილია მაიაკში. გასაკეთებელია "სტიაჟკა", კაფელი და მალიარკა. არის ა/ფარეხის ადგილი სამი კედლით. ს/ფასი 21.500. 8(99) 51 58 54

სასწრაფოდ! იყიდება ახალაშენებული ორსართულიანი სახლი ევროდიზაინით, ეზოთი, ბაღით. ორთაჭალის ბაღში. დარჩენილია შიდა სამუშაოები. ევრორემონტით 80 000 ათასი და ურემონტოდ 65 000. 8(99) 51 58 54

სასწრაფოდ! იყიდება ვერაზე 300 კვ.მ. ფართის ბარსკი ბინა კარგი რემონტით მე-3 სართულზე, ა/ფარეხით, სარდაფით, ავტ. გათბობით. ბინა ყოველთვის ქირავდებოდა უცხოელებზე. ს/ფასი 100 000. 8(99) 51 58 54

სასწრაფოდ! იყიდება 140 კვ.მ. ფართის 4-ოთახიანი ბინა დიდი სამზარეულოთი, პატარა ეზოთი მეორე სართულზე. ა/ფარეხით. პირველ სართულზე ერთი ოთახი 22 კვ.მ. ვერაზე, ბარნოვის ქუჩაზე კარგი ავეჯით, სიგნალიზაციით, ტექნიკით. ბინა სუფთა მდგომარეობაშია. ბოლო ფასი 73 000. ყველაფრით. 98 52 81 საღამოს

ქალაქ რუსთავში იყიდება 2-ოთახიანი ბინა, ბ/აირით, ტელეფონით. 178331

იყიდება 3-ოთახიანი კუთხის ბინა ვაჟა-ფშაველას IV კვარტალი, მე-X კორპუსი. 316168

იყიდება 1-ოთახიანი ვაჟა-ფშაველას 4-ე კავარტალში, მე-5 სართულზე. ფასი 6500 ტელ: 30-83-45.

იყიდება 3-ოთახიანი მოსკოვის პროექტის სუფთა ბინა სანზონაში. მ ღრმაღელესთან. ტელეფონით, ბ/აირით, ავეჯით. ტელ: 61-59-13.

იყიდება 2-ოთახიანი გერემონტებული ბინა 7(8) სართულზე, ლოჯით, რკინის კარებით, ტელეფონით, ბ/აირით, ჩაშენებული კარადებით მეტრო "სამედიცინოსთან". ფასი 16000. ტელ: 38-26-56; 8 (77) 717775.

იყიდება 4-ოთახიანი ბინა დიღმის მასივში 8(9). 52-73-72.

იყიდება 3-ოთახიანი ბინა ა. ყაზბეგის 18-ში. 39-36-57

იყიდება 4-ოთახიანი ჩეხური პროექტის სუფთა ბინა (მიერთებული საშრობით) მეტრო პოლიტექნიკურთან. საბურთალო-კუტუზოვის პირველ კორპუსში. 38-75-75.

იყიდება 4-ოთახიანი ბინა ავტოფარეხით, ბ/აირით, ტელეფონით, ვაშლიჯვარში, კინოსტუდიის სახლი. 53-06-68.

იყიდება ვერაზე, გოგებაშვილის ქუჩაზე კერძო, ზოიანი ბინა 55 000-ად. 99-99-97.

იყიდება დიღმის მასივში 4-ოთახიანი ბინა 8(9) სართულზე. მეტროსთან ახლოს. ბ/აირით და ცხელი წყლით. 52-73-72.

ვყიდი 4-ოთახიან ბინას ნაძალადევის ცენტრში. გარემონტებული. საწყისი ფასი 22 000. 96-46-90

იყიდება სახლი დიღომში ორსართულიანი მანსარდით, ხეხილითა და გაზით, მუდმივი წყლით, ბ/ აირით. 60-29-74, 96-31-94.

იყიდება 3-ოთახიანი ლვოვის პროექტის ბინა დ/დიღომში 6(9) სართულზე. ფასი 6500. 98-31-32.

სასწრაფოდ იყიდება 4-ოთახიანი ბინა ვარკეთილის 3-ში, II მკ/რ. 61 47 33

იყიდება ან ქირავდება კერძო სახლი დიდი ეზოთი დოლიძის ქუჩაზე. 33 22 54

იყიდება 2-ოთახიანი სუფთა ბინა 7(8), წერეთელზე, გამოფენის პირდაპირ. ს/ფ. 12 800 $. 34 42 40, 8(99) 26 05 64

იყიდება 3-ოთახიანი პრივატიზებული ბინა კოლმეურნეობის მოედანზე. 93 10 22

იყიდება კერძო სახლი, 260 კვ.მ. მიწის ნაკვეთით, ნაძალადევში. 7000-ად. 69 62 83

იყიდება 2-სართულიანი სახლი თელავის ცენტრში. საწყისი ფასი 1 800. 76 62 45

იყიდება მშენებარე 1-სართულიანი სახლი. გუთნის ქ. №20. სასტუმრო მეტეხის უკან. 96 92 19

იყიდება მშენებარე აგარაკი ნორიოს ხეობაში. ცენტრალური გზიდან 1 კმ-ის დაშორებით. 2-სართულიანი კაპიტალური შენობა მანსარდით. 2500 $. 39 85 14

იყიდება 3-ოთახიანი ბინა მიშენებით თემქის დასახლებაზე. ავტოფარეხით. მეტრო "გურამიშვილთან". ფასი შეთანხმებით. 60 52 84

იყიდება 1,5-ოთახიანი გადაკეთებული 2-იანად, გადიდებული ლოჯიით და აივნით, ზემო ვერაზე. V სართული. რემონტით. 15.000-ად. 29 25 97

სასწრაფოდ იყიდება ვაკეში სახლი დიდი ვერანდით, ტალავერით, ეზოთი. შატბერაშვილის ქუჩაზე. 53 54 81

იყიდება 2-ოთახიანი ბინა ბოგდან ხმელინსკის ქუჩაზე 5(5) სართული. ნახევრად გარემონტებული. 4500-ად. 71 78 51

იყიდება 3-ოთახიანი ბინა გლდანის VII მკრ/ში, ავტოფარეხით და ტელეფონით. VIII სართულზე. 37 88 77

იყიდება საკუთარი სახლი 4 ოთახით, ყველა პირობით და 1 ოთახი შუშაბანდით ყველა პირობით, მთლიანი მიწის ნაკვეთი 345 კვ.მ. მეტრო "300 არაგველი", პირველი დოლაბაურის ქ. №1.

იყიდება კერძო სახლი ხეხილიანი ეზოთი მეტრო "სამგორთან" ახლოს. სულ ეზოიანად 500 კვ.მ. სახლი 150 კვ.მ. ტელეფონით, სველი წერტილებით. 13 000 $. გუდარეხის ქ. № 83. 71 92 85

იყიდება 1-ოთახიანი კუთხის ბინა ლოჯიით მეტრო "ისანთან" ახლოს. 7(10) სართული. საწყისი ფასი 6 500 $. 93 66 78 (დღე), 74 59 81 (საღამოს)

იყიდება 3-ოთახიანი ლვოვის პროექტის ბინა დიდ დიღომში. III მ/რ-ნი. მე-6 სართული. 98 31 32.

იყიდება 3-ოთახიანი ბინა ჭავჭავაძის პროსპექტზე (მე-9 საავადმყოფოს პირდაპირ). 5(5). მზიანი ლოჯიით, სარდაფით, ბუნებრივი აირით. 22 25 00

2,5 ოთახიანი ყავლაშვილის პროექტის სუფთა ბინა რკინის კარებით. VIII/10 – გლდანის IIIა მკ/რ. ფასი 5000. ტელ: 52 09 36.



იყიდება ორთაჭალაში რესტორან "თამარიონთან" კერძო სახლი ეზოთი. ფასი 160 000$. ტელ: 98-52-81

იყიდება ინდივიდუალური პროექტის გარემონტებული, 205 კვ.მ. 5-ოთახიანი მიცკევიჩზე, 3(10. 85 000 $-ად. 98 81 05: 8(93) 36 13 78

იყიდება გარემონტებული 2-ოთახიანი - ლოჯით, ჩაშენებული კარადებით, ტელეფონით, ბუნებრივი აირით. მეტრო "სამედიცინოსთან". 16 000 $. 77 44 09, 8(99) 10 08 58

იყიდება აგარაკი მაღალ ბელეტაჟზე, კიკეთიდან 8 კმ-ში. სოფ. კვესეთში. ბეთანიის მონასტერთან. 59 02 78, 8(99) 55 82 11

იყიდება 1-ოთახიანი ბინა ნუცუბიძის №36. 6(6). ფასი 6 500$. 39 45 37 ნატო

იყიდება გარემონტებული 2-ოთახიანი ბიპნა 3(9). ყველანაირი პირობებით. ნუცუბიძის II მ/რნ. III კვ. V კორპ. ს/ფ. 12 000 $. 31 64 02

იყიდება კერძო სახლი ფოთში. ზღვის სანაპიროზე. ეზო 600 კვ/მ. სარემონტო. 899 981909

იყიდება არასტანდარტული 3-ოთახიანი დოლიძეზე 12 (17). 20 000 $-ად. 33 29 44

იყიდება კერძო სახლი 4-ოთახიანი და იმავე ეზოში 1 ოთახი შუშაბანდით, ყველა პირობებით. "300 არაგველი", I დოლაბაურის № 1.

იყიდება 3-ოთახიანი ბინა ვაჟა-ფშაველას II კვარტლის დასაწყისში. 32 43 61

იყიდება 4-ოთახიანი დიღმის მასივში 8(9). მეტრო "დიდუბესთან" ახლოს. ბ/აირით და ცხელი წყლით. 52 73 72

იყიდება 3-ოთახიანი 9(9) ბ/აირით და მუდმივი დენით მეტრო "ავლაბართან". ფასი 14 500 $. 96 59 17, 8(97) 58 85 34

იყიდება 3-ოთახიანი ბინა ვერაზე. 29 33 73

იყიდება 3-ოთახიანი ბინა დიდ დიღომში. გ. ბრწყინვალეს ქუჩა. 10 500 $. 33 07 42

იყიდება 5(5) 120 კვ.მ. 3-ოთახიანი, გადაკეთებული 4-ად, ბინა. ი. აბაშიძის (ყოფილი ბარნოვის) ქუჩაზე, დაშენების პერსპექტივით. 22 29 93 ან 8(99) 97 35 40

იყიდება გარემონტებული, 75 კვ.მ. 2-ოთახიანი 1 (4) ვერაზე. საწყისი ფასი 21 000. 23 22 67

იყიდება სახლი სურამში. 68 20 47, 8(99) 90 57 37

იყიდება 35 კვ.მ. მოპირკეთებული სარდაფი სველი წერტილით. გამოდგება ინდივიდუალური ფეხსაცმლების ატელიესთვის. აქვს აბრა. 98 61 02

იყიდება 3-ოთახიანი 2(9) სართულზე, ლვოვის პროექტი. დიდ დიღომში. ფასი 6000 $. 52 85 19, 96 84 82

იყიდება საკუთარი 3-სართულიანი სახლი თავისი პატარა ეზოთი ვაშლიჯვრის დასახლებაში, კვანტალიანის 18 ბ. ფასი შეთანხმებით. 53 09 00, 8(99) 51 04 24

სასწრაფოდ იყიდება 2-სართულიანი სახლი სენაკში. 53 53 16

იყიდება 2-ოთახიანი 8(16) სართულზე. კაპიტალური რემონტით, ბ/აირით, ორი ლოჯიით დიღმის მასივში. 52 04 98

იყიდება 4-ოთახიანი ბინა დ/მასივში 8(9) სართულზე, მეტრო "დიდუბესთან" ახლოს. ბ/აირით და ცხელი წყლით. 52 73 72

იყიდება სახლი სოფ. დიღომში (ნაცბეურები), 2-სართულიანი, მანსარდით, ხეხილითა და ვაზით, დიდი ეზო. მუდმივი წყალი, ელექტროენერგია, ბ/აირი და კანალიზაცია. 60 29 74, 96 31 94

იყიდება 2-ოთახიანი კამოს №2 (ქორწინების სახლი). 32 01 77

იყიდება ხაშურის რაიონში 4-ოთახიანი ბინა ბელეტაჟზე 1500-ად. თავისი ნაკვეთით. 99 38 02

სასწრაფოდ იყიდება 4-ოთახიანი ჩეხური პროექტის ბინა 1(9). ცოტნე დადიანის II მკრ/ნის III კორპ. VIII სადარბაზო, ბინა 2. 66 02 83

იყიდება გარემონტებული ბინა, 70 კვ.მ. II სართულზე, რუსთაველზე. ფასი 40 000. 76 49 56 იყიდება 110 კვ.მ. 3-ოთახიანი სუფთა ბინა ტელეფონით და სარდაფით. დადიანზე. 8(99)55 84 15

იყიდება გარემონტებული 3-სართულიანი სახლი, სოფ. დიღმის დასაწყისში. 70 000-ად. 52 22 77

იყიდება გარემონტებული, მაღალჭერიანი 3-ოთახიანი, ნინოშვილზე. ფასი შეთანხმებით. 95 76 58

იყიდება 4-ოთახიანი ვაშლიჯვრის დასაწყისში, ტელეფონით, ბუნებრივი აირით და ავტოფარეხით. 53 06 68

იყიდება მაღალჭერიანი 3-ოთახიანი ბინა 7(8) მეტრო "ღრმაღელესთან". 60 75 06

სასწრაფოდ იყიდება 3-სართულიანი სახლი ნაკვეთით, კოჯორში, საუკეთესო ადგილას. 23 14 60, 8(99) 51 45 04

იყიდება 3-ოთახიანი ბინა მაღაზიით I სართულზე, მელიქიშვილის 13-ში. 29 16 58

იყიდება 2-სართულიანი კაპიტალური სახლი სოფ. კავთისხევში. 8(99) 17 17 12, 38 00 71

იყიდება 3-ოთახიანი მიშენებით, ქავთარაძეზე. 30 35 05

იყიდება 1-ოთახიანი თემქაზე 2 100-ად. 61 73 58, 61 05 49

იყიდება 1-ოთახიანი იზოლირებული ბინა ზესტაფონის ქუჩაზე. 52 12 96

სასწრაფოდ იყიდება კერძო სახლი ბაგებში. 25 14 44

სასწრაფოდ იყიდება 2-ოთახიანი მეუნარგიაზე. 22 27 19

იყიდება 4-ოთახიანი ბინა დიღმის მასივში 8(9), მეტროსთან ახლოს, ბუნებრივი აირით. 52 73 72

იყიდება 2-ოთახიანი სუფთა ბინა კამოს №2-ში. 32 01 77

იყიდება 3-ოთახიანი ბინა I სართულზე დიღმის მასივში. 12 000-ად. 51 61 22

იყიდება 3,5-ოთახიანი გარემონტებული ბინა II სართულზე, დიღმის მასივში. 52 27 97

იყიდება 1-ოთახიანი ავლაბარში. 39 19 58, 29 82 72

იყიდება 270 კვ.მ. მიწის ფართი 1-სართულიანი სახლით. მის. ალუევის შესახვევი 9. ანჩისხატის უბანში. დასაკმაყოფილებელია ორი ოჯახი. 22 44 80, 8(99) 23 59 13

იყიდება 2,5 ოთახიანი დიღმის მასივში. 51 59 19

იყიდება 3-ოთახიანი IV სართულზე ვარკეთილში, მეტროსთან ახლოს. 75 96 30

იყიდება კერძო სახლი ყველა პირობით, მეტრო 300 არაგველი, I დოლაბაურის ქუჩა №1.

იყიდება 2-ოთახიანი მაღალჭერიანი ბინა რუსთავში, მერიასთან. 8(24) 15 72 62

იყიდება ან იცვლება 2-ოთახიანი სუფთა ბინა ნაკლებ ფართზე, 4(8) წერეთელზე 12 000-ად. 34 61 29

იყიდება კერძო სახლი მეტრო "ნაძალადევთან" ავტოფარეხით, ხეივნიანი ეზოთი, სველი წერტილებით, გათბობით. 110 კვ.მ. 69 13 79 ანზორი

იყიდება 4-ოთახიანი გარემონტებული ბინა ვარკეთილი III, II მკრ/ნი. 6000 ლარად. 61 47 33

იყიდება 5-ოთახიანი კუთხის ბინა კანდელაკის 33-ში. 37 33 15

იყიდება 4-ოთახიანი ჩეხური პროექტის ბინა მოსკოვის გამზირზე. 70 54 48

იყიდება 4-ოთახიანი ბინა ვაშლიჯვარის დასაწყისში. 53 06 68

სასწრაფოდ იყიდება 2-ოთახიანი ბინა მარჯანიშვილის თეატრთან, პრესტიჟულ სახლში. 33 21 25

იყიდება 4-ოთახიანი "პენტჰაუსი" ახალაშენებულ სახლში. ვაკეში. 8(93)35 75 77

იყიდება 3-ოთახიანი კუთხის ბინა ვაჟა-ფშაველას IV კვარტალი, X კორპუსი. 31 61 68

იყიდება 2,5-ოთახიანი ბინა, 260 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, ნახალოვკაში. 69 62 83

იყიდება 1-ოთახიანი სარემონტო ბინა კანდელაკის ქუჩაზე. ფასი 7500 $. 8(93)31 30 89

იყიდება 1-ოთახიანი არასტანდარტული ბინა I სართულზე. გამოდგება საოფისედ. ფასი 12000 $. 8(93)31 30 89

იყიდება 2-ოთახიანი იზოლირებული ბინა კანდელაკზე, I სართული გამოდგება საოფისედ. ფასი 13 00$. 8(93) 31 30 89

იყიდება ახალაშენებულ სახლში, კარკასულ მდგომარეობაში, მორკინალთან, 200 კვ.მ.-ის ბინა დუპლექსი 72 კვ.მ. და 138 კვ.მ. ავტოფარეხით. ფასი 55 000 $. 8(93)31 30 89

იყიდება ახალაშენებულ სახლში, კარკასულ მდგომარეობაში, საბურთალოზე 230 კვ.მ.-ის ბინა. საწყისი ფასი 28 000$.

იყიდება 4-ოთახიანი ბინა დიღმის მასივში. 52 73 72

იყიდება საბურთალოზე, ახალაშენებულ სახლში, კარკასულ მდგომარეობაში, 140 კვ.მ. ფართის ბინა მე-2 სართულზე. საწყისი ფასი 16 000$. 8(93)31 30 89

იყიდება ახალაშენებულ სახლში, საბურთალოზე, კარკასულ მდგომარეობაში 180 კვ.მ. ფართის ბინა მე-2 სართულზე. ფასი 36 000 $. 8(93)31 30 89

იყიდება საბურთალოზე 2-ოთახიანი ჩეხური პროექტის ბინა 9/8 სართულზე. დამატებით საშრობში ამოშენებულია ოთახი. ფასი 18 000 $. 8(93)31 30 89

იყიდება კუტუზოვზე, არასტანდარტული, 4-ოთახიანი, მაღალჭერიანი იზოლირებული ბინა მე-2 სართულზე. ფასი 35 000 $. 8(93)31 30 89

იყიდება ბუდაპეშტის ქუჩაზე ტიპური პროექტის 3-ოთახიანი ბინა კარგი სათავსებით. მე-2 სართულზე. ფასი 22 000 $.

იყიდება ნუცუბიძის 2 მ/რ-ში ჩეხური პროექტის 140 კვ.მ. ფართის ბინა მე-3 სართულზე. ავტოფარეხით. კარგ მდგომარეობაში. ფასი 20 000 $. 8(93)31 30 89

იყიდება ბინა. 93 49 52

იყიდება ვაჟა-ფშაველას მე-6 კვარტალში 2-ოთახიანი ბინა, 5/5 სართული. ძველი რემონტით. საწყისი ფასი 10 000 $. 8(93)31 30 89

იყიდება ლეონიძის ქუჩაზე 3-ოთახიანი იზოლირებული ბინა სათავსოებით ე.წ. "სტალინის სახლში" მე-3-ე სართულზე. საწყისი ფასი 30 000. ტელ: 99 80 71

## მიწის ნაკვეთები

იყიდება ვაკის პარკთან, აბაშიძეზე ნაკვეთი 700კვ/მ. ფასი დაახლოებით 400 000, განვადებით და ფართებით. აქ აშენდება 11 სართული. ტელ: 23 33 06 ან 899 961060

იყიდება ვაკეში, ჭავჭავაძის პროსპექტთან, "ფრანციასთან" 6300 კვ/მ მიწის ნაკვეთი. შესაძლებელია, აშენდეს 25000კვ/მ ოფისები და ბინები. შესაძლებელია ნახევრის ყიდვა ან ადგილზე ფართებით დაკმაყოფილება.

ტელ: 893 96 10 60 ან 23 33 06

იყიდება ან იცვლება ადგილზე ბინებში მიწის ნაკვეთები ფიქრის გორაზე. კუთხის 1500კვ/მ. ფასი შეთანხმებით. ტელ: 23 33 06 ან 899 961060

იყიდება ყიფშიძეზე 4000 კვ/მ-ზე მეტი. მოთხოვნა 30 პროცენტიანი 90900 (განვადებით. შეიძლება 20 000კვ/მ.

ტელ: 23 33 06 ან 899 961060)

იყიდება დელისთან მიწის ნაკვეთი 18000 კვ/მ. საწყისი ფასი განვადებით 500000. ერთი კაცის კერძო საკუთრება. მოგება რჩება 349 000. გირჩევთ!. იშვიათია! ტელ: 899 50 08 06 თავადი ირაკლი ჯანდიერი.

22 07 89 აზნოურიშვილი ირმა ორჯონიკიძე

იყიდება მიწის ნაკვეთი ურეკში, პერსპექტიულ ადგილას. რეალურ ფასში. 70 61 02 ნინო.

იყიდება 1400 კვ.მ. ნაკვეთი მშენებარე სახლით, სოფ. არაგვისპირში. 33 01 25

სასწრაფოდ! იყიდება დიდი მიწის ნაკვეთი ბაგებში დიდებული ხედით. ს/ფართი 1600 კვ.მ. ოროთახიანი ბინით. ს/ფასი 57 000. 8(99) 51 58 54

სასწრაფოდ! იყიდება 2600 კვ.მ. მიწის ნაკვეთი დიღმის მასივში, პოლიციის სამმართველოსა და საბავშვო ბაღს შორის. შემოღობილი, ყოფილი საქვაბე ორსართულიანი შენობით. 1 კვ.მ. ფასი 35 დოლარი. 8(99) 51 58 54

იყიდება 800 კვ.მ. ნაკვეთი საგურამოში, სოფელი კოტორაანთკარი. 33 03 77

## კომერციული ფართი

იყიდება ჭავჭავაძეზე "BARB"-ის გვერდზე სამ ვიტრინიანი მაღაზია. ფასი 120 000. შესაძლებელია გაყოფა. ტელ: 23 33 06 ან 899 961060

იყიდება კავსაძესთან, ჭავჭავაძის პროსპექტზე, BIG-Ben-თან სამაღაზიე ფართი 110კვ/მ. ფასი 73000. შეიძლება ნახევარი. ტელ: 23 33 06 ან 899 961060

იყიდება რუსთაველის 1-ში, ოპერის გვერდით, სამი დიდი ვიტრინით მაღაზია. საწყისი ფასი 250 000. ტელ: 23 33 06 ან 899 961060

იყიდება მელიქიშვილზე სასტუმრო "საქართველოს" პირდაპირ 70კვ/მ ფართის მაღაზია. ფასი 60 000, ან 1/3 ფართ. ტელ: 23 33 07 ან 877 73 93 00

იყიდება სუპერმარკეტი, 23 33 01

იყიდება 500 კვ.მ. რესტორანი რუსთაველზე, ყველანაირი აღჭურვილობით. 79 90 48

ქირავდება მოქმედი სილამაზის სალონი და საოფისე ფართი, გურამიშვილის გამზირზე. 60 74 63, 67 91 63, 8(99) 92 04 74

ქირავდება საოფისე 2-ოთახიანი ჭავჭავაძის №12-ში, მე-3 სართულზე. 250 დოლარად. ყველა საჭირო ინვენტარით. 8(99) 51 02 99

იყიდება გარემონტებული ბარ-რესტორანი სოლოლაკში, ძვირფასი ავეჯით, მაღალი ჭერით,ვენტილაცია-გათბობით, ტელეფონით. ს/ფასი 45 000. 8(99) 51 58 54

იყიდება ორთაჭალაში, პრესტიჟულ უბანში, რესტორან "თამარიონის" უკან ახალაშენებული დიდი სახლი ეზოთი, კარკასულ მდგომარეობაში. ს/ფართი 1200, ეზო 440 კვ.მ. ბოლო ფასი 160 000. 98 52 81 საღამოს

## ბინები

### ქირა, გირაო

ვაქირავებ 1-ოთახიან ბინას საბურთალოზე. ფასი 110 დოლარი. 32 14 92

ქირავდება 1-ოთახიანი იზოლირებული ბინა ტელეფონით, გაზით, ატმორით. საბურთალოზე. 95 47 80

სასწრაფოდ გირავდება კერძო ბინა 300-ად. 1 წლით. 69 93 73

**ქირავდება**, ვერაზე, საოფისედ (კომერციული) 110კვ.მ. 3 ოთახიანი ბინა ლოჯით, ქიაჩელის ქ. 10, 1 სართულზე, იზოლირებული შესასვლელით. ტელ: 8(99) 518007, 94-0196

ქირავდება იზოლირებული 3-ოთახიანი ავეჯით, ქალაქის ცენტრში. 32 83 16

ვიგირავებ ბინას. 93 49 52

ქირავდება გარემონტებული ოროთახიანი ლოჯიით, რუსთაველის №1-ში, მე-5 სართულზე, ყველა საჭირო ავეჯით, ტექნიკით, მუდმივი წყლით, დენით, აირით, ლიფტით. ორი თვის წინასწარი გადახდით. 1 წლით. ფ. 350 $. 8(99) 51 02 99

ქირავდება ვერაზე საოფისედ (კომერციული) 110 კვ.მ. 3-ოთახიანი ბინა I სართულზე, ქიაჩელის 10-ში. 8(99) 51 80 07, 94 01 96

ვიქირავებ 2-ოთახიან ბინას კორპუსებში 50-70 ლარის ფარგლებში. ისანი, სამგორი, ვარკეთილი, ვაზისუბნის ტერიტორიებზე. 77 52 70 კოტე

ქირავდება კაპიტალური ავტოფარეხი დაკეტილ ეზოში. ფალიაშვილის და დარიალის ქუჩების გადაკვეთაზე. 22 08 49

ვიქირავებ სახლს. 93 49 52

ქირავდება ან იყიდება 2-სართულიანი საკუთარი სახლი კანდელაკის ქუჩაზე. ყველანაირი პირობით. 940866

ქირავდება 2-ოთახიანი მარჯანიშვილზე. 34 80 51, 8(99)32 92 16

ქირავდება 1 ოთახი 4-ოთახიან ბინაში საუკეთესო პირობებით. ბინაში ცხოვრობს დიასახლისი მეუღლით. ფასი 50$. ნაძალადევი მეტროს უკან. 692963 ლია

ქირავდება 2-ოთახიანი ბინა მეტრო ვაჟა-ფშაველასთან. 316168

ქირავდება 1-ოთახიანი იზო-ლირებული ბინა ტელეფონით, ბ/აირით, ცხელი წყლით საბურთალოს ქუჩაზე 6(14). ფასი 80. 95-47-80.

ქირავდება 2-ოთახიანი გარემონტებული ბინა ორთაჭალში, ტელეფონით, ბ/აირით და საჭირო ავეჯით. 72-45-57

ქირავდება 2-ოთახიანი იზოლირებული ბინა მეტრო "მარჯანიშვილთან" ტელეფონით, ავეჯით, ბ/აირით, მანქანის სადგომით. ფასი 170. 34-80-51. 8(99) 329216.

ქირავდება 1-ოთახიანი იტალიურ ეზოში, ვერცხლის ქუჩაზე 53-93-25.

ქირავდება 3-ოთახიანი ვერცხლის ქუჩაზე. 98-61-16.

გირავდება 3-ოთახიანი იზოლირებული ბინა ძველ უბანში საკუთარი ეზოთი, 2 შესასვლელით 7000_ად. 72-26-45.

ვიგირავებ ბინას თბილისის ცენტრალურ უბანში, 3000-4000 დოლარის ფარგლებში. ტელ: 8(99) 902632, 99-08-22, 37-07-93.

ვიქირავებ 1 ოთახს. 29 30 51

ქირავდება 3-ოთახიანი კეთილმოწყობილი ბინა ირ. აბაშიძეზე, 500 $. სასურველია უცხოელებზე. 22 08 20, მაია.

ქირავდება კეთილმოწყობილი 2-ოთახიანი ტელეფონით და საჭირო თანამედროვე ავეჯით. მარჯანიშვილზე. ფასი 180 $. 34 80 51, 8(93) 32 92 16

ქირავდება 1-ოთახიანი ალმაშენებელზე. 95 08 61

ვიგირავებ 2 ან 3-ოთახიან ბინას ტელეფონით IV სართულზე, 4 000-მდე. ცოტნე დადიანის № 34-ში. 69 62 50, ნინო

ქირავდება 1 ოთახი თავისი სამზარეულოთი და ავეჯით იტალიურ ეზოში, თავისუფლების მოედანთან. 53 93 65

ქირავდება იზოლირებული 1,5-ოთახიანი ბინა თავისუფლების მოედანთან. გამოდგება სამაღაზიედ ან საოფისედ. 98 61 02

ქირავდება ბინა მარჯანიშვილზე 200-ად. 34 80 51, 8(93) 32 92 16

ვიგირავებ 3-ოთახიან ბინას IV სართულამდე. სუფთა მდგომარეობაში, ტელეფონით. 4 000-მდე. ცოტნე დადიანის 34-ში. 69 62 50

ქირავდება 3-ოთახიანი არასტანდარტული კეთილმოწყობილი ბინა ავეჯით, უზნაძეზე. ფასი 200$. 95 40 23, ნინო

ვიქირავებ 2-ოთახიან ბინას ვორონცოვზე. 96 10 32

ქირავდება 2-ოთახიანი რუსთავში, მერიასთან. ფასი 50 ლარი. 8(24) 15 72 62

ქირავდება გარემონტებული 54 კვ.მ. ფართობი კომერციული საქმიანობისთვის ელიავაზე. 34-25-22; 8(99) 96-33-79

## მანქანები

იყიდება "მერსედეს-207-D" მიკროავტობუსი. ფასი შეთანხმებით. 34 55 81, 8(99) 26 06 26

იყიდება "09" კარგ მდგომარეობაში. ფასი შეთანხმებით. 34 55 81, 8(99) 26 06 26

იყიდება "ოპელ-ვექტრა", 1990 წლის გამოშვება. კუბატურა 2.0. 98 43 98

სასწრაფოდ იყიდება "რენო-19" ახალი ჩამოყვანილი, განბაჟებული. 92 00 20

იყიდება "ვაზ-21011", კარგ მდგომარეობაში. ღია კაკაოსფერი, მისაბმელით, 1982 წლის. ფასი 1300. 95 86 47, 8(99) 50 09 62

იყიდება მსუბუქი ავტომანქანის მისაბმელი მოტოროლას ბაზაზე. ფასი 150. 95 86 47, 8(99) 50 09 62

ვიქირავებ საბჭოურ მსუბუქ ავტომანქანას. 29 09 42, 8(99) 54 42 41

იყიდება სასწრაფოდ "BMW-740" 1995 წლის. სრული ელექტროკომპლექტი ტყავის ელ-სალონით (XENON, CD) 13.000-ად. 8(99)940404

ვამზადებ ყველა სახის უცხოური მანქანის გვერდითა მინებს შეღავათიან ფასებში. სწრაფად. ჩასმა უფასოდ. 8(99)103564 გიორგი (24 საათის განმავლობაში)

იყიდება მსუბუქი ავტომობილი ტოიოტა კარინა თეთრი ფერის 1980 წლის. 5 სიჩქარიანი, 1,6 ძრავით, ახალი ტექ.დათვალიერებით, კარგ მდგომარეობაში 350$-ად. 742270

იყიდება "ვოლვო-460". 52 35 08

შევიძენ ჟიგულს ბუნებრივ აირზე კარგ მდგომარეობაში. ტელ: 52 09 36; 899104896.

ვაგირავებ. 39-04-40; 8(99) 54-95-06

შევიძენ "ვილისს". 31 52 95

იყიდება ავტომანქანა "ლინკოლნი". 8(99) 17 17 12

სასწრაფოდ იყიდება 1997 წლის გამოშვებული ორი ჯიპი: "ჰუნდაი გალოპერი" ერთი ბენზინზე, მეორე დიზელზე. ორივე კარგ მდგომარეობაში. კონდიციონერებით. თითოს ბოლო ფასი 9.000. 8(99) 51 58 54

შევიძენ 1995-2002 წლამდე გამოშვებულ ავარიულ ჟიგულის ან ინომარკის ავტომობილს. 57-15-77, 8(99) 147324.

იყიდება მიკრო-ავტობუსი "ფოლცვაგენი", მუქი ლურჯი, 1983 წლის. კარგ მდგომარეობაში. მუშაობს ბუნებრივ აირზე. ბოლო ფასი 1000. 41 03 31

იყიდება "რაფი". კარგ მდგომარეობაში. ფასი 300$. 62 02 42 62 52 41

იყიდება წითელი ფერის "ფოლცვაგენჯეტა" 800-ად. კარგ მდგომარეობაში. ვაყოლებ 4 საბურავს და სავალი ნაწილების ახალ კომპლექტს. 8(99) 93 09 19 ზურა.

იყიდება "ლანჩია-ცემა", 1989 წლის. ნაცრისფერი. ფასი შეთანხმებით. 23 14 15

იყიდება 1997 წელს გამოშვებული "ფოლცვაგენ-პასატი", მწვანე მეტალიკი კლიმატკონტროლით, ღია სალონით, ნადგომი. ბოლო ფასი 8.500. 98 52 81. საღამოს

იყიდება მერსედესი 123. ფასი 1800 $. 39 80 77

სასწრაფოდ იყიდება „მერსედეს-230E", შავი ფერის. 1985 წლის. კარგ მდგომარეობაში. 8(99) 58-41-83; 8(77) 42-05-75

იყიდება "მერსედესი -123/ 230. ტელ: 899-15-19-39.

## სწავლება

მოვამზადებ აბიტურიენტებს ქართულსა და ისტორიაში. პროგრამის 80%-ს ადგილზე ვისწავლით. 98 55 04 მარინა

შევასწავლი გერმანულს. 32 03 71

მოვამზადებ სკოლის მოსწავლეებს ყველა საგანში (I-დან VI კლასის ჩათვლით). 69 18 88 ფატი

მოვამზადებ მოსწავლეებს ქართულში. 64 21 77

ვამზადებ აბიტურიენტებს გეოგრაფიაში და ბიოლოგიაში ინდივიდუალურად, სახელმწიფო და სამედიცინო უნივერსიტეტის პროგრამებით. სარაჯიშვილის №14. 93 88 22, 99 08 31

მოვამზადებ ფრანგულში. 66 89 41 საღამოს

ვამზადებ იტალიურში, შეღავათიან ფასად. 61 47 35

მოსამზადებელი კურსები: ფიზიკა, მათემატიკა, უცხო ენები. პარალელურად შესწავლება კომპიუტერული პროგრამები.

ტელ: 98 76-07

მოვამზადებ ებრაულში (ივრითი). 77 41 63

მოვამზადებ მოსწავლეებს თანამედროვე ან კლასიკურ მუსიკაში ბინაზე მისვლით. 70 61 02 ნინო

ვამეცადინებ VI კლასამდე მოსწავლეებს ყველა საგანში და გერმანულ ენაში. 96 92 62

ჩავრიცხავ და ვასწავლი მძღოლ-კანდიდატებს: B; BC; C; D; E კატეგორიებზე. ტ: 57-15-77, 8(99) 147314

მოვამზადებ ისტორიაში. 983087

ვასწავლი დაწყებითი კლასის მოსწავლეებს. 983087

კომპიუტერული პროგრამების შემსწავლელი ინდივიდუალური კურსები: Windows, Word, Exell, Internet, E-mail - 60 ლარი. პროფესიული კურსი - 120 ლარი. Photo shop - 80 ლარი . Pagemaker - 60 ლარი. Adobe-premier - 200 ლარი

მის. ი.ჭავჭავაძის №74, IX სართ. ოთახი - 908. 25-35-48, 23-53-69, (899) 551504

ვამზადებ სკოლის მოსწავლეებს მათემატიკასა და ფიზიკაში. ასევე ვამეცადინებ ყველა საგანში უცხო ენის გარდა ბინაზე მისვლით. 392052. ირმა

ვამეცადინებ მათემატიკაში. 302997. ზურა

ვამეცადინებ ნებისმიერი კლასის მოსწავლეებს ყველა საგანში ყოველდღე ბინაზე მისვლით. 231705. ნანა

ვასწავლი ინგლისურს. 347683

მოვამზადებ ინგლისურ ენაში სკოლის მოსწავლეებს. ვცხოვრობ კანდელაკის ქუჩაზე. 940866. მაკა

ვამზადებ კემბრიჯისა და ტოუფელის სერტიფიკატების აღების მსურველებს, საზღვარგარეთ წამსვლელებს ინგლისურ ენაში, აგრეთვე სკოლის მოსწავლეებს და აბიტურიენტებს. 227868

მოვამზადებ მოსწავლეებს და აბიტურიენტებს მათემატიკაში და ფიზიკაში. 31-47-88.

მოვამზადებ სკოლის მოსწავლეებს ყველა საგანში ინგლისურის ჩათვლით. 775008, 8(99) 313400.

მოვამზადებ ფრანგულსა და რუსულში. 33-12-05.

მოვამზადებ ინგლისურში კვირაში 3-ჯერ. თითო ინდივიდუალური საათი. ფასი 15 ლარი თვეში. 72-28-57.

მოვამზადებ აბიტურიენტებს მათემატიკასა და ფიზიკაში. 38-83-45.

მოვამზადებ ინგლისურსა და რუსულში. შეიძლება ბინაზე მისვლით. 57-69-76.

მოვამზადებ გერმანულში. 25 ლარი. 32-89-70; 53-74-19.

მოვამზადებ ფიზიკა-მათემატიკა, ქიმია, ბიოლოგიაში. 38 48 65, 8(99) 14 94 17

მოვამზადებ გერმანულში. 38 48 45

მოვამზადებ ინგლისურში. 72 49 58

მოვამზადებ გერმანულ ენაში, მაქვს გამოცდილება. 96 76 95

ტექნიკური უნივერსიტეტის ლექტორი მოამზადებს სკოლის მოსწავლეებს მინაზე მისვლით. 35 21 63

მოვამზადებ ინგლისურში, კვირაში 3-ჯერ. ინდივიდუალურად. თვეში 15 ლარი. 72 28 57

მოვამზადებ სკოლის მოსწავლეებს ყველა საგანში, გარდა ენებისა. 22 76 85

მოვამზადებ მათემატიკაში ბინაში მისვლით. 32 79 63

მოვამზადებ მათემატიკაში და ფიზიკაში ნებისმიერ მსურველს. 22 43 68, რეზო.

შევასწავლი ფორტეპიანოსა და სიმღერების დაკვრას. ვამეცადინებ მუსიკალური სკოლის მოსწავლეებს. 52 67 27

ვამზადებ ბავშვებს პირველიდან მეშვიდე კლასის ჩათვლით. ვასწავლი ინგლისურსაც. ფასი 70 $. 68 84 80, 60 80 16

მოვამზადებ ინგლისურში 25 ლარად. 93 54 86, ლალი.

ვასწავლი გერმანულს. 29 32 89

თსუ-ს თანამშრომელი მოვამზადებ მოსწავლეებს მათემატიკაში კვირაში 3-ჯერ, 6 საათი 20 $. 39 70 65

მოვამზადებ ბიოლოგიასა და ქიმიაში აბიტურიენტებსა და მოსწავლეებს. შეიძლება ბინაზე მისვლაც. 31 53 46

მოვამზადებ ინგლისურში შეღავათიან ფასად. 61 47 35 (საღამოს)

მოვამზადებ გერმანულ ენაში 30 ლარად. 32 89 70

უნივერსიტეტის ლექტორი მოამზადებს აბიტურიენტებს ქართულში. 25 22 96

მოვამზადებ სკოლის მოსწავლეებს ინგლისურ ენაში. შესაძლებელია ბინაზე მისვლითაც. ფასი 30 ლარი. 52 60 60

მოვამზადებ ინგლისურსა და რუსულში. შეიძლება ბინაზე მისვლით. 57 69 76

მოვამზადებ აბიტურიენტებს ბიოლოგიასა და გეოგრაფიაში ინდივიდუალურად, სახელმწიფო და სამედიცინო უნივერსიტეტებისათვის. სარაჯიშვილის № 14 (მეტრო "რუსთაველი"). 93 88 22, 99 08 31

მოვამზადებ აბიტურიენტებს მათემატიკაში. 92 02 43, ალეკო

აიკიდოს შესწავლის მსურველებს ვიწვევთ სავარჯიშოდ. დარბაზები განლაგებულია ვაკეში, ნაძალადევში, ვარკეთილში. 69 03 42, 8(99) 17 18 66

## სხვადასხვა

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია ა.წ. 29 სექტემბერს მარჯანიშვილის სახელობის თეატრში ატარებს IX საერთო კრებას.

დღის წესრიგით განხილული იქნება შემდეგი საკითხები:

1. ასოციაციის 2002 წლის საქმიანობის ანგარიში 2. სარევიზიო კომისიის ანგარიში 3. ასოციაციის წესდებაში ცვლილებები და დამატებები 4. ასოციაციის სტრატეგიული განვითარების ძირითადი მიმართულებების დამტკიცება (თემატური მსჯელობა) 5. გამგეობის წევრთა კანდიდატების დასახელება 6. სარევიზიო კომისიის წევრთა კანდიდატების დასახელება რეგისტრაცია დაიწყება 09.00 სთ-ზე.

წევრთა დასწრება სავალდებულოა.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

იყიდება ტელევიზორი "სონი ტრინიტრონი" დიაგონალი 72 სმ. ეკრანი იყოფა 9 ნაწილად. 2 პულტით, თავისი პიპორცით, 2 დინამიკით, ზევიდან "ზასავიკი". 77 87 82

შევიძენ პიანინოს დაბალ ფასებში. 70 61 02 ნინო

იყიდება ნოუთბუქი, ინტელ პენტიუმ-3. ახალი. CD-ROOM და DVD-ROOM-ებით. 92 00 20

ვთარგმნი ნებისმიერი სირთულის ტექსტს ინგლისურიდან რუსულად, ქართულად და პირიქით. 22 78 48

იყიდება მე-20 საუკუნის დასაწყისის გერმანული ჭაღი. 60 26 17

დაიკარგა სამფეხა შავი პუდელი. 22 36 98

ქირავდება სამარშრუტო ხაზი №113. 75 96 02

იყიდება კამერა-მაცივარი მაღაზიისთვის. 75 96 02

დაიკარგა თამაზ აბსანძის მანქანის საბუთები. მპოვნელი დასაჩუქრდება. 22 81 56

იყიდება "პენტიუმ-133". 25 28 55

იყიდება ხის მაგიდა და ტელევიზორის დასადგამი. მაგიდა კარგ მდგომარეობაშია. ფასი შეთანხმებით. მეტრო "300 არაგველი", I დოლაბაურის ქ. №1.

იყიდება ბოქსიორის ლეკვები. 723918

ვთარგმნი ნებისმიერი სირთულის ტექსტს ინგლისურიდან რუსულად და ქართულად და პირიქით. 337848

ქირავდება 1200 ტონის ტევადობის ნავთობ-ბაზა. 383135. ნინო

ვიმუშავებ ნებისმიერ მაღაზიაში სურსათის გარდა. 940866

ვარ 30 წლის კომუნიკაბელური სასიამოვნო გარეგნობის, კვალიფიციური ფარმაცევტი სათანადო გამოცდილებით. ვეძებ სამსახურს სათანადო ანაზღაურებით. 72-45-67, 32-42-61.

იყიდება მაცივარი კარადა, მაგიდა-მაცივარი და ოთხგანყოფილებიანი სასადილო ელექტრო ქურა. 72-26-45.

ვამზადებ ევროპულ კერძებს. ვიმუშავებ სასტუმროში ან ღამის ბარში. 79-65-33.

იყიდება კომპიუტერი PENTIUM II. სრული კომპლექტით, კარგ მდგომარეობაში. ფასი 270$. ტელ: 34-63-57

იყიდება საოჯახო ნივთები. 53-06-68.

ვარ 21 წლის უმუშევარი თბილისელი ბიჭი. ვეძებ სამუშაოს 100-150 ლარიანი ანაზღაურებით. 77-68-16 ან 77-52-70 დათო.

ვიმუშავებ ძიძად და დავეხმარები სკოლის მოსწავლეს გაკვეთილების მომზადებაში. 61 88 44

იყიდება წიგნების კარადა. რუმინული, 3-კარიანი, 2 ცალი. 500-ად. 93 68 62, 8(77) 46 45 15

ვეძებ სამსახურს. ვიმუშავებ მდივნად, კომპიუტერზე, სუპერმარკეტში. მოდელების სააგენტოში მქსოველად. 70 65 10

იყიდება სპარსული ჯიშის თეთრი კნუტი. 31 46 59

იყიდება როიალი "გრენშტატი". საუკეთესო მდგომარეობაში. 39 09 27

იყიდება ყავის ხე 150 ლარად და ყავის მოსადუღებელი ვიშის 6 მოსადუღებლის 60 ლარად. 96 92 16

იყიდება სამზარეულო 14-ნაჭრიანი, ახალი. აწყობილ მდგომარეობაში. ფასი შეთანხმებით. 96 74 13

იყიდება ლითონმჭრელი ჩარხები . 8 (99) 17 81 85

იყიდება ყურძენი "საფერავი". 8(99) 93 66 39

ექიმი-პედიატრი იმუშავებს ძიძად. 31 64 02

რკინიგზელთა სასახლის წინ, ავტომანქანიდან დაიკარგა ყავისფერი ტყავის საქაღალდე საბუთებით. მპოვნელი დასაჩუქრდება. 52 40 62, 8(99) 23 54 36

იყიდება ალუმინის ფურცლები და მუხის კასრები. 57 47 91

მოვამზადებ ესპანურში. 61 00 84

ვთარგმნი რუსულიდან ქართულად და პირიქით ნებისმიერ ლიტერატურას. ერთი გვერდის ფასი 1 ლარი. 62 29 18, 8(99) 95 50 76

ვარ კონდიტერი. ვეძებ სამუშაოს. 61 13 86

"დინამო" სტადიონთან დაიკარგა ჩანთა თამილა შაიაშვილის საბუთებით. მპოვნელი დასაჩუქრდება. 76 72 89

იყიდება 0.65 კვტ-იანი გენერატორი "ტაივერი". ფასი 150 $. 8(99) 56 14 94

ვარ 24 წლის. ვიმუშავებ სუპერმარკეტში კონსულტანტად. დამთავრებული მაქვს გინეკოლოგიური და ვიმუშავებ ექთნად. 67 18 53

შევასწავლი გერმანულ ენას. 32 03 71

ვამზადებ უცხოური ავტომობილის ყველა სახის გვერდითა მინას. შეღავათიან ფასებში. ჩასმა უფასოდ. 8(99) 10 35 64, გიორგი

იყიდება უნივერსალური იაპონური ფოტოაპარატი "მინოლტა - MINOLTA" ზომით (38-135) მმ. უამრავი ფუნქციით. საუკეთესო მდგომარეობაში. 8(99) 90 22 64, ალეკო.

იყიდება წისქვილი თავისუფლების მოედანთან. 98 61 02

ვიმუშავებ ჭურჭლის მრეცხავად. 73 41 93, ნანა

იყიდება როიალი "გერბნაინდორფი". 96 55 96

ვამზადებ ყველა სახის უცხოური ავტომანქანის გვერდითა მინებს შეღავათიან ფასში. ჩასმა უფასოდ. 8(99) 10 35 64

ვიმუშავებ ოჯახში მზარეულად, მოვუვლი ბავშვს. 63 61 58, დოდო

იყიდება ვიტრინა-მაცივარი იაფად. სრულიად ახალი. 8(77) 44 89 28

ვაქირავებ კომერციული საქმიანობისთვის 50 კვ.მ. ფართს, ორ ოთახს 300 $-ად. ქალაქის ცენტრში. ოპერის უკან. საკუთარი ტელეფონით, სან-კვანძით, რკინის კარებით, მაღალი ჭერით. 93 30 80

იყიდება პენტიუმ 1. 14 000-იანი მოდემით. ტევადობა 1 GB. ფასი 120 დოლარი. 30 83 45, ზურა

იყიდება ნოუთბუქი ინტელ პენტიუმ 3. ახალი. cd-room და dvd room-ებით. ფასი 1500 $. 92 00 20, 93 52 31

ვყიდი საინჟინრო ნიველირს. ტელ 52 09 36.

ვყიდი მობილურ ტელეფონებზე კოდების მოსახსნელ და პროგრამის ჩასაწერ მოწყობილობას. ფასი 350; კომპიუტერთან და პროგრამებთან ერთად ფასი 500.

მაქვს სერიოზული იდეა ახალი წარმოების დასაწყებად. საქმეს სჭირდება 30 000 დოლარამდე. შემეხმიანოს პიროვნება, ვისაც აქვს თანხა და სურს მოგებიან საქმეში ჩადება. ტელ: 877739054.

ვყიდი საიჟინრო თეოდოლიტს. 52-09-36

შევიძენ რკინის გარაჟს. ტელ: 52 09 36

იყიდება საკერავი მანქანა "პოდოლსკი". 96 10 32

იყიდება ანტიკვარული როიალი "ბეკერი", შავი, ნახევრად საკონცერტო. 500-ად. 34 82 90, 8(99)16 97 08

იყიდება ძველი როიალი "ბეიკერი". 29 33 73

შევიძენ "სონის" სათამაშო კომპიუტერს. 75 40 89

მაცივრების შეკეთება გარანტიით. 53 32 19

იყიდება 500 კვ.მ. რესტორანი რუსთაველზე, ყველანაირი აღჭურვილობით. 79 90 48

დაიკარგა ბესიკ ჩიხლაძის საბუთები. მპოვნელი დასაჩუქრდება. 71 87 28, 8(99)18 58 07

იყიდება ყურძენი "საფერავი". 8(99)93 66 39 გია

გავაკრავ კაფელს და დავაგებ მეტლახს. 62 94 76

ვჭრი რადიატორებს. 35 39 53

შევიძენ ჭერზე ჩამოსაკიდებელ ვენტილატორს. 34 00 91. 18.00 საათამდე.

იყიდება აგარაკი მცხეთაში. 66 40 96

იყიდება საოჯახო ნივთები. 53 06 68

მოვემსახურები ავტომანქანა "მერსედესით" ფირმას ან კერძო პირს. 60 75 06

ვიმუშავებ მდივან-რეფერენტად. 60 75 06, 34 42 64

სასწრაფოდ იყიდება ხაზი №210. 63 79 38

იყიდება სუფთა სისხლის დობერმანის ლეკვები. 61 79 62, 38 31 93. ცირა










გაზეთი 24 საათი

უფასო განცხადებების ქვითარი

ბინები, ავტომობილები, ცხოველები, ვასწავლი, მომსახურება, სამუშაო, მკურნალობა

შევსებული განცხადების ბლანკი ჩააგდეთ ყუთში, რომელიც განთავსებულია ვაჟა-ფშაველას 45-ში ("სოფლმშენის" შენობაში) პირველ სართულზე. სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა 12. გაურკვევლად დაწერილი განცხადებები არ გამოქვეყნდება

სამედიცინო ხასიათის განცხადებები ლიცენზიის გარეშე არ გამოქვეყნდება

18.09.02 N-108

ფეხბურთი

# UEFA-ს ჩემპიონთა ლიგა 2002-2003

## ჯგუფური ეტაპი, პირველი ტური

**ჯგუფი A**

| | | |
|---|---|---|
| არსენალი | 2 - 0 | ბორუსია |

გოლები: ბერგკამპი (62`), 1-0; ლუნგბერგი (77`), 2:0
გაფრთხილება: დედე (14`)

| | | |
|---|---|---|
| ოსერი | 0 - 0 | ეინდჰოვენი |

გოლები:
გაფრთხილება: ვან დერ შააფი (4`), ბოგელუნდი (57`)

**ჯგუფი B**

| | | |
|---|---|---|
| ვალენსია | 2 - 0 | ლივერპული |

გოლები: აიმარი (20`), 1:0; ბარახა (38`), 2:0
გაფრთხილება: ჰამანი (21`,77`), ტრაორე (35`), პელეგრინო (65`), ბარახა (68`), მისტა (77`)

| | | |
|---|---|---|
| ბაზელი | 2 - 0 | სპარტაკი |

გოლები: იაკინი (50`), 1:0; როსი (55`), 2:0
გაფრთხილება: მოზესი (71`)

**ჯგუფი C**

| | | |
|---|---|---|
| რომა | 0 - 3 | რეალი |

გოლები: ბუტი (41`), 1:0; რაული (56`), 2:0; ბუტი (74`) 3:0
გაფრთხილება: პელგერა (21`), მონტელა (33`), იერო (66`)

| | | |
|---|---|---|
| გენკი | 0 - 0 | აეკი |

გოლები:
გაფრთხილება: კასაპისი (20`), კოსტენოღლუ (61`), ჰიგისი (72`)

**ჯგუფი D**

| | | |
|---|---|---|
| როსენბორგი | 2 - 2 | ინტერი |

გოლები: კრესპო (33`), 0:1; კარადასი (52`) 1:1; კარადასი (65`) 2:1; კრესპო (78`) 2:2
გაფრთხილება: ბერგი (32`), კანავარო (64`,69`)

| | | |
|---|---|---|
| აიაქსი | 2 - 1 | ლიონი |

გოლები: იბრაჰიმოვიჩი (11`), 1:0; იბრაჰიმოვიჩი (34`), 2:0; ანდერსონი (84`) 2:1
გაფრთხილება: იაკუბუ (9`,85`), გალასეკი (31`), ლავილი (64`), სტეკელენბერგი (70`)



გამარჯვებული "რეალი" REUTERS

## ლიგის მეორე დღე

დიმიტრი ობოლაძე

*ჩემპიონთა ლიგის გუშინდელმა შეხვედრებმა გაამართლა. დღევანდელი ტური არანაკლებ საინტერესო და დაძაბული უნდა გამოდგეს. პირველივე მატჩებმა ცხადყო, რომ უეფას ჩემპიონთა ლიგა ევროპის კი არა, მსოფლიოს საუკეთესო საფეხბურთო ტურნირია. მიმდინარე გათამაშება, თუ შემადგენლობით ვიმსჯელებთ, წინაზე უკეთესი უნდა გამოდგეს. გუშინ ფავორიტები - "რეალი", "რომა", "არსენალი", "ბორუსია", "ვალენსია" და "ლივერპული" ვიხილეთ. დღეს კიდევ რამდენიმე ფავორიტის თამაშს ვნახავთ.*

### E ჯგუფი

"ფეიენოორდისა" და ტურინის "იუვენტუსის" წყვილი ნამდვილად იმსახურებს ყურადღებას. როტერდამელებმა ჰოლანდიის ჩემპიონატის უკანასკნელ ტურში ხუთი გოლი გაიტანეს და ტურინელებს მშვენიერ გუნებაზე დახვდებიან. "ფეიენოორდის" პრესტიჟი ოდნავ დაეცა სუპერთასის წაგების შემდეგ, თუმცა, ჰოლანდიელებმა თავად "რეალთან" წააგეს. "ძალიან მიხარია, რომ მადრიდელები ჩვენს ჯგუფში არ მოხვდნენ, - განაცხადა "ფეიენოორდის" ლიდერმა პიერ ვან ჰოიდონკმა, - მათთან თამაშს, უბრალოდ, აზრი არა აქვს. სხვა დანარჩენების დამარცხება, მათ შორის "იუვენტუსისაც", თავისუფლად შეიძლება. თანაც, ნუ დაგავიწყდებათ, რომ ჩვენ საკუთარ მოედანზე ვთამაშობთ." იტალიელთა ტექნიკური დირექტორი რობერტო ბეტეგა კი ოპტიმისტურადაა განწყობილი და თვლის, რომ "იუვენტუსი", "მილანი", "რომა" ჩემპიონთა ლიგის ფავორიტები არიან." შარშანდელი სეზონი კოშმარი იყო. გახსენებაც არ გვინდა. დღეს ბევრს საუბრობენ იტალიური ფეხბურთის კრიზისის შესახებ. ჩვენ დღესვე დავამტკიცებთ, რომ ეს უსაფუძვლო მოსაზრებაა. "იუვენტუსი" მხოლოდ ფინალისთვის იბრძოლებს."

ამავე ჯგუფში ბობი რობსონის "ნიუკასლ-იუნაიტედი" კიევში, "დინამოს" შეხვდება.

### F ჯგუფი

აქ ორივე ფავორიტს გაუმართლა. "მანჩესტერ-იუნაიტედი" და ლევერკუზენის "ბაიერი" ერთმანეთთან შეხვედრის წინ ჰაიფას "მაკაბისთნ" და "ოლიმპიაკოსთნ" გაივარჯიშებენ. თუმცა, ტოპ-მიოლერის გუნდი, რომელიც წინა სეზონის შემდეგ საგრძნობლად დასუსტდა, თამაშობს საბერძნეთში, სადაც უსიამოვნო წუთების განცდა მოუწევს.

### G ჯგუფი

დღის ცენტრალური მატჩი სწორედ ამ ჯგუფში გაიმართება. მიუნხენის "ბაიერნი" ლა კორუნიას "დეპორტივოს" შეხვდება. ეს ამ ორი კლუბის ისტორიაში პირველი შეხვედრაა. თუმცა, მიუნხენის კლუბს ესპანეთის გუნდების წინააღმდეგ 27 მატჩი აქვს ჩატარებული. "ბაიერნი" სხვადასხვა დროს შეხვედრია "ვალენსიას", "რეალს", "ბარსელონას" და "ატლეტიკოს". დღეს ამ სიას "დეპორტივოც" შეავსებს. ფავორიტად გერმანელები ითვლებიან და ეს გასაგებიცაა. "ბაიერნს" ევროპულ ტურნირებში საკუთარ მოედანზე 37-დან მხოლოდ ორი შეხვედრა აქვს წაგებული. 1994 წელს ბავარიელებმა საფრანგეთის "პარისენ-ჟერმენთან" წააგეს, 1997-ში კი "გიოტებორგთან" დამარცხდნენ. 23 მოგება და მხოლოდ 6 ფრე. ჰიცფელდის გუნდმა მიმდინარე სეზონში რვა შეხვედრა ჩაატარა და 23 გოლი გაიტანა. თავისი პირველი გოლები იზეიმა ახალწვეულმა, ლევერკუზენის "ბაიერის" ყოფილმა ლიდერმა ბალაკმა. მას ოთხი გოლი აქვს გატანილი. "დეპორტივომ" 5 შეხვედრიდან მხოლოდ ერთი, "ბეტისთან" წააგო (2:4). 5 შეხვედრაში გატანილი 9 გოლი საკმაოდ კარგი შედეგია. წინა პლანზე კვლავ ნაცნობი ფეხბურთელები არიან. ვალერონი, ვიქტორი, მაკკაი, ტრისტანი - სწორედ მათ გააქვთ გოლები მიმდინარე გათამაშებაში. უკანასკნელი მატჩი "დეპორტივომ" საკუთარ მოედანზე 2:1 მოუგო "ოსასუნას". ორივე გოლი ჰოლანდიელმა როი მაკკაიმ გაიტანა. შეხვედრის მსაჯია ინგლისელი გრემ პოლი. იგი ძალისმიერი, თანამედროვე ფეხბურთის თაყვანისმცემელია. ჩვენ ამ ჯგუფის მიმართ ორმაგი ინტერესი გვაქვს. "დეპორტივოსთან" და გერმანელებთან ერთად აქ საფრანგეთის "ლენსი" და იტალიის "მილანი" გამოდიან. დღეს ეს ორი გუნდი ერთმანეთთან გაარკვევს ურთიერთობას. ჩვენი ყურადღება კი კახა კალაძისკენაა მიმართული. დღეს "რუსთავი-2" გთავაზობთ პირდაპირ რეპორტაჟს მიუნხენის ოლიმპიური სტადიონიდან. მომავალში კი აუცილებლად იხილავთ "მილანისა" და "ბაიერნის", "მილანისა" და "დეპორტივოს" დაპირისპირებას.

### H ჯგუფი

მოსკოვში "ლოკომოტივი" თურქეთის უძლიერეს კლუბს "გალათასარაის" მასპინძლობს. "ბარსელონა" კი საკუთარ ნოუ-კამპზე ბელგიის "ბრიუგეს" ხვდება.

# UEFA-ს თასი 2002-2003

## 1/32 ფინალი, 1 ტური



ჟიჟკოვი - რეინჯერსი: არველაძე მლეჟნსკის წინააღმდეგ REUTERS

| | | |
|---|---|---|
| ჟიჟკოვი (ჩეხეთი) | 2:0 | რეინჯერსი (შოტლანდია) |
| აბერდინი (შოტლანდია) | 0:0 | ჰერტა (გერმანია) |
| ავსტრია (ავსტრია) | 5:1 | შახტარი (დონეცკი) |
| ბორდო (საფრანგეთი) | 6:0 | პუხოვი (სლოვაკეთი) |
| ლეიშუა (პორტუგალია) | 2:1 | პაოკი (საბერძნეთი) |
| ვიტესი (ჰოლანდია) | 1:1 | რაპიდი (რუმინეთი) |

## "დინამოს" ლიბერეცული ამბები

მიხეილ აბაიშვილი

ხვალ, 19 სექტემბერს, თბილისის "დინამო" უეფას თასის მორიგი ეტაპის პირველ მატჩს გამართავს ჩეხეთის ჩემპიონ "ლიბერეცთან". უკვე ვწერდით, რომ ჩვენი გუნდი ჩეხეთში ორი დღის წინ გაემგზავრა. "დინამო" ლიბერეცის ცენტრში, ოთხვარსკვლავიან სასტუმრო "ზლატი ლევში" დაბინავდა. ჩვენ ტელეფონით დავუკავშირდით "დინამოს" პრეს-ატაშეს ლევან სალუქვაძეს, რომელმაც ლიბერეცში ყოფნის პირველი ორი დღის შთაბეჭდილებები გაგვიზიარა.

"ლიბერეცი პატარა და კოხტა ევროპული ქალაქია, რომლის მთავარი ღირსშესანიშნაობა ძველი უბანი ანუ ცენტრია. აქედან ჩვენი სასტუმრო ორასი მეტრითაა დაშორებული. ჩამოსვლის დღესვე, საღამოს ხუთ საათზე, გუნდმა მსუბუქად ივარჯიშა. ვარჯიშს ნესტორ მუმლაძე უძღვებოდა, რადგან ჩვენი გუნდის მეტოქეს ამ დღეს იაბლონეცში, ადგილობრივ გუნდთან, ჩეხეთის ჩემპიონატის კალენდარული შეხვედრა უნდა ჩაეტარებინა. ამიტომაც "დინამოს" მთავარი მწვრთნელი ივო შუშაკი, გივი ნოდიასთან და გია ფირცხალავასთან ერთად, მომავალი მეტოქის დასაზვერად გაემგზავრა. პრაქტიკულად, ეს თამაში დერბი იყო, რადგან იაბლონეცი ლიბერეციდან სულ 12 კილომეტრითაა დაშორებული და მის შემოგარენადაც შეიძლება ჩაითვალოს. ალბათ, ამის გამოც, შეხვედრამ დერბისთვის დამახასიათებელ უკომპრომისო ბრძოლაში ჩაიარა. უკვე მეოცე წუთისთვის სტუმრები 3:0-ს იგებდნენ, მაგრამ "იაბლონეცმა" პირველივე ტაიმში ორი გოლი გაქვითა, შეხვედრის მიწურულს კი ქულის მომტანი გოლიც გაიტანა. ეს ორი გუნდი ჩეხეთის ჩემპიონატში დედაქალაქის კლუბების – "სლავიას" და "სპარტას" შემდეგ მესამე-მეოთხე ადგილებს იყოფენ. თამაშს ესწრებოდა "დინამოს" ოპერატორიც, რომელმაც ვიდეოკასეტაზე დააფიქსირა შეხვედრა. ივო შუშაკი, დინამოელებთან ერთად, ხვალ განიხილავს ამ მატჩს. პირველი განხილვა დღეს მოეწყო: ხორვატმა მწვრთნელმა, გუნდთან ერთად, ჩემპიონთა ლიგის ბოლო საკვალიფიკაციო ეტაპის - "ლიბერეცისა" და "მილანის" მატჩის ვიდეოჩანაწერი ნახა. ეს თამაში ლიბერეცში სამი კვირის წინ გაიმართა და მასპინძელთა გამარჯვებით - 2:1 დასრულდა. თუმცა, როგორც იცით, ამ გამარჯვებამ ვერ უშველა "ლიბერეცს", რომელსაც მილანში 0:1 ჰქონდა წაგებული.

"დინამოს" დღევანდელ ვარჯიშს ივო შუშაკმა უხელმძღვანელა. წინა დღის მსგავსად, გუნდმა ისევ ერთხელ, საღამოს 5 საათზე ივარჯიშა. გუნდთან ერთადაა ბობოხიძეც, რომელმა ტრავმა კი მოირჩინა, მაგრამ ჯერ ვერ გეტყვით, გამოიყვანენ თუ არა ძირითად შემადგენლობაში. ახალაიას გარდა, რომელიც თბილისში დარჩა, გუნდში ტრავმა არავის აქვს. ფსიქოლოგიური განწყობაც ამაღლებულია. დინამოელები კარგ გუნებაზე არიან. შუშაკმა ბიჭებს უთხრა კიდეც: კარგი იქნება, თუ ასე მხიარულად და ხალისიანად ცხრამეტში, საღამოს, მატჩის შემდეგ იქნებითო.

რაც შეეხება მოწინააღმდეგეს, როგორც ვიცი, ტრავმირებულები არც მათ ჰყავთ. თუმცა, დისკვალიფიკაციის გამო "დინამოსთან" მატჩში მონაწილეობას ვერ მიიღებს ნახევარმცველი ლანგერი. მან "მილანთან" განმეორებით შეხვედრაში გამარჯვების გოლი გაიტანა.

ამჟამად ჩვენი გუნდი სათადარიგო მოედანზე ვარჯიშობს. მატჩის წინა დღეს "დინამო" უკვე ცენტრალურ მოედანზე ივარჯიშებს. მანამდე კი ივო შუშაკი პრესკონფერენციას გამართავს ადგილობრივი ჟურნალისტებისთვის."

ჩოგბურთი

## CARTU & TBILISI LADIES OPEN: ერთადერთი ქართველის იმედად

პაატა თოთაძე

**ერთეულთა თანრიგი**

გაბრიელა ნავრატილოვა (ჩეხეთი) – თინათინ ყავლაშვილი (საქართველო) 1:6, 7:5, 6:2

გალინა ვოსკობოევა (რუსეთი) – მარია კორიტცევა (უკრაინა) 6:4, 7:6

ციპორა ობლიზერი (ისრაელი) – დარია კუსტავა (ბელარუსი) 7:5, 4:6, 7:6

ალიონა იარიშკა (ბელარუსი) – რაისა გურევიჩი (რუსეთი) 6:2, 4:6, 6:1

ტაციან უვაროვა (ბელარუსი) – კლაუდია იანსი (პოლონეთი) 6:2, 6:0

კატრინა დაშკოვიჩი (იუგოსლავია) – ნინო შოვნაძე (პოლონეთი) 6:4, 6:2

ჯეინ ოდონოჰიუ (დიდი ბრიტანეთი) – ეკატერინა კოჟოხინა (რუსეთი) 7:5, 6:1

ჯორჯა მორტელო (იტალია) – ნატალია ბოგდანოვა (უკრაინა) 6:1, 6:2

მაკა ჩახნაშვილი (საქართველო) – ნანა უროტაძე (საქართველო) 6:2, 1:0 (მატჩი გადაიდო წვიმის გამო)

მართალია, გაბრიელა ნავრატილოვას თავის მოგვარე მარტინასთან საერთო ბევრი არაფერი აქვს, მაგრამ ამან ხელი არ შეუშალა საჩოგბურთო სამყაროში განთქმული გვარის წარმომადგენელს, თანამემამულეთა შეძახილებით თუ დარიგებებით გამხნევებული თინათინ ყავლაშვილი დაემარცხებინა. ჩოგბურთი, თამაშთან ერთად, ბრძოლაა, ბრძოლას კი სწორი ტაქტიკის გარეშე ვერ მოიგებ. ამას იმიტომ ვამბობ, რომ ყავლაშვილი, ბევრის აზრით, არასწორმა ტაქტიკამ დაღუპა. მარტო ჩოგნის ქნევაში კი ჩეხი ვერ ჯობდა ქართველს. მეორე სეტში ნათელი გახდა, რომ ჩეხმა სპეციალურად დათმო პირველი სეტი ასე ადვილად. მეორეში კი ძალა მოიკრიბა და გამარჯვება მოახერხა. ამის შემდეგ უკვე ნათელი იყო, რომ ყავლაშვილი მესამეს იოლად დათმობდა. ფიზიკურის გარდა, მეტოქე ფსიქოლოგიურადაც უკეთესად იყო მომზადებული. არადა, როგორც ტრიბუნაზე ამბობდნენ, ყავლაშვილი ფიზიკურად ცუდად არ იყო მომზადებული. მაშ რა გახდა მესამე სეტში ასეთი ცუდი თამაშის მიზეზი? ჩანს, ჩვენებურისთვის კარგად ვერ უსწავლებიათ, რომ ძალებს გადანაწილება უნდა. მეორე სეტში ჩეხმა გეიმებში 4:1 წაიყვანა. ყავლაშვილმა მთელი ენერგია ანგარიშის გათანაბრებას შეალია, ბოლოს კი ძალა გამოელია. თუმცა, შეიძლებოდა, მეორე სეტი დაეთმო და შემორჩენილი ენერგია მესამის მოსაგებად დაეხარჯა.

ყავლაშვილის მარცხმა ნათელი გახადა, რომ მეორე წრეში საქართველოს მხოლოდ ერთი წარმომადგენელი ეყოლებოდა. მართალია, მისი ვინაობა ჯერ არ გარკვეულა, მაგრამ ტურნირს შემორჩენილი ერთადერთი ქართველი, სავარაუდოდ, იქნება მაკა ჩახნაშვილი, რომელმაც პირველი სეტი კი მოუგო ნანა უროტაძეს, მაგრამ მთლიანად პარტიის მოგება წვიმამ არ აცალა.

მოკლედ, წლევანდელ ტურნირზე სტუმრები ქართველებს არ სწყალობენ. და არა აქვს მნიშვნელობა, ტურნირზე მოთამაშე ქართველები თავიანთი ქვეყნის ღირსებას იცავენ თუ სხვისას. რუსეთის სახელით მოასპარეზე ანა ჩაკვეტაძე საკვალიფიკაციო ეტაპს ვერ გასცდა, პოლონეთის ღირსების დამცველმა ნინო შოვნაძემ კი კატრინა დაშკოვიჩის წინააღმდეგობა ვერ დაძლია. არც იყო გასაკვირი - დაშკოვიჩი რეიტინგით შოვნაძეზე მაღლა დგას და ამ ტურნირზეც მეშვიდე ნომრადაა განთესილი. გუშინწინდელისგან განსხვავებით, როცა ტურნირს ერთდროულად სამი განთესილი დაემშვიდობა, გუშინდელი დღე ფავორიტებისთვის იღბლიანი გამოდგა – ჩახნაშვილის გარდა, ყველა განთესილმა იმარჯვა, მაკას კი, ზემოთაც ვთქვით, წვიმამ შეუშალა ხელი.

ველოსპორტი

## VUELTA: ესპანური დუელი

ესპანეთის ტრასებზე ესპანური დუელი გრძელდება. "ვუელტას" მე-10 ეტაპი იღბლიანი გამოდგა "კელმეს" გუნდის წარმომადგენლის ესპანელი აიტორ გონსალესისთვის, რომელმაც გაყოფილი სტარტით რბოლაში ლიდერს, თანამემამულე ოსკარ სევილიას საგრძნობლად აჯობა.

მე-10 ეტაპის დაწყებამდე ვარაუდობდნენ, რომ ლიდერის პოზიციას შეინარჩუნებდა ოსკარ სევილია, რომელიც 14 წამით ყაზახეთის წარმომადგენელს, ვინოკუროვს, ხოლო 41 წამით აიტორ გონსალესს უგებდა. გაყოფილი სტარტით რბოლაში კი მთავარ ფავორიტებად ბრიტანელ მილარს და დანიელ მელერს მიიჩნევდნენ.

რბოლის დასაწყისში უჩვეულო არაფერი მომხდარა. ერთადერთი მოულოდნელობა ესპანელი ტაულერის კარგი მაჩვენებელი გამოდგა. საერთო ჩათვლაში ტაულერი 61-ე ადგილზე იყო. ლიდერობა ხელთ იგდო ბრიტანელმა მილარმა. მას გაყოფილი სტარტით რბოლის ოსტატად იცნობენ. მოვლენები საინტერესოდ მაშინ განვითარდა, როცა სტარტზე ლიდერები გამოჩნდნენ. თავიდან დაწინაურდა ხოსებო ბელოკი, რომელმაც რბოლის პირველ ნახევარში საუკეთესო დრო აჩვენა, მაგრამ ფინიშამდე რამდენიმე კილკომეტრით ადრე მილერს დაუთმო გზა. მასთან, საბოლოო ჯამში, მხოლოდ წამი წააგო.

პირველობისთვის ბრძოლა კი ესპანელებს - გონსალესსა და სევილიას შორის გაიმართა. რბოლის ლიდერი ოსკარ სევილია კარგ დროს აჩვენებდა, მაგრამ გონსალესი თანაგუნდელზე უკეთესად გამოიყურებოდა. ფინიშამდე 30 კილომეტრით ადრე გონსალესის უპირატესობამ 47 წამს მიაღწია, რაც იმას ნიშნავდა, რომ საერთო ჩათვლაში პირველ ადგილზე გადაინაცვლებდა და რბოლის სათავეში მოექცეოდა, მაგრამ უკანასკნელ კილომეტრებზე სევილიამ სიჩქარეს მოუმატა და უშუალო მეტოქეს 40 წამით ჩამორჩა. ამრიგად, გონსალესმა რბოლა მოიგო, მაგრამ სევილიამ ლიდერის ყვითელი მაისურა შეინარჩუნა. მე-10 ეტაპის შემდეგ ლიდერებს შორის სხვაობა ერთი წამია.

ახლა ველოსპორტის მოყვარულებს ელოდებათ მთის ეტაპები, სადაც გაირკვევა კიდეც "ვუელტას" წლევანდელი ტრიუმფატორი.

**მეათე ეტაპი:**

აიტორ გონსალესი (ესპანეთი) 45:32

ოსკარ სევილია (ესპანეთი) 46:12

დევიდ მილარი (დიდი ბრიტანეთი) 46:32

**საერთო ჩათვლა:**

ოსკარ სევილია (ესპანეთი) – 33:19.05

აიტორ გონსალესი (ესპანეთი) – ჩამორჩენა 0.01

რობერტო ერასი (ესპანეთი) – 1.42

კალათბურთი

## არგენტინელთა ფასი გაიზარდა

მსოფლიო ჩემპიონატზე არგენტინის ნაკრების წარმატებულმა თამაშმა მისქ კალათბურთელების მიმართ NBA-ის გუნდების ბუნებრივი ინტერესი გამოიწვია. ახლახან "ბოსტონ სელტიკსმა" ერთწლიანი კონტრაქტი გაუფორმა 205-სანტიმეტრიან არგენტინელ თავდამსხმელს რუბენ ვოლკოვისკის. კლუბმა გაითვალისწინა NBA -ში ვოლკოვისკის თამაშის ორწლიანი გამოცდილება და ხელფასიც შესაბამისი დაუნიშნა. საკონტრაქტო თანხა 587,435 დოლარია. სეზონის ბოლოს კი არგენტინელი თავისუფალი აგენტი გახდება.

ვოლკოვისკი პირველი არგენტინელია, რომელიც NBA -ში თამაშობს. 2000-2001 წლებში ის "სიეტლის" შემადგენლობაში იყო, მაგრამ მოედანზე დიდ დროს არ ატარებდა, ამიტომ მისი მონაგარი ერთობ მოკრძალებულია - 34 მატჩში, საშუალოდ, იგი 9 წუთს თამაშობდა და 2.2 ქულასა და 1.4 მოხსნას ასწრებდა. შარშანდელი სეზონი არგენტინელმა "დალას მავერიქსის" რიგებში დაიწყო, მაგრამ მოსკოვის ცსკა-ში დაამთავრა, სადაც მისი მაჩვენებელი ბევრად შთამბეჭდავი იყო: 26.6 წუთი ერთ მატჩში, 12.7 ქულა და 7.8 მოხსნა.

კლივლენდში დააკავეს "კლივლენდ კავალიერსის" ლიტველი ცენტრი ჟიდრუნას იგლაუსკასი. ლიტველ გიგანტს ნასვამ მდგომარეობაში ავტომანქანის მართვა ედება ბრალად. მას სისხლში ალკოჰოლის შემცველობა დასაშვებზე 0,10 პროცენტით მეტი ჰქონდა. ორშაბათს ლიტველი ციხიდან გაათავისუფლეს, მაგრამ დღეს იგი სასამართლოს წინაშე უნდა წარდგეს.

# დავითი საუკუნეების ჭუჭყს ჩამოირეცხავს

ორშაბათს ფლორენციაში განბანვის გრანდიოზული პროცესი დაიწყო. მიქელანჯელოს "დავითი", რესტავრაციის შემდეგ, პირველად იწმინდება. მე-16 საუკუნის დასაწყისის ეს უმნიშვნელოვანესი ნიმუში 130 წლის წინ აღადგინეს, 1873 წლიდან კი ფლორენციის აკადემიის გალერეას ამშვენებს.

მარმარილოს ხუთმეტრიან სკულპტურას, რომელიც ფლორენციის რესპუბლიკის ძლიერებისა და გამარჯვების სიმბოლოდ იქცა, განბანვის დროს ადგილს არ შეუცვლიან, ანუ, აბაზანის მიღების პარალელურად, დავითის ხილვა ტურისტებს კვლავაც შეეძლებათ. მეტიც, მუზეუმის წარმომადგენლების თქმით, გააფართოებენ დამცავ მინასაც, რომელიც ქანდაკების გარშემო 1991 წელს მომხდარი ინციდენტის შემდეგ დაამონტაჟეს. მაშინ ტურისტმა დავითს ფეხზე ჩაქუჩი დასცხო და თითი დაუზიანა.

ქანდაკებას მიქელანჯელოს სკულპტურების დიდი სპეციალისტი აგნეს პარონკიო ასუფთავებს. ექსპერტების განმარტებით, მათი მთავარი მიზანია დავითის გაწმენდა, თუმცა, განბანვის პროცესში შესაძლოა, რიგი დეტალების რესტავრაციის საჭიროებამაც იჩინოს თავი. დავითს ხომ ახლა რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში დაგროვებული ჭუჭყი და მტვერი ფარავს. აბაზანის მიღების პროცესი შვიდ თვეს გასტანს. პარონკიო აცხადებს, რომ დავითს თავით ფეხებამდე მარტისთვის გაასუფთავებს. პროცედურა 150 ათასი ევრო დაჯდება.

ამ ახალ ამბავს ფლორენციაში განსაკუთრებული სიხარულით შეხვდნენ. ბიბლიური დავითი, რომელმაც მიქელანჯელოს აღიარება 29 წლის ასაკში მოუტანა, ფლორენციის სიამაყეა. იქაური არტ-ექსპერტი, ანტონიო პაოლუჩი დავითის განბანვის პროცესს ქვემოდან ადევნებს თვალს და აცხადებს: "დავითი უნივერსალური ტიტანია". უბრალო ფლორენციელებს კი დავითის აბაზანის ამბავი ძალიან ახალისებთ: "მერე რა, რომ გოლიათი დაამარცხა, დაბანა მასაც სჭირდება", - მხიარულობენ ისინი...



მიქელანჯელოს "დავითი" REUTERS

# გრეტა გარბო მიუზიკლში

საინტერესოა, რა აზრის იქნებოდა თავად გრეტა გარბო ბროდვეის ახალ მიუზიკლზე, რომელიც მის ცხოვრებას ასახავს. მსახიობს ხომ ჰოლივუდის იდუმალებას უწოდებდნენ. მის ცხოვრებაში ჩარევას ვერავინ ბედავდა. გარბო კატეგორიული ხმით უცხადებდა ყველას "მარტო დამტოვეთ"...

სწორედ ამ იდუმალების ფარდის ჩამოხსნა გადაწყვიტეს მსახიობებმა და გარბოს ცხოვრება სპექტაკლში "გარბო მიუზიკლი" გააცოცხლეს. პრემიერა მსახიობის მშობლიურ ქალაქ სტოკჰოლმში დღეს გაიმართება. პროექტის ორგანიზატორებს იმედი აქვთ, რომ შოუ მაყურებელს ნიუ იორკშიც მიიზიდავს, ლონდონშიც და სხვა მნიშვნელოვან კულტურულ ცენტრებშიც. თუმცა, სპექტაკლს საზღვარგარეთ 2004 წლის გაზაფხულამდე არ გაიტანენ.

"მაყურებელს, მთელი მსოფლიოს მასშტაბით, ალბათ, სწორედ გარბოს გარშემო არსებული დიდება და იდუმალება ხიბლავს. გარდა ამისა, ახალი მიუზიკლების ნაკლებობას დღეს ყველა განიცდის. ძირითადად, ხომ ძველი სპექტაკლების რეპროდუქციებს იყენებენ. ასე რომ, "გარბო" ამ მხრივაც ახალი სიტყვაა", - აცხადებს პროდიუსერი მიკაელ ჰელკვისტი.

იდუმალი მსახიობის როლს გუნილა ბეკმენი ასრულებს. ბუნებრივია, ის როლის სერიოზულობას ბოლომდე ათვითცნობიერებს და აცხადებს: "გარბო არ ეძებდა აღიარებას. ჩვენს დროში კი ყველას სახელი და დიდება სურს. ამ ფონზე გრეტა გარბოს გახსენება კიდევ უფრო საინტერესოა". რეპეტიციების დაწყებამდე ბეკმენმა გადაიკითხა წიგნები გარბოს შესახებ, ესაუბრა მის ნათესავებსაც – უფრო დამაჯერებელი სახე რომ შეექმნა.

მიუზიკლი გარბოს ცხოვრებას თითქმის დეტალურად აღწერს –ახალგაზრდობა, ჰოლივუდის დიდების წლები და ნიუ იორკში გატარებული კარჩაკეტილი დღეები. სპექტაკლის პარტიტურა მაიკლ რიდს და ჯიმ სტეინმანს ეკუთვნით. მათ მიუზიკლში, ძირითადად, სვინგი, რეგი და თანამედროვე როკი აჟღერეს. რიდი აცხადებს: "შევეცადეთ, მუსიკით გვეპოვნა იმ ქალის სული, რომელიც თავისი იდუმალებით ყველას აოცებდა".

## სკანვორდი



## TV პროგრამა 18 სექტემბერი

### რუსთავი - 2

07.00 მუსიკა
07.30 ჯუნგლების წიგნი
08.00 დილა მშვიდობისა
09.40 ქალთა ქვეყანა
10.40 გურმანთა მეგზური
11.10 ვის უნდა ოცი ათასი
12.00, 15.00 კურიერი
12.15 სერიალი "ოცნების კოშკები"
13.30 მხ. ფილმი
15.20 მხ. ფილმი
17.05 ქალთა ქვეყანა
18.00, 21.00, 02.50 კურიერი
18.20 დრაკონთა მომთვინიერებელნი
18.55 სერიალი "ტალღის ქიმზე"
19.50 სერიალი "ოცნების კოშკები"
22.00 "ხალხის პირისპირ"
22.50 კურიერი
23.40 ჩემპიონთა ლიგა. "ბაიერნი"-"დეპორტივო".
02.00 ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა.
03.00 კლასიკა.

### პირველი არხი

07.30 ალიონი
09.45 "დრო და ფული"
10.00 "ქართული ენის გაკვეთილი"
10.30 ჩოგბურთელ ქალთა თბილისის ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი
12.00, 15.00, 20.00 მოამბე
12.15 სერიალი "რვაფეხა"
13.00 ნაშუადღევს
14.05 ჩოგბურთელ ქალთა თბილისის ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი
15.15 მხ. ფილმი "სიყვარულის ანატომია"
16.40 "ზღვარი"
17.05 50-50
17.40 დოკ. სერ. "გემრიელად მიირთვით, ბავშვებო"
18.00 ვესტნიკი 18.20 ბასტი-ბუბუ
18.40 "ისტორიანი"
19.05 "ვიდეოპატრული"
19.20 ტელეთამაში "იმღერე რამე"
21.00 სერიალი "რვაფეხა"
22.00 "დრო და ფული"
22.10 "მიამბეთ თქვენზე"
23.00 "დღის ბოლოს"
23.40 ტელესერიალი "ძილის წინ"
00.00 მხ. ფილმი "ჰოლივუდის ნიშნით"

### პირველი სტერეო

07.00 კლიპ-მიქსი
07.15 "მორწმუნის ძლევამოსილი ხმა"
08.00 მუსიკალურ-გასართობი პროგრამა "ტოროლა"
12.00 "მუსიკალური ათეულის" განმეორებით
13.45 მხ.ფილმი
17.00 "Co.მედია" მხ.ფ. "დინოტოპია"
19.00 ქართული მუსიკა
19.30 ვიდეო-რადიო
21.00 მიქს-ათეული
21.45 "მოკლე სეანსი"
22.00 "ინფარმატორი"
22.30 "არასარეკლამო ათეული"
22.45 "პა-სეანსი"
23.00 მუსიკა
00.00 "ბრავო" მხ.ფ. "რთული ფული".
01.50 "ღამურა" მხ.ფ. "პიტონი"
03.20 ნონ-სტოპი

### მეორე არხი

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე
19.10 მულტფილმი
19.40 სერიალი
20.30 და არც მუსიკა
21.00 დოკ. ფილმი
21.30 წარსულის ტერიტორია
22.10 მხ. ფილმი "შესაძლებელია"

### ევრიკა

10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 "ვესტი"
10.15 მუსიკალური ტაიმ-აუტი
10.45, 22.30 მსოფლიო სპორტი
11.45 მუსიკალური კოლაჟი
12.25 სალონი
15.15 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს
18.30 რუსული ენის გაკვეთილი
19.00 ინგლისური ენის გაკვეთილი
19.30 მხ. ფ. "გამარჯობათ, მე თქვენი დეიდა ვარ"
21.30 თინეიჯერი
23.30, 00.30 მხ.ფ. "განკითხვის დღე"

### იბერია

08.00 ანონსი, მულტფილმი
08.15 აღსავალი
08.20, 10.15, 12.30, 17.20, 17.50 მუსიკა
08.30 მხ.ფ. "უკანმოუხედავად"
10.00, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00 ახალი ამბები
10.20 ძველი კინო "ტაქსისტი"
13.10, 18.00 მულტფილმი
14.10 დოკუმენტური ფილმი
17.30 საგავ. სერ. "არაჩვეულებრივი არდადეგები"
18.45 ბუნების ფერები
20.00 მხ.ფ. "ზღვის მგელი"
22.15 მხ.ფ. "კეიტი და ლეო"
00.30 ღამის ფილმი

### კავკასია

12.00 მხ.ფ. "ხსოვნის დღე"
13.30 მხ.ფ. "კასაბლანკა"
15.10 მხ.ფ. "ეშმაკის საკუთრება"
17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფ. პროგრამა "დღეს"
17.15 მხ.ფ. "ჩემი დედინაცვალი უცხოპლანეტელია"
19.20 სპექტრი
21.00 მხ.ფ. "დიდი რბოლა"

### მეცხრე არხი

09.00, 14.30, 17.30, 20.30, 00.00 "დღის ამბები"
09.20 მულტფილმი "შეჰრაზადა" 52-ე სერია
09.45 საბ. სერიალი "ალ. მაკის სამყარო" 52-ე სერია
10.15 მხ. სერიალი "მოჯადოება" მე-7 სერია
11.15 მხ. ფ. "პირველი ცხრანახევარი კვირა"
13.15 დოკ. ფ. "ჭიანჭველას თავგადასავალი"
13.25 დოკ. ფილმი "ავტოპორტრეტი"
14.00 დოკ. ფილმი "ოთხი საუკუნის შემდეგ"
14.45, 20.00 "ევროპის სტადიონებზე"
15.15 მხ. ფილმი "ყრმა სახელად იესო"
16.15, 23.55, 00.20 მუსიკა
16.30 მხ.სერ. "დაშნის დედოფალი" მე-7 სერია
17.15, 18.45 ჟურნალი "საბჭოთა საქართველო"
17.45 მულტფილმი "ალექსი" 1-ლი სერია
18.15 საბავ. სერ. "ალ. მაკის სამყარო" 53-ე სერია
19.00 მხ. ფილმი "მოჯადოება" მე-8 სერია
20.20 დოკ.სერიალი "ჩემი ქვეყანა"
21.10 დოკ. ფილმი "ეს სანახაობაა"
22.10 მხ.ფ. "მადა".
00.40 მხ.ფ. "პანტერის დღე".

### აჭარის ტელევიზია

09.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი
09.30 "რა არ ხდება"
09.40 ქართული მხატვრული ფილმი
11.10 დოკუმენტური ფილმი
12.00, 16.00, 19.00 საინფორმაციო გამოშვება
12.15 სათავგადასავლო ფილმი "რომი და მიშელი კურსდამთავრებულთა საღამოზე"
13.45 თრილერი "მკვლელები"
16.15 მულტფილმი "ოლივერი და კომპანია"
17.30 კომედია "ზაფხულის ხალხი"
19.20, 22.30, 00.30 საინფ. გამოშვება "ნოვოსტი"
19.30 დოკუმენტური ფილმი
20.20 ქართული მხატვრული ფილმი
22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება "დღეს"
22.50 "Пресс-папье"
23.00, 00.50 საინფ. გამოშვება ინგლისურ ენაზე
23.10, 01.00 საინფ. გამოშვება ფრანგულ ენაზე
23.15 დოკუმენტური ფილმი
01.05 თრილერი "სიჩქარე-2"
03.30 თრილერი "მისისიპის მოჩვენებანი"

### VII არხი

09.00 ანონსი
09.05 ამინდის პროგნოზი
09.25 მოკლედ... პრესის მიმოხილვა
09.40 "აჩიკუდა"
10.05 "სახლიდან გაუსვლელად"-აუდიო-ვიდეო-ტელე
10.35 მოკლედ... სპორტი
10.40 "ფაქტი, აზრი, კომენტარი"
10.50 სახლიდან გაუსვლელად" – ავეჯი
11.05 "პაემანი"
11.55 სპორტ. პროგრ.-"ევროპული ფეხბურთი"-ინგლისის ჩემპიონატის მიმოხილვა-განმეორებით
12.45 მოკლედ... ტექნიკა
12.50 "სახლიდან გაუსვლელად"-
13.30 ანიმაცია
13.45 "ბიორითმი" – ბრიტნი სპირსი
14.10 "ბრძოლა წესების გარეშე"
14.35 დისნეი და მისი მეგობრები
15.25 "სახლიდან გაუსვლელად" -კომპ. ტექნიკა
15.40 სპორტი
15.45 მოკლედ... პრესის მიმოხილვა
18.10 პრესა
18.20 "სახლიდან გაუსვლელად"-აუდიო-ვიდეო-ტელე
18.55 მოკლედ... ტექნიკის სიახლეები
19.00 "აჩიკუდა"
19.30 მოკლედ... საქართველო, უცხოეთი
19.40 "სახლიდან გაუსვლელად" –
20.10 "ფაქტი, აზრი, კომენტარი"
20.25 სპორტ. პროგრ.-"ევროპული ფეხბურთი"-საფრანგეთის ჩემპიონატის მიმოხილვა
21.05 მოკლედ...ასტროლოგიური პროგნოზი
21.10 "ობიექტივი"
21.30 "სახლიდან გაუსვლელად" – ავეჯი
21.45 "ბრძოლა წესების გარეშე"
22.05 "ლა-ლა-ლა"
22.40 მოკლედ... სპორტი
22.50 მოკლედ... პრესის მიმოხილვა
22.55 "სახლიდან გაუსვლელად" – კომპ. ტექნიკა
23.25 "კინოკლუბი" – "ვიკინგები"
00.50 პრესის მიმოხილვა
01.00 მოკლედ... საქართველო, უცხოეთი
01.10 "სახლიდან გაუსვლელად"-აუდიო-ვიდეო-ტელე
01.40 "ბიორითმი" -ბრიტნი სპირსი
02.05 პრესის მიმოხილვა

### ОРТ

06.45 "Доброе утро, Россия".
09.45 Сериал "КАМЕНСКАЯ-2"
10.50 Моя семья
11.50 Вести. Дежурная часть.
12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.20 ВЕСТИ.
12.20 "ЗАКОН"
13.25 Ток-шоу "Цена успеха"
14.30 "Москва-Минск".
14.45 ВЕСТИ.- МОСКВА.
15.20 ВЕСТИ.- СПОРТ.
15.25 "Что хочет женщина".
16.25 Сериал "ДИКИЙ АНГЕЛ.ВОЗВРАЩЕНИЕ".
17.20 Сериал "ПРОСТЫЕ ИСТИНЫ".
18.20 Док. фильм "Далекое близко..."
19.20, 21.35 Местное время. ВЕСТИ-МОСКВА.
19.50 "ВОРОВКА.СЧАСТЬЕ НАПРОКАТ".
20.50 Спокойной ночи, малыши.
21.55 Сериал "КАМЕНСКАЯ-2"
23.05 "ЗАКОН"
00.35 х.ф."ПРОЦЕСС УНИЧТОЖЕНИЯ"(США)

### РТР

06.45 "Доброе утро, Россия".
09.45 Сериал "КАМЕНСКАЯ-2"
10.50 К годовщине теракта в Америке. Док.фильм "Легенда о двух башнях". 1-я ч.
12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.20 ВЕСТИ.
12.20 Док.фильм "Легенда о двух башнях".
13.25 Ток-шоу "Цена успеха"
14.30 "Москва-Минск".
14.45 ВЕСТИ.- МОСКВА.
15.20 ВЕСТИ.- СПОРТ.
15.25 "Что хочет женщина".
16.25 Сериал "ДИКИЙ АНГЕЛ.ВОЗВРАЩЕНИЕ".
17.20 Сериал "ПРОСТЫЕ ИСТИНЫ".
18.20 ФУТБОЛ. ЦСКА - ДИНАМО (Москва).
20.00 Сериал "ВОРОВКА.СЧАСТЬЕ НАПРОКАТ".
20.50 Спокойной ночи, малыши.
21.35 МЕСТНОЕ ВРЕМЯ. ВЕСТИ.-МОСКВА.
21.55 Сериал "КАМЕНСКАЯ-2"
23.05 К годовщине теракта в Америке. Фильм "Точка отсчета"
00.35 Док. фильм Роберта Де Ниро "11 сентября".

### НТВ

07.00 Утро на НТВ.
10.10 "Внимание Розыск!"
11.00 "Сегодня утром"
11.20 Погода на завтра.
11.25 Чистосердечное признание.
12.00, 13.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00 Сегодня.
12.05 "Шоу Елены Степаненко"
12.50 Вкусные истории.
13.05 Криминал
13.15 "БОЖЕСТВЕННЫЙ КУНГ-ФУ"
15.05 "Криминальная Россия"
15.35 "ОНА НАПИСАЛА УБИЙСТВО"
16.40 Ток-шоу "Принцип "Домино".
18.05, 23.35 Сериал "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ"
19.15 Док. драма "Преступление и наказание"
20.00 Сегодня с Т.Митковой
20.40 Футбол.Лига чемпионов." ЛОКОМОТИВ"-"ГАЛАТАСАРАЙ"
23.00 "Сегодня вечером"
00.45 Сериал "КЛЮЧИ ОТ СМЕРТИ"
01.45 ГОРДОН
02.40 Дневник Лиги чемпионов

TV პროგრამები მოგვაწოდა სააგენტო "ინფოზავრმა"

გაზეთი 24 საათი

9 სექტემბრიდან

გაძლევთ საშუალებას გამოაქვეყნოთ უფასო განცხადებები ბინების, აგარაკების, მანქანების, ავეჯის ყიდვა-გაყიდვისა და მომსახურების შესახებ.

მოგვაწოდეთ ინფორმაცია ტელეფონით: 98 86 43 53 76 43 (9.00-22.00)

ონკოლოგიურ ცენტრში

პროფესორ კოტე მარდალეიშვილის ხელმძღვანელობით მიმდინარეობს ახალი საკვლევი პრეპარატის საერთაშორისო კლინიკური კვლევა თავკისრის მიდამოს სიმსივნეებით დაავადებულებში.

კვლევისათვის შერჩეულ პაციენტთა მკურნალობა უფასოა

ტელ 25-38-55
899 98-03-64

წამალი "სალხინო"
ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,
მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.
წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.